

მირანდა გოგილაშვილი

ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების
მოშლის ურთიერთმიმართება საქართველოს
კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0159, საქართველო
2026 წელი

საავტორო უფლება © 2026 წელი, მირანდა გოგილაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებთ, მირანდა გოგილაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ურთიერთმიმართება საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი : _____ (მაკა კარტოზია)

რეცენზენტები: _____

თარიღი: ____/____/____

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ურთიერთმიმართება საქართველოს კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში. იგი მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების გამიჯვნას, სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი ბუნების, რესტიტუციული შედეგების და საქართველოს საკანონმდებლო ნორმების მიხედვით. კვლევის საგანი ასევე ფოკუსირებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების გამიჯვნაზე. გაანალიზირებულია როგორ განმარტავს სასამართლო ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ ბუნებას, რა ნიშნებით განასხვავებს ხელშეკრულების დასრულების აღნიშნულ ინსტიტუტებს ერთმანეთისგან, რომელი წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობები იკვეთება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებებში განვითარებულ მსჯელობებში. კვლევის საგნიდან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმები ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის შესახებ. ეს ნორმები შედარებულია ქართულ კანონმდებლობასთან. კვლევის ფარგლებში გაანალიზირებულია გერმანიის სასამართლო პრაქტიკაც ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

წინამდებარე კვლევა იყოფა სამ ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოჩენილია ის წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების გამიჯვნის თვალსაზრისით. კვლევის ამ ნაწილში გამოაშკარავდა, რომ სსკ-ში ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების აღრევას, რაც კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის ტერმინების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „უარი ხელშეკრულებაზე“. აქედან გამომდინარე ქართული კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ განასხვავებს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს. კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ ერთადერთი გამოსადეგი საშუალება, რომლის მიხედვითაც შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის შემთხვევები არის სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი ბუნება. ხელშეკრულებიდან გასვლას ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებში როდესაც მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა მოკლევადიანია. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების ვადამდე დასრულების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი. კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების

მოშლის ცნებების აღრევას ადგილი აქვს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშიც. ზოგ შემთხვევაში სასამართლო ერთმანეთისგან არ განასხვავებს აღნიშნულ ცნებებს და მიუთითებს რომ ისინი იგივეობრივი შინაარსის მქონე ტერმინებია. ზოგჯერ სასამართლო სწორად მიჯნავს ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის ინსტიტუტებს სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების მიხედვით, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლა გრძელვადიანი, ხოლო მოშლა მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულების მიზნით გამოყენებად ინსტიტუტად არის მიჩნეული. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რომ ერთმანეთს ეწინააღმდეგება როგორც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ განვითარებული მსჯელობები, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ კვლევის მეორე ნაწილი ეთმობა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს. კვლევის ამ ნაწილში გამოიკვეთა, რომ სასამართლო პრაქტიკა წინააღმდეგობრივია ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის წინაპირობების შესრულების თაობაზე. მაგალითად, სასამართლო ვერ თანხმდება იმის შესახებ როდისაა დამატებითი ვადის განსაზღვრა აუცილებელი და როდის არა.

სსკ-ის 405-ე მუხლის ზოგიერთი პუნქტი ტოვებს ინტერპრეტაციის ფართო საშუალებას. მაგალითად, რთულია განისაზღვროს რას ნიშნავს ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევა, ან როგორ უნდა დადგინდეს კრედიტორი მეტწილად თვითონ არის პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევაზე თუ არა. ამ გარემოებების შეფასების ზუსტი კრიტერიუმები არ არსებობს. აქედან გამომდინარე მათი განსაზღვრა საქმის ფაქტობრივი გარემოებების და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის გონივრულობა. ამ გარემოებას სასამართლო აფასებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების და საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით. განსაკუთრებით პრობლემურია ისეთი შემთხვევების შეფასება, როდესაც დამატებითი ვადის განსაზღვრას ადგილი არ ჰქონია კრედიტორის მიერ, იმ ვარაუდით რომ იგი არ მოიტანდა არავითარ შედეგს.

კვლევის მესამე ნაწილი ეთმობა ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და მოშლა განსხვავდება რესტიტუციული შედეგების მიხედვით, თუმცა ზოგჯერ მოშლასაც ისევე შეიძლება მოჰყვეს რესტიტუცია, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში სასამართლო არასწორედ განსაზღვრავს მხარეების მიერ შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებების ფარგლებს, რაც გამორიცხავს რესტიტუციას სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რესტიტუციული შედეგების

დადგომა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სასამართლოს მიერ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების ფარგლების განსაზღვრაზე. ამ ვალდებულებების ფარგლების არასწორი შეფასების შემთხვევაში არ დგება ის რესტიტუციული შედეგი, რომელიც უნდა დამდგარიყო სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში გადაწყვეტილებებში ადგილი აქვს ფულადი რესტიტუციისა და ზიანის ანაზღაურების აღრევას. სასამართლო ფულადი რესტიტუციის მიზნით რესტიტუციის კრედიტორისთვის გადასახდელ თანხას ზიანის ანაზღაურების ანგარიშში თვლის, რაც სსკ-ის 352-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის არასწორი ინტერპრეტაციით არის განპირობებული. კვლევის ამ ნაწილში გამოიკვეთა, რომ პრობლემურია განისაზღვროს ვრცელდება თუ არა უფლებამოსილი პირის პრივილეგია ზიანის ანაზღაურების შემთხვევებზე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში. ნორმის სიტყვასიტყვით განმარტება გამორიცხავს ამ პრივილეგიის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან რესტიტუციის კრედიტორის განთავისუფლებას. მეორე მხრივ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება უფლებამოსილი პირის პრივილეგიის არსს და მის მიზანდაცული იყოს უფლებამოსილი პირის უფლებები ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულების მოშლა, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რესტიტუცია.

Abstract

The subject of this paper is the relationship between withdrawal from a contract and termination of a contract in Georgian legislation and judicial practice. It encompasses the separation of institutions for withdrawal from a contract and termination of a contract, depending on the legal nature of contractual relations, restitutionary consequences, and Georgian legislative norms. The research subject also focuses on the separation of institutions for withdrawal from the contract and termination of the contract in Georgian judicial practice. This analysis examines how the court interprets the legal nature of withdrawal from a contract and termination of a contract, what features distinguish these institutions of contract termination from each other, and what contradictory and mutually exclusive reasoning is evident in the reasoning developed in the decisions of courts at different instances.

Based on the subject of the research, this paper discusses the norms of the German Civil Code on withdrawal from a contract and termination of a contract. These norms are compared with Georgian legislation. The research also analyzes German judicial practice on withdrawal from a contract and termination of a contract.

This study is divided into three parts. The first part presents the contradictions that exist in the Civil Code of Georgia and judicial practice regarding the separation of institutions for withdrawal from the contract and termination of the contract. This part of the study revealed that the concepts of withdrawal from the contract and termination of the contract are confused in the Civil Code, which should be considered a gap in the legislation. In several instances, the term “refusal of the contract” is used to refer to the act of withdrawing from or terminating the contract. Therefore, Georgian legislation does not distinguish between the institutions of withdrawal from the contract and termination of the contract. The study also showed that the only helpful way to distinguish between cases of withdrawal from a contract and termination of a contract is the legal nature of the contractual relationship. Withdrawal from a contract occurs in cases where the contractual relationship between the parties is short-term. In the case of premature termination of long-term contractual relationships, the institution of contract termination is used.

The research revealed that the concepts of withdrawal from a contract and termination of a contract are often confused in Georgian judicial practice. In some cases, the court does not distinguish between the concepts above and indicates that they are terms with identical content. Sometimes the court correctly distinguishes the institutions of withdrawal from the contract and termination of the contract based on the legal nature of the contractual relationship, however, there are also cases when withdrawal from the contract is considered an institution used to terminate long-term, and termination is considered an institution used to terminate short-term contractual relationships. The research revealed that both the reasoning developed by courts of various instances and the decisions of the Supreme Court of Georgia on contract termination and withdrawal contradict each other.

The second part of the study focuses on the prerequisites for withdrawal from the contract. This part of the study revealed that judicial practice is contradictory regarding the fulfillment of the requirements for withdrawal from the contract and its termination. For example, the courts cannot agree on when it is necessary to determine an additional period and when it is not.

Some clauses of Article 405 of the Civil Code lend themselves to broad interpretation. For example, it is challenging to define what constitutes a minor breach of contract or to determine whether the creditor is primarily responsible for the violation of an obligation. There are no precise criteria for assessing these circumstances. Therefore, their determination depends on the court's decision based on the factual circumstances of the case and the evidence presented. As a result of the research, it was revealed that the category of assessment is the reasonableness of the term for withdrawal from the contract. The court assesses this circumstance based on the evidence presented in the case and the factual circumstances of the case. It is especially problematic to evaluate cases where the creditor did not determine an additional term, assuming that it would not bring any results.

The third part of the study examines the legal implications of contract termination and withdrawal from the contract. During the study, it was revealed that withdrawal from the contract and termination differ in terms of restitutionary consequences. However, sometimes termination can also result in restitution, as can withdrawal from the agreement. The study revealed that, in some cases, the court incorrectly determines the scope of contractual obligations performed by the parties, thereby excluding restitution under Article 352 of the Civil Code. The analysis of court decisions has shown that the occurrence of restitutionary consequences significantly depends on the court's determination of the scope of obligations assumed based on the contract concluded between the parties. In the event of an incorrect assessment of the scope of these obligations, the restitutionary result that should have occurred under Article 352 of the Civil Code does not happen. The analysis of court practice has also shown us that in several cases, monetary restitution and compensation for damage are confused in decisions. The court considers the amount payable to the restitution creditor for financial restitution to be included in the damage compensation account, due to an incorrect interpretation of the normative content of Article 352 of the Civil Code. This part of the study revealed that it is problematic to determine whether the privilege of the authorized person applies to cases of compensation for damage in the event of withdrawal from the contract. A literal interpretation of the norm excludes the release of the restitution creditor from the obligation to compensate for damage based on this privilege. On the other hand, such a solution to the issue contradicts the essence of the authorized person's privilege and its purpose - to protect the rights of the authorized person in the event of withdrawal from the contract.

Keywords: withdrawal from the contract, termination of the agreement, long-term contractual relationship, short-term contractual relationship, restitution.

შინაარსი

შესავალი	11
ლიტერატურის მიმოხილვა.....	18
თავი I. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის უფლებები	22
1.1 ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება	22
1.2. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების აღრევა სსკ-ში	27
1.3 ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის გამიჯვნის საკითხი საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	29
1.3.1. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების გამიჯვნა სსკ-ის 399-ე მუხლის მიხედვით	34
1.3.2. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების გამიჯვნა სსკ-ის 491-ე და 492-ე მუხლების მიხედვით	37
1.3.3. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების აღრევა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.....	41
1.4. ხელშეკრულების მოშლის უფლების სამართლებრივი ბუნება	45
1.4.1. ხელშეკრულების მოშლის ფაქტის დადგენა სასამართლოს მიერ	46
1.4.2. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა როგორც მეორეული მოთხოვნები	48
1.5 ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის მიზეზები	53
1.5.1 შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმი მისადაგების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისა და მისი მოშლის მიზეზი	56
1.5.2 სასამართლო პრაქტიკა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შესახებ	59
1.6 ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებების ხანდაზმულობის ვადა	66
თავი II ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის კანონისმიერი წინაპირობები	71
2.1. სსკ-ის 405-ე მუხლის გავრცელება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ.....	71

2.1.1. გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის გამომრიცხავი გარემოება.....	74
2.1.2. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა	76
2.2. კრედიტორის ბრალეულობა როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება.....	77
2.2.1. სასამართლო პრაქტიკა შერეული ბრალის შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე	80
2.3. შესაგებელის წარდგენა, როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება.....	83
2.4. უმნიშვნელო დარღვევა როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება.....	84
2.4.1. სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევის თაობაზე.....	88
2.5. გონივრული ვადა და გაფრთხილება როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობა	96
2.5.1. დამატებითი ვადისა და გაფრთხილების გამიჯვნა	97
2.5.2. გარემოებები როდესაც დამატებითი ვადა ან/და გაფრთხილება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს	100
2.5.3. დამატებითი ვადის განსაზღვრა	101
2.5.4. დამატებითი ვადის დაწესების საჭიროების არარსებობა	103
2.5.5. დამატებითი ვადის დაწესების საჭიროების საკითხი ვალდებულების შესრულების განსაზღვრული ვადის არსებობის შემთხვევაში	106
თავი III. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგები.....	111
3.1. რესტიტუციის შესაძლებლობა გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში.....	111
3.2. რესტიტუციული შედეგები ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის შემთხვევაში	114
3.2.1. რესტიტუციის საფუძვლების გამიჯვნა.....	117
3.2.2. რესტიტუციის მოთხოვნის ხანდაზმულობა ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის შემთხვევაში	121

3.2. 3. ფულადი რესტიტუცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში	122
3.2.4. ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე	124
3.2.5 ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა საგნის გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის გამო.....	127
3.2.6. ხელშეკრულებიდან გასვლის რესტიტუციული შედეგები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	130
3.2.6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლების მნიშვნელობა რესტიტუციული შედეგებისთვის.....	141
3.2.6.2. ფულადი რესტიტუცია ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში	151
3.3. ფულადი რესტიტუცია ხელშეკრულების საგნის განადგურების შემთხვევაში	154
3.4. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის რესტიტუციული შედეგები	160
3.5. ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავი გარემოებები ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში	163
3.5.1. კრედიტორის ბრალი როგორც ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავი გარემოება.....	165
3.5.2. ფულადი რესტიტუციის გამორიცხვა უფლებამოსილ პირთან შენახული საგნის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში	168
3.6 ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში	174
3.6.1. ანაზღაურებადი ზიანის სამართლებრივი ბუნება.....	177
3.6.2. ზიანის ანაზღაურების წინაპირობები ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ	179
3.6.3. ზიანის მიყენების მომენტი სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით	180
3.6.4. უფლებამოსილი პირის პრივილეგია, როგორც ზიანის ანაზღაურებისგან დაცვის საფუძველი	181
დასკვნა.....	184
რეკომენდაციები	189
გამოყენებული ლიტერატურა.....	192

შესავალი

კვლევის აქტუალობა

სახელმწიფო ურთიერთობები ქმნის როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების ეკონომიკური საქმიანობის, ასევე სახელმწიფო უფლებების სამართლებრივი დაცვის საფუძვლებს. მხარეები, რომლებიც აპირებენ სახელმწიფო ურთიერთობის დამყარებას ადგენენ ხელმწიფოების პირობებს და ვარაუდობენ რომ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად შესრულდება. თუმცა პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარეებს უწევთ ხელმწიფოების შეწყვეტა-მისი მოშლა, ან ხელმწიფოებიდან გასვლა. სახელმწიფო ურთიერთობის დასრულება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ან სასამართლოსთვის მიმართვის გზით. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორი სამართლებრივი ინსტიტუტის-ხელმწიფოებიდან გასვლის და ხელმწიფოების მოშლის სამართლებრივი ბუნება, მათი ურთიერთმიმართება, ის სამართლებრივი შედეგები რომლებიც დგება ხელმწიფოების მოშლის და ხელმწიფოებიდან გასვლის შემდეგ.

წინამდებარე კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ხელმწიფოებიდან გასვლის და ხელმწიფოების მოშლის ინსტიტუტების გამოყენება კანონით დადგენილ ფარგლებში უზრუნველყოფს საქმის სასამართლოში განხილვის შედეგების განჭვრეტადობას. მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ განსაზღვრონ სასარჩლო მოთხოვნების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები და განჭვრიტონ შედეგები, რომლებიც დადგება საქმის სასამართლოში განხილვის შედეგად. აღნიშნულის საპირისპიროდ ხელმწიფოებიდან გასვლის და ხელმწიფოების მოშლის თაობაზე არსებული არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა არ აძლევს მხარეებს იმის შესაძლებლობას, რომ განსაზღვრონ სამართლის ნორმები, რომლებსაც დააფუძნებენ სასარჩლო მოთხოვნებს. არაერთგვარონი სასამართლო

პრაქტიკა ასევე აფერხებს იმ შედეგების განჭვრიტას, რომლებიც დადგება საქმის სასამართლოში განხილვის შედეგად. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის შესახებ არსებული არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღნიშნული ინსტიტუტების გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია აზიანებს საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების სახელშეკრულებო უფლებებს, მათ ინტერესებს და აფერხებს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

სსკ-ი არ მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების განმარტებებს. აქედან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკაში უნდა მოხდეს აღნიშნული ცნებების განმარტება, იმის დადგენა რომელი მუხლი გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში და რომელი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის დროს. კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ არაერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების განმარტების თაობაზე. ზოგ შემთხვევაში სასამართლო არ განასხვავებს ერთმანეთისგან ხელშეკრულებიდან გასვლას და ხელშეკრულების მოშლას, ან/და არასწორად მიჯნავს ერთმანეთისგან ამ ინსტიტუტებს (მაგ. რესტიტუციულ შედეგებზე მითითებით). სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით პრობლემურია იმის დადგენა მოშალა თუ არა მხარემ სახელშეკრულებო ურთიერთობა. ზოგ შემთხვევაში სასამართლო არასწორად მიუთითებს იმაზე რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ დასრულებულა. ნორმების მცდარი ინტერპრეტაციის შედეგად იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეს ეკისრება იმ ვალდებულებების შესრულება, რომლების დაკისრების სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს. შედეგად ზიანდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის ინტერესები და ირღვევა მისი სახელშეკრულებო უფლებები. ხშირია შემთხვევებიც როდესაც სასამართლო არასწორედ განმარტავს

ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის წინაპირობებს. კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ სასამართლო ზოგ შემთხვევაში არასწორედ ადგენს იმ რესტიტუციული შედეგების ფარგლებს, რომლებსაც წარმოშობს სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლა. რესტიტუციული შედეგების ფარგლების არასწორედ დადგენის გამო სასამართლო სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეებს აკისრებს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლების დაკისრების სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

წინამდებარე ნაშრომს აქვს როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის თეორიული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების სტრუქტურირებულ სამართლებრივ ანალიზს, ასევე აღნიშნული ინსტიტუტების გამოყენებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. ნაშრომი ააშკარავებს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ხარვეზებს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის შესახებ განხილულ საქმეებზე. წინამდებარე დისერტაცია პასუხს სცემს ისეთ კითხვებს, რომლებზე პასუხსაც არცერთი სხვა ქართულენოვანი სამართლის ლიტერატურა არ მოიცავს. მაგალითად, ნაშრომში შესწავლილია ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საკითხი ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების მიმართ, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის შედეგები სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულებასთან მიმართებით, კრედიტორის თანაბრალეულობა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის გამომრიცხავი გარემოება და ა.შ. წინამდებარე ნაშრომის შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტებს, ასევე სამართლის შესწავლით დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა გააღრმავონ კვლევა ხელშეკრულების მოშლის, ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტების შესახებ, გამოარკვიონ

სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები და გამოიყენონ წინამდებარე ნაშრომის მიგნებები საკუთარ ნაშრომებში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს რომ იგი შეიძლება გახდეს გამოსადეგი ლიტერატურა მოქმედი და მომავალი პრაქტიკოსი იურისტებისთვის, რომლებსაც პრაქტიკაში ექნებათ ხელშეკრულების მოშლასთან და ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებული სასამართლო დავები. პრაქტიკოსებს შეუძლიათ გამოიყენონ ნაშრომში არსებული სასამართლო პრაქტიკა, მისი ანალიზი და კვლევის შედეგები, რაც გაზრდის სასამართლოში საქმის წარმატებით დასრულების შანსებს. ნაშრომი დაეხმარება მოსამართლეებს მიიღონ სწორი, სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი და პროგნოზირებადი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება ასევე ვლინდება იმაშიც, რომ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრული რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) იმ ნორმების რედაქტირება სადაც ერთმანეთშია აღრეული ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებები. კვლევის შედეგები ასევე იძლევა სხვადასხვა ნორმების რედაქტირების საშუალებას, რომლებიც გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების რეგულირების მიზნით.

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანია ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების მარეგულირებელი ნორმების სტრუქტურით ანალიზი საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე წინამდებარე კვლევის ამოცანებია: 1. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების გამიჯვნა; 2. სსკ-ის იმ ნორმების ანალიზი სადაც ერთმანეთშია აღრეული ხელშეკრულებიდან გასვლის და

ხელშეკრულების მოშლის ცნებები; 3. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების სამართლებრივი ანალიზი; 4. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების გამოყენებისთვის სსკ-ის მიხედვით დადგენილი წინაპირობების სამართლებრივი ანალიზი; 5. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის შედეგების სამართლებრივი ანალიზი; 6. რეკომენდაციების დადგენა სსკ-ის ნორმების რედაქტირების მიზნით.

კვლევის ძირითადი დაშვებები

წინამდებარე ნაშრომის პირველი დაშვების მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ყველაზე არსებითი განმასხვავებელი ნიშანია სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება. მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, ხოლო გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა უნდა დასრულდეს ხელშეკრულების მოშლის მეშვეობით.

წინამდებარე ნაშრომის მეორე დაშვების თანახმად ზოგ შემთხვევაში სასამართლო არასწორედ განმარტავს ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის კანონით დადგენილ წინაპირობებს სსკ-ის 452-ე მუხლის მიხედვით.

წინამდებარე ნაშრომის მესამე დაშვების თანახმად სასამართლო ახდენს ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის რესტიტუციული შედეგების მარეგულირებელი ნორმების მცდარ ინტერპრეტაციას, რის შედეგადაც სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ არ დგება ის რესტიტუციული შედეგები რომლებიც უნდა გამოეწვია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლას ან მის მოშლას.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი კითხვებია:

1. როგორია ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის

სამართლებრივი ბუნება?

2. როგორია ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება?
3. რა განასხვავებს ერთმანეთისგან ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს?
4. რის მიხედვით მიჯნავს საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს?
5. რომელი კანონით დადგენილი წინაპირობები უნდა იქნას დაკმაყოფილებული ხელშეკრულებიდან გასვლისთვის?
6. რომელი კანონით დადგენილი წინაპირობები უნდა იქნას დაკმაყოფილებული ხელშეკრულების მოშლისთვის?
7. როგორ განმარტავს საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის წინაპირობებს?
8. რა შედეგები მოჰყვება ხელშეკრულებიდან გასვლას?
9. რა შედეგები მოჰყვება ხელშეკრულების მოშლას?
10. როგორია სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების რესტიტუციული შედეგების თაობაზე?

კვლევის მეთოდები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ფორმალური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები. ფორმალური კვლევის მეთოდი გამოყენებულია სამართლის ნორმების ანალიზის მიზნით. ამ მეთოდის გამოყენებით ანალიზს დაექვემდებარა ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების მარეგულირებელი სამართლის ნორმები. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით ერთმანეთთან შედარდა სსკ-ის და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში გსკ) ნორმები ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. ლოგიკური ანალიზის

მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი დაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტები, მათი მსგავსებები და განსხვავებები. ამავე ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის შესახებ. ნაშრომის მეორე თავი ეთმობა ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის კანონით დადგენილ წინაპირობებს უპირატესად სსკ-ის 452-ე მუხლის მიხედვით. ამავე ნაწილში მოცემულია ხელშეკრულების საფუძველზე ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლისთვის დადგენილი წინაპირობების სამართლებრივი ანალიზი. ნაშრომის მეორე თავი მოიცავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის წინაპირობების თაობაზე განხილული საქმეების კრიტიკულ სამართლებრივ ანალიზს. ნაშრომის მესამე თავი ეთმობა ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის რესტიტუციულ შედეგებს, ამ შედეგების მარეგულირებელი ნორმების ანალიზს და სასამართლო პრაქტიკას. ნაშრომის მესამე თავში ყურადღება ეთმობა სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ რესტიტუციის გამომრიცხავ გარემოებებს, აგრეთვე რესტიტუციის პარალელურად ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

ლიტერატურის მიმოხილვა

სსკ-ის თანახმად მხარეებს შორის არსებული სახელმწიფო ურთიერთობის დასრულება შესაძლებელია ორი სხვადასხვა ინსტიტუტის-ხელმწიფოებიდან გასვლის და ხელმწიფოების მოშლის საშუალებით. სამართლის ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად ხელმწიფოებიდან გასვლის ინსტიტუტი მოკლევადიანი სახელმწიფო ურთიერთობის დროს გამოიყენება, ხოლო მოშლის ინსტიტუტი გრძელვადიანი სახელმწიფო ურთიერთობის მიმართ გამოიყენება¹, რაც აღნიშნული ინსტიტუტების განმასხვავებელი ნიშანია. ერთერთ სტატიაში სამართლის დოქტორი-ნიჩო ფიფია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად არ განასხვავებენ ერთმანეთისგან ხელმწიფოების მოშლის და ხელმწიფოებიდან გასვლის ინსტიტუტებს, ხოლო სკ-ში ერთმანეთშია აღრეული ხელმწიფოებიდან გასვლის და მისი მოშლის ცნებები². ნიშანდობლივია, რომ მოსაზრებას, რომლის თანახმად ხელმწიფოების მოშლის ინსტიტუტი არაა დამოუკიდებელი ინსტიტუტი ვხვდებით სამართლის ლიტერატურაშიც. ამ მოსაზრების თანახმად ხელმწიფოების მოშლა და ხელმწიფოებიდან გასვლა იდენტური შინაარსის მქონე ცნებებია, თუმცა განსხვავდება რესტიტუციული შედეგების მიხედვით³. აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ ფიფია თვლის, რომ ხელმწიფოებიდან გასვლის ინსტიტუტი განსხვავდება ხელმწიფოების მოშლის ინსტიტუტისგან. ამ გარემოების

¹ რუსიაშვილი, გ., საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები და მათი გავლენა ნაციონალური

ბანკების მიერ დადებულ ხელმწიფოებზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, #, 2023, 28;

<http://www.openlibrary.ge/bitstream/123456789/10353/1/DGZR-2-2023.pdf>

² ჟორჟოლიანი, გ. „ვირტუალური ქონება როგორც ნივთობრივი უფლების ობიექტი“, Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, №2, 2023, 135

³ ჯანაშია, ლ., სახელმწიფოებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 516

გათვალისწინებით სასურველია სკ-ში რიგი ნორმების რედაქტირება⁴. კერძოდ, უნდა განხორცილდეს ტერმინოლოგიური ცვლილებები. ყველგან სადაც დღეის მდგომარეობით გამოყენებულია ტერმინი „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“ უნდა იქნას გამოყენებული ტერმინი „ხელშეკრულებიდან გასვლა“ (BGB-ში „Rücktritt“), ხოლო ტერმინი „ხელშეკრულების შეწყვეტა“ რეკომენდირებულია შეცვალოს ტერმინით „ხელშეკრულების მოშლა“ (BGB-ში („Kündigung“))⁵.

სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთერთ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა და იგი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების მიზნით გამოიყენება. ამავე გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი სსკ-ში გსკ-ის გავლენით დამკვიდრდა⁶. სასამართლო პრაქტიკის თანახმად ხელშეკრულების მოშლის უფლებაც აღმჭურველი უფლებაა⁷. ნიშანდობლივია, რომ სწორედ აღნიშნული უფლებების სამართლებრივი ბუნება განაპირობებს მათ მიმართ ხანდაზმულობის საერთო 10 წლიანი ვადის გაუვრცელებლობას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარის ავტორი იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის მიმართ არ უნდა გავრცელდეს ხელშეკრულების საერთო ხანდაზმულობის ვადა⁸. არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც აღნიშნული უფლებების მიმართ

⁴ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 33

⁵ იქვე, 33

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1166-2019

⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/5993-15

⁸ კროპპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 228

ხანდაზმულობის საერთო ვადა უნდა გავრცელდეს⁹.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს (შემდგომში სუსი) განმარტების თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლა ან/და მისი მოშლა მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშია შესაძლებელი. ეს წინაპირობები სკ-ის 405-ე მუხლშია თავმოყრილი. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინონ ხელშეკრულებიდან გასვლის, ან/და მისი მოშლის წინაპირობები¹⁰. სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების თანახმად სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ წარმოშობს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ხელშეკრულების შეუსრულებლობა „გარკვეული ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო. ხელშეკრულებიდან გასვლის პირობა ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულებაა¹¹“. ამავე გადაწყვეტილების თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას არ წარმოშობს სახელშეკრულებო ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა. დარღვევის მასშტაბი სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე. სამართლის ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლა ან მისი მოშლა შესაძლებელია მოხდეს იმ გარემოებების გამო, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ხელშეკრულების მიზნების მიღწევას. მაგალითად, თუ გარემოებები არსებითად შეიცვალა და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-360-360-2018

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1166-2019

¹¹ იხ. იქვე

მისადაგება შეუძლებელია, ეს შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის საფუძველი¹².

ზოგადად სასამართლო პრაქტიკაში, ასევე სამართლის ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი ერთმანეთისგან რესტიტუციული შედეგებით განსხვავდება¹³. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად სრულდება სახელშეკრულებო ურთიერთობა და მხარეების მიერ ერთმანეთისთვის გადაცემული სიკეთის უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობება¹⁴. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რესტიტუცია შესაძლოა ხელშეკრულების მოშლამაც გამოიწვიოს. მაგალითად ფიფია თავის სადისერტაციო ნაშრომში მიუთითებს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მოშლაზე სსკ-ის სსკ-ის 661-ე მუხლის მიხედვით, რაც წარმოშობს გადაცემულის უკან დაბრუნების-რესტიტუციის ვალდებულებას¹⁵.

¹² რუსიაშვილი, გ., დარჯანია, თ., მაისურაძე, დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2020, 22

¹³ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 292

¹⁴ მუტჰორსტი, ო., დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით: ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი IV – ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, # 12, 2021, 10; ხელმისაწვდომია <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/02/DGZR-12-2021.pdf>

¹⁵ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 33

თავი I. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის უფლებები

1.1 ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

ხელშეკრულება არის მხარეთა შეთანხმება რომლის შედეგად მხარეებს წარმოეშობათ უფლებები და ვალდებულებები. იგი შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი¹⁶. ხელშეკრულების დადებას შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს იმ უფლებების და ვალდებულებების შეცვლა ან დასრულება რომლებიც წარმოიშვა კონტრაქტის დადებამდე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგად¹⁷. სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მხარეების მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად. მხარეთა მიერ თავისუფალი ნების გამოვლენა ეფუძნება სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისუფლების პრინციპს¹⁸. ამავეზე მიუთითა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (შემდგომში სუს-ი), რომლის განმარტების თანახმად ხელშეკრულება მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგია. ეს კონსენსუსი მიიღწევა მხარეთა მიერ გამოვლენილი თავისუფალი ნების შედეგად. მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა საჭიროებს ნების გამოვლენას სულ მცირე ორი მხარის მიერ. სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობისთვის მხარეების მიერ გამოვლენილი ნება თანხვედრაში უნდა

¹⁶ Soliman, M., 'Überblick: Vertragstypen' (Rechtskunde Online, Universität Potsdam, last updated 3 June 2024); retrived from <https://www.uni-potsdam.de/de/rechtskunde-online/rechtsgebiete/zivilrecht/vertrag/vertragstypen>

¹⁷ ფიფია, ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საკანონმდებლო ხარვეზები ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტებთან მიმართებაში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 6, 2017, 134; <https://lawandworld.ge/wp-content/uploads/2020/03/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90-1.pdf?fbclid=IwAR2rE4FYWFvp3dQkd7fdxax83JTKydfefdZ78eVkfUqywiQQNp21mZOzJCs>
ხელმისაწვდომი 02.03.2021 მდგომარეობით

¹⁸ Wurmnest, W., 'Contract Law' in Joachim Zekoll and Gerhard Wagner (eds), Introduction to German Law (3rd edn, Kluwer Law International 2019), p. 207; retrived from <https://www.jura.uni-hamburg.de/media/die-fakultaet/personen/wurmnest-wolfgang/wurmnest-contract-law-in-zekoll-wagner-introduction-to-german-law.pdf>

იყოს ერთმანეთთან¹⁹. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გულისხმობს მხარეთა მიერ კონტრაქტის შინაარსის და ფორმის განსაზღვრის თავისუფლებას²⁰. ამ პრინციპზე დაფუძნებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ნებაყოფლობითდამყარების უფლება შესაძლებლობას აძლევს მხარეებს ჰქონდეთ ეკონომიკური ურთიერთობები²¹.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა²² (Gestaltungsrecht)²³. ამ მოსაზრების სისწორეზე მეტყველებს ის გარემოება რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მხარეს აქვს უფლება დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა და გადაიყვანოს იგი განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში, რასაც შედეგად მოჰყვება რესტიტუცია-მხარეთა შორის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა²⁴. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება დამოკიდებულია ხელშეკრულების მხარის ნება-სურვილზე. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად არის შესაძლებელი, რაც ნიშნავს რომ ამ უფლების განხორციელებისთვის ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობა საჭირო არ არის²⁵.

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-559-2019

²⁰ Pieck, M., 'A Study of the Significant Aspects of German Contract Law', 3(1) Annual Survey of International & Comparative Law, 1996, p 111; retrieved from <https://digitalcommons.law.ggu.edu/annlsurvey/vol3/iss1/7/>

²¹ ჰაიგერტი, კ., კოტცი, ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართალში, ტომი მეორე, თბ, 2001, 7

²² ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 37;

<https://openscience.ge/bitstream/1/139/1/Pipia%2C%20nino%20Sadoqtoro.pdf?fbclid=IwAR3DHrvLQeCVXBQGorNa3VfW2CqtGkZRfianq1N0c6nd2NFwfoxNl8wS-Ns> ხელმისაწვდომი 02.03.2021 მდგომარეობით

²³ Schlechtriem, P., 'Termination and Adjustment of Contracts', 1(3) European Journal of Law Reform, 1998, P. 316; retrieved from https://cisg-online.org/files/commentFiles/Slechtriem_1_EJLR_1999_305.pdf

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-219-2019

²⁵ ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 231;

<https://tsufacultyofflaw.files.wordpress.com/2016/08/e183a1e18390e1839be1839de183a5e18390e1839ae18390e183a5e1839d-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae18398e183a1->

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში გამსვლელი მხარე დამოუკიდებლად, სხვა პირის მონაწილეობისა და თანხმობის გარეშე ახდენს ზემოქმედებას იმ უფლებრივ მდგომარეობაზე რომელიც განისაზღვრა ხელშეკრულების მიხედვით²⁶.

ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე მხარის მიერ გამოვლენილი ნება იმგვარად უნდა იქნას გამოხატული რომ მეორე მხარისთვის გასაგები იყოს მისი შინაარსი. სასამართლოს განმარტების თანახმად ხელშეკრულების შეწყვეტა (ხელშეკრულებიდან გასვლა) უნდა მოხდეს სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად²⁷. აღნიშნული ნორმის მიხედვით „ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“²⁸. მას შემდეგ რაც ნების გამოვლენის თაობაზე შეტყობინება მიუვა მეორე მხარეს იგი იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. სუს-ის ამავე განმარტების თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლა არ საჭიროებს სასამართლოს ან სხვა რომელიმე ორგანოს მიერ დადასტურებას²⁹. მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტის დადგენა და სასამართლოს მიერ მისი დადასტურება. მიუხედავად იმისა რომ მხარეს არ ესაჭიროება სასამართლოს ან სხვა რომელიმე ორგანოს ნებართვა ხელშეკრულებიდან გასვლის მიზნით, სწორედ სასამართლომ უნდა დაადგინოს გავიდა თუ არა მხარე ხელშეკრულებიდან ხელშეკრულებიდან გასვლა არის ფაქტი, ხოლო სასამართლომ უნდა შეაფასოს დაიცვა თუ არა მხარემ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით

[e18399e1839de183931.pdf?fbclid=IwAR2iNH3kboQmlHURrmSwX1-eIn6-](https://core.ac.uk/download/pdf/83905718.pdf?fbclid=IwAR2iNH3kboQmlHURrmSwX1-eIn6-A1sLn0nZZNqx0GB0hCWMKwGVvmHphLM)

[A1sLn0nZZNqx0GB0hCWMKwGVvmHphLM](https://core.ac.uk/download/pdf/83905718.pdf?fbclid=IwAR2iNH3kboQmlHURrmSwX1-eIn6-A1sLn0nZZNqx0GB0hCWMKwGVvmHphLM) ხელმისაწვდომი 02.03.2021 მდგომარეობით

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-277-264-2013

²⁷ იხ. იქვე; იხ. ასევე ნაჭყებია, ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), გერმანიის თანამშრომლობა (giz), 2014, 126;

<https://core.ac.uk/download/pdf/83905718.pdf?fbclid=IwAR2ouKA1wIHsc4N5cCj829jyhPEs8N4BtFUjTWvddE7eclx0r72WPSBahWI> ხელმისაწვდომი 03.03.2021 მდგომარეობით

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 51-ე მუხლის პირველი ნაწილი

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-277-264-2013

გათვალისწინებული წინაპირობები, რასაც შედეგად მოჰყვა ხელშეკრულებიდან გასვლა. გარდა სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობებისა სასამართლო ამოწმებს ხელშეკრულებიდან გასვლის იმ საფუძვლების არსებობასაც რომლებიც განსაზღვრულია სსკ-ის 398-ე მუხლის მიხედვით და ითვალისწინებს სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარის თქმის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები რომლებიც გახდა ხელშეკრულების დადების საფუძველი იმდენად შეიცვალა, რომ მხარეები ხელშეკრულებას არ დადებდნენ, ან დადებდნენ მას სხვა შინაარსით³⁰. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მეშვეობით კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს აღადგინოს ის მდგომარეობა რაც იარსებებდა ხელშეკრულება რომ არ დადებულიყო³¹. მხარეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს გავიდეს ხელშეკრულებიდან თუ დაცულია სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები³². რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება საჭიროებს შესაბამისი წინაპირობების დაცვას, იგი არ არის შეუზღუდავი უფლება. ამავეზე მიუთითებს სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხარეს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე დაარღვევს ნაკისრ ვალდებულებას. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით ხელშეკრულების მხოლოდ არსებითი დარღვევა შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი³³. გამომდინარე იქიდან

³⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 398-ე მუხლის პირველი ნაწილი; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-220-209-2017; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2019, #3, 65

³¹ დიოგიძე, თ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა ქუჩაში დადებული გარიგებების დროს, თბ., 2019, 110;

https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Tamar_Diogidze.pdf?fbclid=IwAR2IR1BVn4fX7jC6Bb1CsHNHJ6wLLh4ZAczNy3uGZLH-W-bHseOaGAWNvSI ხელმისაწვდომი 02.03.2021 მდგომარეობით

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-931-889-2013

³³ ფაჩუაშვილი, ნ., ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულებები, მათი ბათილობის, შეწყვეტის, მათზე უარის თქმის საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები, თბ., 2019, 119;

რომ გასვლის უფლება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრული წინაპირობების დაცვის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, იგი წარმოადგენს უკიდურეს ზომას (ultima ratio)³⁴. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტების თანახმად სსკ-ის 352.1-ე და 405.1-ე მუხლების ნორმატიული შინაარსი იმაზე მეტყველებს რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება უკიდურესი ზომაა. კერძოდ, 352.1-ე მუხლში კანონმდებელი მიუთითებს მხარის უფლებაზე დაასრულოს ხელშეკრულება განსაზღვრული წინაპირობების შემთხვევაში, ხოლო სსკ-ის 405.1-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია ხელშეკრულების დასრულების წინაპირობები. ე.ი. სასამართლოს განმარტების მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების დაცვის შედეგად არის შესაძლებელი. რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სამართლებრივი კონსტრუქცია არ ამოიწურება სსკ-ის 405-ე მუხლით და მოიცავს სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებსაც, აღნიშნული ნორმა ასევე ზღუდავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების შესაძლებლობას³⁵.

ხელშეკრულების დასრულების უფლების მეშვეობით მიიღწევა განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი-სრულდება ხელშეკრულება, რის შედეგადაც მხარეებს აღარ აქვთ ის უფლებები და მოვალეობები რომლებსაც აკისრებდათ სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამის შემდეგ იმ პირებს რომლებმაც დაასრულეს სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ წარმოემობათ ახალი უფლებები და ვალდებულებები. რადგან ხელშეკრულების დასრულების შემდეგ მხარეები აღარ არიან

³⁴ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 37;
<https://openscience.ge/bitstream/1/139/1/Pipia%2C%20nino%20Sadoqtoro.pdf?fbclid=IwAR3DHrvLQeCVXBQGorNa3VfW2CqtGkZRfianq1N0c6nd2NFwfoxNl8wS-Ns> ხელმისაწვდომი 02.03.

2021 მდგომარეობით

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-220-209-2017; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2019, #3, 65

სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეები მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადადის³⁶. კერძოდ, მხარეებმა უნდა განახორციელონ ორმხრივი რესტიტუცია, რაც გულისხმობს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. იმისათვის რათა აღდგეს თავდაპირველი მდგომარეობა მხარეებმა უნდა მოახდინონ იმ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონების უკუქცევა, რომელიც დასრულდა ერთერთი მხარის მიერ გასვლის უფლების განხორციელების შედეგად.³⁷

1.2. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების აღრევა სსკ-ში

ხელშეკრულების დასრულება შესაძლებელია კერძო სამართლის ორი სხვადასხვა ინსტიტუტის-ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის გამოყენებით³⁸. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შესაძლებლობა განსაზღვრულია სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების მიხედვით. სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მხარე უარს ამბობს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე³⁹. სსკ-ის 352-ე მუხლის სახელწოდებაა „ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები“. სსკ-ის 352-ე მუხლით იწყება სახელშეკრულებო სამართლის მე-5 თავი რომლის სახელწოდებაა „ხელშეკრულებიდან

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-219-2019; იხ. ასევე ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 37

³⁷ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 37

³⁸ ფიფია, ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საკანონმდებლო ხარვეზები ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტებთან მიმართებაში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 6, 2017, 134

³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997; 352-ე მუხლის პირველი ნაწილი; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107> ხელმისაწვდომი 02.03.2021 მდგომარეობით

გასვლა“, რაც იმაზე მიუთითებს რომ კანონმდებელი ერთმანეთთან აიგივებს ხელშეკრულებაზე უარის თქმას და ხელშეკრულებიდან გასვლას.

სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში⁴⁰. ამავე ნორმის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტში კანონმდებელი მიუთითებს ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობის შესახებ.⁴¹ ე.ი. სსკ-ის 405-ე მუხლში გამოყენებულია ტერმინები „ხელშეკრულების მოშლა“ და „უარი ხელშეკრულებაზე“ რაც იმას ნიშნავს რომ კანონმდებელი ერთმანეთთან აიგივებს ხელშეკრულების მოშლას და უარს ხელშეკრულებაზე. სსკ-ის 352-ე მუხლში ტერმინი „უარი ხელშეკრულებაზე“ გამოყენებულია ხელშეკრულებიდან გასვლის მნიშვნელობით, ხოლო სსკ-ის 405-ე მუხლში იგივე ტერმინი გამოყენებულია ხელშეკრულების მოშლის მნიშვნელობით, რაც იმაზე მიუთითებს რომ სსკ-ში კანონმდებელმა ერთმანეთთან გააიგივა ხელშეკრულებაზე უარი, ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა.

ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების აღრევას ადგილი აქვს სსკ-ის 399-ე მუხლშიც. სსკ-ის 399-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი⁴²“. კოდექსის აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით კანონმდებელი ერთმანეთისგან არ განასხვავებს ხელშეკრულებაზე უარის თქმას და ხელშეკრულების მოშლას. ამავე ნორმის მე-4 ნაწილში კანონმდებელი კვლავ მიუთითებს ხელშეკრულების მოშლის უფლების შესახებ. კერძოდ, სსკ-ის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ხელშეკრულების მოშლას შედეგად უნდა მოჰყვეს რესტიტუცია სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. რადგან სსკ-ის 352-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის რესტიტუციული შედეგები კანონმდებელი

⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997; 405-ე მუხლის პირველი ნაწილი;

⁴¹ იქვე, 405-ე მუხლის მეორე ნაწილი, „გ“ პუნქტი

⁴² იქვე, 399-ე მუხლის მე-3 ნაწილი

სსკ-ის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილში ერთმანეთისგან არ განასხვავებს ხელშეკრულების მოშლას და უარს ხელშეკრულებაზე.

1.3 ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის გამიჯვნის საკითხი საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ქართულ სამართლის ლიტერატურაში, ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმის თაობაზე არის თუ არა ხელშეკრულების მოშლა სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, რომელიც მრავალჯერ იქნა გაზიარებული სასამართლო პრაქტიკაში, ხელშეკრულების მოშლა არ არის სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი. იგი ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთი შემთხვევაა რომელიც შედეგად არ იწვევს რესტიტუციას გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგიერთი მკვლევარის აზრით ხელშეკრულების მოშლა არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტს რადგან კოდექსის რიგი ნორმების თანახმად ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის ინსტიტუტები⁴³. ამავე მოსაზრების მიხედვით კოდექსის ნორმები არ განსაზღვრავს არც ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებებს. ხელშეკრულების მოშლა ხელშეკრულებიდან გასვლისგან არც რესტიტუციული შედეგებით განსხვავდება⁴⁴, რადგან რესტიტუციას იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლა, ისევე როგორც ხელშეკრულების მოშლა. აქედან გამომდინარე ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებებს შორის სხვაობა ტერმინოლოგიური ხასიათისაა. ამ მოსაზრების გასამყარებლად მკვლევარები მიუთითებენ სსკ-ის 399-ე, 491-ე და 492-ე მუხლების ნორმატიულ შინაარსზე. ჩამოთვლილ მუხლებზე დაყრდნობით

⁴³ ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 516

⁴⁴ იქვე, 516

შესაძლებელია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება და იმ შედეგების დადგომა რაც სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით არის გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე მკლევარების ეს ნაწილი ვარაუდობს რომ სსკ-ში ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი არ არსებობს დამოუკიდებელი სახით⁴⁵. სამართლის ლიტერატურაში ვხვდებით საპირისპირო მოსაზრებებსაც რომლების თანახმად ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა არაა ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნებები და ისინი უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან არა სამართლის ნორმების სიტყვასიტყვითი განმარტების არამედ მათი შინაარსის მიხედვით. სსკ-ის კომენტარი გვთავაზობს ხელშეკრულების მოშლის შემდეგ განმარტებას: ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ეწოდოს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ხელშეკრულება წყდება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო ხოლო გადაცემულის უკუქცევა არ ხდება⁴⁶. ამ მოსაზრებას იზიარებს ნ. ფიფიაც თავის სადისერტაციო ნაშრომში. იგი მიუთითებს რომ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი დამოუკიდებლად არსებობს სსკ-ში და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის მსგავსია თუმცა აღნიშნული ცნებები არ არის იგივეობრივი შინაარსის. ამ ინსტიტუტების განმასხვავებელ ნიშნად ფიფია მიიჩნევს რესტიტუციულ შედეგებს, თუმცა დასძენს რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის არ განსხვავდება ხელშეკრულების მოშლისგან რესტიტუციული შედეგების მიხედვით⁴⁷. ამ თვალსაზრისით იგი იზიარებს ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოთქმულ მოსაზრებებს⁴⁸. გრძელვადიან ურთიერთობებში ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენების მაგალითად ფიფიას მოჰყავს სსკ-ის 661-ე მუხლი რომლის თანახმად ტურისტს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს გადაცემულის უკან დაბრუნება, რაც ასევე ადასტურებს

⁴⁵ ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 517

⁴⁶ ვაშაკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019, 660

⁴⁷ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 33

⁴⁸ თბილისის სააკელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/696-13

მოსაზრებას იმის თაობაზე რომ ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენება არ გამორიცხავს რესტიტუციის შესაძლებლობას ყველა შემთხვევაში⁴⁹. თუმცა ზოგიერთ წყაროში ვხვდებით ამ მოსაზრების საწინააღმდეგო მითითებებს. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში ფიფია განმარტავს რომ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში წარმოუდგენელია უკვე გადაცემულის უკუქცევა⁵⁰, რის შედეგადაც იგი წინააღმდეგობაში მოდის როგორც მისსავე სადისერტაციო ნაშრომში განვითარებულ მსჯელობასთან⁵¹, ასევე სსკ-ის კომენტარში მოცემულ განმარტებასთან, რადგან როგორც ავლნიშნე ხელშეკრულების მოშლის შედეგად შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს რესტიტუციას ზოგ შემთხვევაში.

განვიხილოთ თითოეული ზემოაღნიშნული მოსაზრება. ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იწვევს რესტიტუციულ შედეგებს, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლა ყველა შემთხვევაში უკავშირდება რესტიტუციას⁵². მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის ინსტიტუტებს სსკ-ი ერთმანეთისგან არ მიჯნავს სამართლის ნორმათა ანალიზიდან გამომდინარეობს რომ მოშლისა და გასვლის უფლებები განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა რომ სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს ხელშეკრულების მოშლისა და გასვლის ცნებების აღრევას, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიჯნავს ერთმანეთისგან ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის ინსტიტუტებს. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლო მიუთითებს რომ ხელშეკრულებიდან

⁴⁹ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 33

⁵⁰ ფიფია, ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საკანონმდებლო ხარვეზები ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტებთან მიმართებაში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 6, 2017, 136

⁵¹ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 33

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-219-2019

გასვლა და მისი მოშლა განსხვავებული შინაარსის მქონე ტერმინებია⁵³. აქედან გამომდინარე მოშლისა და გასვლის ინსტიტუტებიც დამოუკიდებლად არსებობს სსკ-ში, ხოლო ტერმინების აღრევა კოდექსის ზოგიერთ მუხლში არ ნიშნავს რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა იგივეობრივი შინაარსის ცნებებია. ხელშეკრულებიდან გასვლა ვრცელდება მოკლევადიანი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, ხოლო ხელშეკრულების მოშლა გრძელვადიანი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება, რაც ასევე წარმოადგენს აღნიშნული ინსტიტუტების განმასხვავებელ ნიშანს. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა რომ სამოქალაქო სამართალი იცნობს გრძელვადიან და მოკლევადიან ხელშეკრულებებს. ხელშეკრულების გრძელვადიანობა არ გულისხმობს მის ხანგრძლივ მოქმედებას ხოლო ხელშეკრულების მოკლევადიანობა არ ნიშნავს მის მოქმედებას დროის მოკლე მონაკვეთში. გრძელვადიანია ხელშეკრულება როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მრავალჯერადად ხდება, ამ ვალდებულებების შინაარსობრივი ფარგლების წინასწარ განსაზღვრის გარეშე. მაგალითად, გრძელვადიანი ხელშეკრულებებია: ქირავნობა, იჯარა, დაზღვევა, შრომის ხელშეკრულება⁵⁴. შინაარსობრივ ფარგლებში იგულისხმება რომ მეორე მხარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების ფარგლები შეიძლება შეიცვალოს, გაიზარდოს ან შემცირდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ასევე იმ გარემოებების მიზეზით რომლებიც იწვევს აღნიშნული ვალდებულებების გაზრდას ან შემცირებას. მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები სრულდება მრავალჯერადად, დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე. გამქირავებელი უზრუნველყოფს

⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-991-2020

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას -779-746-2014; იხ. ასევე ხუციშვილი, ო. სისვამე, მ., ტოხოსაშვილი, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, #1-2, 25

დამქირავებლისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საცხოვრებელ პირობებს, ხოლო დამქირავებელი იხდის ბინით სარგებლობის საფასურს-ქირას. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ქირის შემცირების საფუძველი და დამქირავებელი მოითხოვს ქირის შემცირებას იგი შეიძლება შემცირდეს. შესაძლებელია ქირის გაზრდაც. ქირის შემცირების ან გაზრდის შედეგად იცვლება იმ ვალდებულების ფარგლები რომლის შესრულებაც იკისრა დამქირავებელმა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხელშეკრულებები ქირავნობის მაგალითზე⁵⁵. სასამართლოს განმარტებით რადგან გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა გულისხმობს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას დროს გარკვეული პერიოდის მანძილზე, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მხარე უარს ამბობს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე რასაც შედეგად მოჰყვება ხელშეკრულების დასრულება⁵⁶. ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში რესტიტუცია ვერ მოხდება იმის გამო რომ არ არსებობს მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების საფუძველი. დამქირავებელი უფლებამოსილია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება. შედეგად აღარ იარსებებს სამომავლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოვალეობა რაც იმას ნიშნავს რომ დამქირავებელი აღარ ისარგებლებს ქირით და აღარ იქნება ვალდებული გადაიხადოს ქონებით სარგებლობის საფასური.

მოკლევადიანი ხელშეკრულების მაგალითია ნასყიდობა. ნასყიდობის შემთხვევაში შესაძლებელია თანხის გადახდა ეტაპობრივად ხდებოდეს. მიუხედავად ამისა ნასყიდობა არ არის გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა. თუ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი მყიდველი უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს გადაცემულის უკან დაბრუნება. ამ შემთხვევაში მხარეთა შორის

⁵⁵ თბილისის სააკველაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13

⁵⁶ იქვე

სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას შედეგად მოსდევს რესტიტუცია⁵⁷.

1.3.1. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების გამიჯვნა სსკ-ის 399-ე მუხლის მიხედვით

როგორც ავლნიშნე სახელშეკრულებო სამართლის სახელმძღვანელოში მოყვანილი არგუმენტი იმის თაობაზე რომ სსკ-ის 399-ე, 491-ე და 492-ე მუხლებზე დაყრდნობით შესაძლებელია ხელშეკრულებიდან გასვლა 352-ე მუხლის მიხედვით არ ნიშნავს რომ ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტები ერთმანეთის იდენტურია⁵⁸. ამ ვარაუდის სისწორე დასტურდება სსკ-ის 399-ე მუხლის მაგალითზე. კერძოდ, 399-ე მუხლის პირველ ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის თაობაზე რადგან ამ კატეგორიის ურთიერთობების მიმართ არ მოქმედებს ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი.

სსკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შესაძლებლობა საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც არსებობს პატივსადები საფუძველი⁵⁹. ამავე ნორმის თანახმად ხელშეკრულების მოშლის პატივსადები საფუძველია ისეთი ვითარება (მათ შორის დაუძლეველი ძალა და ორმხრივი ინტერესი) როდესაც ხელშეკრულების მხარეს არ მოეთხოვება სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულების მხარეების მიერ შეთანხმებული ვადის გასვლამდე ან ხელშეკრულების მოშლისათვის განსაზღვრული ვადის გასვლამდე⁶⁰. 2020 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-1817-2019 სასამართლომ ერთმანეთისგან

⁵⁷ ახალკაცი, ქ., ხელშეკრულების შეწყვეტის და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი წინპირობები და შედეგები, თბ., 2019, 11

⁵⁸ ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 516

⁵⁹ ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მესამე წიგნი, თბ., გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 627

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 399-ე მუხლი, პირველი ნაწილი

გამიჯნა ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ ხელშეკრულების მოშლა ნიშნავს უარის თქმას გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. სსკ-ის 399-ე მუხლის თაობაზე სასამართლომ განმარტა რომ ხელშეკრულების მოშლა პატივსადები საფუძვლითაა შესაძლებელი, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების მიხედვით ერთობლიობაში განისაზღვრება⁶¹. აქედან გამომდინარე სასამართლო პრაქტიკა და სსკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული შინაარსი ერთმანეთისგან განასხვავებს ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტებს.

სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმის ტექსტი მოიცავს მითითებას სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ წინაპირობებზე. ნიშნავს თუ არა ეს იმას რომ სსკ-ის 399-ე მუხლის ტექსტში ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების ერთმანეთთან გაიგივებას? სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა შესაძლებელია გახდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ პუნქტი მიუთითებს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.⁶² როგორც ავღნიშნე ხელშეკრულებაზე უარი სსკ-ში გამოიყენება როგორც ხელშეკრულების მოშლის ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის აღსანიშნავად. აქედან გამომდინარე სსკ-ის 405-ე მუხლი ვრცელდება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ასევე ხელშეკრულების მოშლის შემთხვევების მიმართ. ამ მოსაზრების სისწორეზე მეტყველებს ის გარემოება რომ სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ უფლებას სასამართლო ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს ხელშეკრულების

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1817-2019

⁶² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 399-ე მუხლი

მოშლის მიზნით. მაგალითად მიუთითებს რომ ნასყიდობის როგორც მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება შესაძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად⁶³. სხვა შემთხვევაში სასამართლო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მითითებით მსჯელობს ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე⁶⁴. აქედან გამომდინარე კანონმდებელი არ აიგივებს ერთმანეთთან ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებების სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

სსკ-ის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად იმ შემთხვევაში თუ უკვე შესრულებულის მიმართ უფლებამოსილ პირს არ აქვს ინტერესი, ხელშეკრულების მოშლის შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მხარეების მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში გადაცემული ქონების უკუქცევა. აღნიშნული ნორმის მიხედვით განსაზღვრულია რესტიტუციის შესაძლებლობა ხელშეკრულების მოშლის შემთხვევებში. თუმცა კანონმდებელი მიუთითებს კონკრეტულ გარემოებაზე რომლის დროსაც შესაძლებელია რესტიტუცია. აქედან გამომდინარე აღნიშნული ჩანაწერი არ ნიშნავს რომ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის შედეგები იდენტურია ყველა შემთხვევაში. მეორე მხრივ აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ ხელშეკრულების მოშლა არ გამოირიცხავს რესტიტუციის შესაძლებლობას ყველა შემთხვევაში. მაგალითად, თუ მხარეებს შორის დადებულია ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობაა, ხოლო მენარდე დაამზადებს ნაკლოვან ნივთს, შემკვეთი უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს გადაცემული თანხის უკან დაბრუნება იმ შემთხვევაში თუ მენარდე არ აღმოფხვრის ნივთის ნაკლს შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში⁶⁵. თავისთავად ნივთის ნაკლი არ წარმოშობს

⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-341-2019

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-38-38-2018

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ას-717-670-2017

ხელშეკრულების მოშლის და გადაცემულის უკუქცევის შესაძლებლობას. შემკვეთმა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დაასაბუთოს რომ დაკარგა ინტერესი შესრულებული სამუშაოს მიმართ, რადგან მისი გარკვეული ნაწილი ნაკლის მქონეა. იმ შემთხვევაში თუ მხარე ვერ დაასაბუთებს რომ ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ დაკარგა ინტერესი, სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლას შედეგად არ მოჰყვება რესტიტუცია. სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს იმის დადგენა დაკარგა თუ არა მხარემ ინტერესი ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს მიმართ⁶⁶.

სსკ-ის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში გამოიყენება სსკ-ის 407-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის სახელწოდებაა „ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში“. ეს ნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების მიმართ რომელიც გამოიწვია მოკლევადიანი ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობამ გამოიყენება იგივე ნორმა რაც ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში. ე.ი. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენება იწვევს იდენტურ შედეგებს ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით⁶⁷.

1.3.2. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების გამიჯვნა სსკ-ის 491-ე და 492-ე მუხლების მიხედვით

სსკ-ის 491-ე და 492-ე მუხლების მიხედვით ნასყიდობის ხელშეკრულების დასრულება შესაძლებელია ხელშეკრულების მოშლის მეშვეობით. განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის არსებობს მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა. როგორც უკვე ავღნიშნე ნასყიდობის ხელშეკრულება განეკუთნება მოკლევადიანი ხელშეკრულებების რიცხვს ხოლო ამ ტიპის ხელშეკრულებების მიმართ არ

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ას-717-670-2017

⁶⁷ იხ. ჯანაშია,ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 511

ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი⁶⁸. აქედან გამომდინარე სსკ-ის 491-ე და 492-ე მუხლებში აღრეულია ტერმინები. ნაცვლად ტერმინისა „ხელშეკრულების მოშლა“ სსკ-ის 491-ე და 492-ე მუხლების ტექსტში უნდა იყოს აღნიშნული „ხელშეკრულებიდან გასვლა“ რადგან მოკლევადიანი ხელშეკრულებების დასრულების შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობა წყდება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად რაც წარმოშობს რესტიტუციის ვალდებულებას სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებისთვის. აღნიშნული მოსაზრების მართებულობას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში სადაც განიხილებოდა მეორეული უფლებების განხორციელების მართლზომიერება ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითზე, სასამართლომ განმარტა რომ კონტრაქტს რომელსაც მყიდველი არ უხდიდა შეთანხმებულ საზღაურს ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რომლის გამოყენებითაც მას შეეძლო დაესრულებინა სახელშეკრულებო ურთიერთობა და განსხვავებულ რეჟიმში გადაეყვანა იგი. სასამართლომ განმარტა რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დასრულებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა რესტიტუცია რაც გადაცემულის უკან დაბრუნებაში გამოიხატება⁶⁹. სხვა შემთხვევაში სსკ-ის 491-ე მუხლზე მსჯელობისას სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად ტერმინისა „მოშლა“ განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების დასრულების ისეთი შესაძლებლობა როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 491-ე მუხლის პირველ ნაწილზე რომლის მიხედვითაც მხარეს აქვს უფლება მოშალოს ხელშეკრულება სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით ხოლო აღნიშნული ნორმა სსკ-ის 405-ე მუხლზე მიუთითებს რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებია განსაზღვრული. სასამართლოს

⁶⁸ ხუციშვილი, ო. სისვაძე, მ., ტოხოსაშვილი, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, #1-2, 25

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-12-12-2012

გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა ადასტურებს იმ მოსაზრებას რომ სსკ-ის 491-ე და 492-ე მუხლებში ადგილი აქვს ტერმინთა აღრევას. სასამართლომ განმარტა რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დასრულების შედეგად გადაცემულის უკან დაბრუნება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის გამოყენებით არის შესაძლებელი რაც იწვევს რესტიტუციულ შედეგებს⁷⁰. ცხადია რესტიტუციული შედეგები ვერ დადგება ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა რომელთა რიცხვს ნასყიდობის ხელშეკრულება არ მიეკუთვნება.

სსკ-ის 492-ე მუხლში გამოყენებულ ტერმინს „მოშლა“ აქვს იგივე მნიშვნელობა რაც სსკ-ის 491-ე მუხლის შემთხვევაში. სსკ-ის 491-ე მუხლის მსგავსად 492-ე მუხლშიც აღრეულია ტერმინები. სსკ-ის 491-ე მუხლის მსგავსად სსკ-ის 492-ე მუხლზე მსჯელობის დროს სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ცნებებს თუმცა იშვიათად ახდენს იმის განმარტებას რა განსხვავებაა აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის რაც იწვევს გაურკვევლობას ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების გამიჯვნის კუთხით⁷¹.

ტერმინოლოგიური აღრევა სსკ-ის 491-ე და 492-ე მუხლებში მუხლში არაფერს ცვლის ხელშეკრულების დასრულების სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. ნასყიდობის ხელშეკრულების დასრულება ყველა შემთხვევაში იწვევს რესტიტუციას იმისდა მიუხედავად რომელი ტერმინით აღინიშნება სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა-გასვლის თუ მოშლის გამოყენებით. სხვა საკითხია იქნება რესტიტუცია ფულადი თუ

⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-946-2019

⁷¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-991-2020

მოხდება გადაცემულის უკუქცევა იმ სახით რა სახითაც იგი მხარეებს გადაეცათ⁷².

მოკლევადიანი ხელშეკრულების დასრულების შემთხვევაში მოშლის ინსტიტუტის გამოყენება ეწინააღმდეგება აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებების სამართლებრივ ბუნებას, რაც იმაში მდგომარეობს რომ მათი შესრულება ხდება არა დროში განგრძობადად, ვალდებულების პერიოდულად შესრულების შედეგად, არამედ ვალდებულების ერთჯერადად შესრულებით⁷³. ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში ვალდებულების ერთჯერადად შესრულება ხორციელდება ნივთის ფასის გადახდის და მისი მყიდველისთვის საკუთრებაში გადაცემის შედეგად⁷⁴. შესაბამისად არსებობს რესტიტუციის ფაქტობრივი შესაძლებლობაც, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზანს ემსახურება. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა რომ რესტიტუციის მიზანია ზიანის ანაზღაურება, იმ ვითარების აღდგენა რომელიც ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ანუ ვალდებულების დარღვევამდე არსებობდა. რესტიტუციის დამაბრკოლებელი გარემოება შეიძლება გახდეს გადაცემული ნივთის განადგურება ან ბუნებრივი ცვეთა, რაც გამორიცხავს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. აქედან გამომდინარე ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობის შემთხვევაში სსკ-ის 408-ე მუხლის საფუძველზე მოქმედებს ფულადი რესტიტუციის პრინციპი⁷⁵.

ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების ტერმინოლოგიური აღრევა იწვევს აღნიშნული ინსტიტუტების გამიჯვნის

⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1320-2020

⁷³ ხუციშვილი, ო. სისვამე, მ., ტოხოსაშვილი, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, 26

⁷⁴ კახაძე, მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ტომი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 22

⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-98-93-2010

სირთულეს როგორც სასამართლო პრაქტიკაში ასევე სამართლის ლიტერატურაში. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია დაკორექტირდეს სსკ-ის 491-ე მუხლი. ამავე მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სსკ-ის ყველა იმ ნორმის რედაქტირება სადაც მოკლევადიანი ხელშეკრულებების დასრულების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „მოშლა“.

1.3.3. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების აღრევა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში

მოსაზრება იმის თაობაზე რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა ერთმანეთის იდენტური ცნებებია სუს-ის ზოგიერთ გადაწყვეტილებაშიც არის გამოთქმული. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა რომ ხელშეკრულების მოშლა იგივეა რაც ხელშეკრულებიდან გასვლა, თუმცა იგი გრძელვადიანი ურთიერთობებისათვის გამოიყენება და მის მიმართ ვრცელდება სსკ-ის 352-ე ასევე 405-ე მუხლები⁷⁶. ამ შემთხვევაში სასამართლო სწორედ შენიშნა რომ ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ბუნება განსხვავდება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტისგან, თუმცა მცდარია სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნული მოზარება, რომლის თანახმად აღნიშნული ინსტიტუტები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ამასთან სასამართლომ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების მომწესრიგებელ 405-ე მუხლზე მიუთითა როგორც ხელშეკრულების მოშლის წინაპირობების მარეგულირებელ სამართლის ნორმაზე, რაც სსკ-ის 405-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის მცდარი განმარტებით არის გამოწვეული. მიუხედავად ამისა ხელშეკრულების მოშლა არ გამორიხავს რესტიტუციას ყველა შემთხვევაში და სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის შედეგად დასრულება შესაძელია მოხდეს სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით⁷⁷.

⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-277-264-213

⁷⁷ აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმატიული შინაარსიდან. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1817-2019

სასამართლოს უნდა დაეკონკრეტებინა რომ ხელშეკრულების მოშლის ის შემთხვევა რომელიც განიხილებოდა მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელს ხდიდა რესტიტუციას ანუ გადაცემულის უკან დაბრუნებას. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების მოშლას მოჰყვებოდა იგივე სამართლებრივი შედეგები რაც ხელშეკრულებიდან გასვლას. სასამართლო განიხილავდა ამხანაგობის ხელშეკრულების მოშლის საკითხს, რაც არ გამორიცხავდა რესტიტუციის შესაძლებლობას⁷⁸. სასამართლოს განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნა სსკ-ის 405-ე მუხლის რესტიტუციული შედეგების გავრცელება და ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტები. აღნიშნულის საპირისპიროდ სასამართლოს არ უმსჯელია ამხანაგობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შესახებ. სსკ-ის 932-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან ამხანაგობის ხელშეკრულება გრძელვადიანი ხელშეკრულებაა, რომელიც სრულდება პერიოდულად, შენატანების განხორციელების გზით. ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე მისი დასრულება სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვითაა შესაძლებელი⁷⁹. საყურადღებოა რომ სსკ-ის 938-ე მუხლის მე-3 ნაწილში ამხანაგობის ხელშეკრულების დასრულების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „გასვლა“ თუმცა უნდა იყოს აღნიშნული „მოშლა“ რადგან ხდება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება, რის შედეგადაც მხარეებს აღარ ეკისრებათ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები. ამხანაგობის ხელშეკრულების გრძელვადიან ხასიათზე მიუთითებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც (შემდგომში გსკ). ამ კოდექსის 723-ე პარაგრაფის კომენტარის მიხედვით ამხანაგობის ხელშეკრულება გრძელვადიანი ხელშეკრულებების რიცხვს მიეკუთნება, რომელიც შესაძლებელია შეწყდეს ვადამდე თუ არსებობს საამისოდ მნიშვნელოვანი

⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-277-264-2013

⁷⁹ რობაქიძე, ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება 13.07.2016, 11

საფუძველი⁸⁰. ამავეზე მიუთითებს გერმანიის სასამართლო პრაქტიკაც. მაგალითად, კიოლნის რეგიონალური სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია რომ ამხანაგობის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი⁸¹, რაც იმას ნიშნავს რომ ამხანაგობა გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობაა. ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ამხანაგობა შესაძლებელია დასრულდეს რესტიტუციული შედეგებით. სუს-ის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის საპირისპიროდ სხვა შემთხვევებში სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა რომ ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა სხვადასხვა ურთიერთობების მიმართ გამოიყენება⁸². კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი მოქმედებს გრძელვადიანი ურთიერთობების მიმართ, თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევებიც როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მოკლევადიანი ურთიერთობების მიმართაც შეიძლება იქნას გამოყენებული⁸³. სასამართლო არ ჩამოთვლის აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობებს და აღნიშნავს რომ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი რესტიტუციაში, ხელშეკრულების საფუძველზე მხარეების მიერ ერთმანეთისთვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნებაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაში სასამართლომ სწორედ შენიშნა რომ ხელშეკრულებიდან

⁸⁰ კროპპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 558; <http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf> ხელმისაწვდომი 03.04.2021 მდგომარეობით

⁸¹ Higher Regional Court of Cologne, judgment of 15.12.2016 – 15 U 141/15; https://www.gesellschaftsrechtskanzlei.com/olg-koeln-urteil-vom-15-12-2016-15-u-14115/?utm_source=chatgpt.com

⁸² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13; <http://library.court.ge/judgements/93822014-08-12.pdf> ხელმისაწვდომი 12.03.2021 მდგომარეობით

⁸³ იქვე

გასვლისა და მოშლის ინსტიტუტებს შორის განსხვავებაა თუმცა ნაცვლად ხელშეკრულებიდან გასვლისა უნდა აღნიშნა რომ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი ვრცელდება. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით რესტიტუცია არის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგი ყველა შემთხვევაში ხოლო ხელშეკრულების მოშლა რესტიტუციას იწვევს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში⁸⁴. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტები ვერ გაიმიჯნება ერთმანეთისგან რესტიტუციული შედეგების მიხედვით ყველა შემთხვევაში. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის საპირისპიროდ სხვა შემთხვევაში სასამართლომ მართებულად შენიშნა რომ ხელშეკრულებიდან გასვლა იწვევს რესტიტუციას ყველა შემთხვევაში ხოლო მოშლის დროს ასეთი შედეგი იშვიათად შეიძლება დადგეს⁸⁵.

რესტიტუციული შედეგების მიხედვით სასამართლო მიჯნავს ერთმანეთისგან ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს სხვა შემთხვევებშიც. ერთ-ერთი განმარტების მიხედვით სსკ-ის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მოკლევადიანი ხელშეკრულების მიმართაც შეიძლება იქნას გამოყენებული. სასამართლო აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას მოიაზრებს როგორც საგამონაკლისოს. ამავე გადაწყვეტილებაში იგი მიუთითებს რომ ხელშეკრულებიდან გასვლა როგორც წესი სახელშეკრულებო ურთიერთობის საწყის ეტაპზე ხდება რადგან შემდგომში დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთმანეთისთვის გადაცემულის მოთხოვნის დაყენება სასამართლოში არაგონივრულია⁸⁶. არაგონივრულობაში სასამართლო სავარაუდოდ გულისხმობს იმ გარემოებას

⁸⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13

⁸⁵ იქვე

⁸⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/696-13; <http://library.court.ge/judgements/19522014-08-15.pdf?fbclid=IwAR3lyYMm3wUKIDK5X8r92K5TPGn0tc44pmmAJbgUmDoIji9hVawG9Rr5lZE> ხელმისაწვდომი 08.03. 2021 მდგომარეობით

რომ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობებში დროთა განმავლობაში გადაცემულის რესტიტუციის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და შესაბამისად ასეთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

1.4. ხელშეკრულების მოშლის უფლების სამართლებრივი ბუნება

ხელშეკრულების მოშლის უფლება ისეთივე აღმჭურველი უფლებაა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. ამიტომ მისი გამოყენება სავალდებულო არაა. ამ უფლების რეალიზება მხარის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. იგივე შეიძლება ითქვას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებაც⁸⁷. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა რომ ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზებას მხარე ახორციელებს სასამართლო წესით. სასამართლოს განმარტებით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებისთვის საკმარისია დაცული იქნას დამატებით განსაზღვრული ვადა და მოხდეს სარჩელის წარდგენა სასამართლოში მას შემდეგ რაც დამატებით განსაზღვრული ვადა ამოიწურება⁸⁸. ე.ი. როგორც ხელშეკრულების მოშლის ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებების რეალიზება ხდება სასამართლოსთვის მიმართვამდე, თუმცა სასამართლო ადასტურებს იმ გარემოებას რომ აღნიშნული უფლებების რეალიზების კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული წინაპირობები იქნა დაცული.

ხელშეკრულების მოშლა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მსგავსად წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას. აქედან გამომდინარე მის მიმართ ვრცელდება სსკ-ის 51-ე მუხლი. ისევე როგორც

⁸⁷ Saare, K., Sein, k., Simovart, M., 'The Buyer's Free Choice Between Termination and Avoidance of a Sales Contract', XV Juridica International, 2008, P.47; retrieved from https://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2008_XV_43.pdf

⁸⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №28/1938-11; <http://library.court.ge/judgements/99432015-01-29.pdf?fbclid=IwAR2cJe0D24U9Paqhqrj572A39188X7D7acqpFqEJipZpZ4ldJuK998YsYO8> ხელმისაწვდომი 09.03.2021 მდგომარეობით

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის დროსაც მნიშვნელოვანია რომ ნების გამოვლენის თაობაზე ადრესატს ნათლად ეცნობოს⁸⁹. ცალმხრივი ნების გამოვლენა არ საჭიროებს ადრესატის ინფორმირებას ყველა შემთხვევაში. მაგალითად, ანდერძი წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენის ისეთ შემთხვევას როდესაც ადრესატის ინფორმირება არ არის აუცილებელი სამართლებრივი შედეგების წარმოშობისთვის. ამ შემთხვევისგან განსხვავებით ხელშეკრულების მოშლა, ისევე როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის მაგალითია⁹⁰. მეორე მხრივ ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლას შორის ნების გამოვლენის თვალსაზრისით არსებობს შემდეგი სახის განსხვავება: ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის ნეგატიურია და ცალმხრივად ხდება⁹¹, ხელშეკრულების მოშლა კი შესაძლოა გამოწვეული არ იყოს ვალდებულების დარღვევით. ხელშეკრულების მოშლა შეიძლება მოხდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეების ნების გამოვლენის შედეგად დაასრულონ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა.

1.4.1. ხელშეკრულების მოშლის ფაქტის დადგენა სასამართლოს მიერ

ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის მსგავსად ხელშეკრულების მოშლა არის ფაქტი რომელიც უნდა დაადგინოს სასამართლომ. ისევე როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა ხელშეკრულების მოშლაც სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს რომ ხელშეკრულების მოშლის უფლება საჭიროებს სასამართლოს ან საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების განმახორციელებელი რომელიმე ორგანოს თანხმობას, თუმცა მოშლის უფლების რეალიზებისთვის საჭიროა

⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1817-2019

⁹⁰ კერესელიძე, დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 243

⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას -779-746-2014

სასამართლომ შეაფასოს რამდენად იქნა დაცული ის წინაპირობები რომლების გათვალისწინებაც აუცილებელია მისი განხორციელებისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე ხდება მოშლის, ისევე როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება. ამავე მოსაზრების მართებულობას ადასტურებს სასამართლო გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობები. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა რომ მოცემულ შემთხვევაში დამზღვევის მიერ არ იქნა გამოყენებული 816-ე და 817-ე მუხლების მიხედვით განსაზღვრული ხელშეკრულების მოშლის წესები. აქედან გამომდინარე სასამართლომ დაასკვნა რომ ხელშეკრულების მოშლას ადგილი არ ჰქონია⁹². განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ ხელშეკრულების მოშლის უფლება აღმჭურველი უფლებაა, რაც სსკ-ის 818-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარეობს. აღნიშნული ნორმის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი არ შეიტანს სადაზღვევო შენატანს იმ ვადაში რომელიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული მზღვეველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოშლის შესახებ გააფრთხილოს დამზღვევი და მოშალოს ხელშეკრულება აღნიშნული ვადის უმედეგოდ გასვლის შემდეგ⁹³. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ შეამოწმა დაცული იყო თუ არა ხელშეკრულების მოშლისთვის საჭირო წინაპირობები, რაც არ ნიშნავს სასამართლოს ნებართვას ხელშეკრულების მოშლის შესახებ. თუ სასამართლო დაადგენს რომ ხელშეკრულების მოშლისას დაცული იქნა ამ უფლების გამოყენების ყველა წინაპირობა მაშინ გადაწყვეტილების ტექსტში მიუთითებს რომ არ მოშლილა ხელშეკრულება. შესაბამისად მხარეები კვლავ რჩებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და აქვთ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი უფლებები და მოვალეობები. იგივე შეიძლება ითქვას ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზეც. თუ სასამართლო არ დაადგენს რომ მხარემ დაიცვა ხელშეკრულებიდან გასვლის

⁹² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/5993-15

⁹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 818-ე მუხლი

წინაპირობები, არ წარმოიშობა არც რესტიტუციის ვალდებულება. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სადაც სასამართლომ იმსჯელა შრომის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, დადგინდა რომ არ იყო დაცული მოშლის წინაპირობები. სახელშეკრულებო ურთიერთობის გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე სასამართლომ განმარტა რომ უნდა მომხდარიყო შრომის ხელშეკრულების მოშლა რაც შედეგად გამოიწვევდა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას. მოშლის ერთ-ერთი წინაპირობა სასამართლოს განმარტებით არის გაფრთხილება. იმ შემთხვევაში თუ გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო მხარეს აქვს უფლება მოშალოს (შეწყვიტოს) ხელშეკრულება⁹⁴. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 102-ე მუხლის მიხედვით მხარეს ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი რომ დაცული იქნა ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები. სასამართლოს განმარტებით საქმეში წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათის თანახმად დასტურდებოდა ის გარემოება რომ დასაქმებული სისტემატიურად არღვევდა მასზე დაკისრებულ სამსახურეობრივ ვალდებულებებს თუმცა არ დგინდებოდა რომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტამდე მის მიმართ თითოეული დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული იქნა გართხილება. აქედან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა რომ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა არ შეწყვეტილა⁹⁵.

1.4.2. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა როგორც მეორეული მოთხოვნები

ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის უფლებები ქართულ სამართლის ლიტერატურასა და სასამართლო

⁹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2543-12; <http://library.court.ge/judgements/3362014-05-20.pdf> ხელმისაწვდომი 22.03.2021 მდგომარეობით

⁹⁵ იქვე

პრაქტიკაში მოიაზრება მეორეულ (მეორად) მოთხოვნის უფლებებად⁹⁶. მეორადი და მეორეული მოთხოვნის უფლებები იგივეობრივი შინაარსის მქონე ცნებებია. მეტწილად სამართლის მკვლევარები და მოსამართლეები იყენებენ ტერმინს „მეორადი მოთხოვნის უფლება“. ამ კატეგორიის მოთხოვნის უფლებები წარმოიშვება მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მათი ნაწილობრივ შესრულების შედეგად. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მეორადი უფლებაა ხოლო მხარეების მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები პირველადი მოთხოვნების კატეგორიას მიეკუთვნება⁹⁷. პირველადი მოთხოვნის უფლებები სახელშეკრულებო ხასიათის უფლებებია, ხოლო მეორეული მოთხოვნები კანონმდებლობითაა განსაზღვრული. რადგან პირველად მოთხოვნის უფლებებს მხარეები განსაზღვრავენ თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად, საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად, მათი ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობს, ხოლო მეორადი მოთხოვნის უფლებები კანონით პირდაპირაა განსაზღვრული. მეორეული უფლებების წარმოშობას განაპირობებს სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს ჯეროვნად, დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილას⁹⁸. სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის მიერ მათი დარღვევის შემთხვევაში მხარეს აქვს უფლება დააყენოს ის მეორეული მოთხოვნის უფლებები

⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ას-788-1112-07

⁹⁷ ნაჭყებია, ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2014, 31 იხ. ასევე თოდუა, მ., ვილემსი, ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006, 13; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-259-259-2018

⁹⁸ ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს--1034-992(კ-09); <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba12.pdf> ხელმისაწვდომი 25.03. 2021 მდგომარეობით

რომელებიც განსაზღვრულია სსკ-ის 397-ე და 405-ე მუხლების მიხედვით⁹⁹. სახელშეკრულებო და მეორეული მოთხოვნის უფლებები ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია და მოქმედებს ყველა ქვეყნის სამოქალაქო სამართალში. მათ შორის არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც რომლის 323-ე პარაგრაფის თანახმად მხარეს აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორეული უფლება იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის მეორე მონაწილე არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს¹⁰⁰.

განვიხილოთ პირველადი და მეორეული უფლებები კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის მაგალითზე. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში პირველადი მოთხოვნის უფლებაა შემკვეთის უფლება მიიღოს უნაკლო ნაკეთობა ხოლო თუ ხელშეკრულების მეორე მხარე დაარღვევს აღნიშნულ ვალდებულებას წარმოიშვება ზიანის ანაზღაურების (394-ე და მომდევნო მუხლები) და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებები (405-ე და მომდევნო მუხლები)¹⁰¹. იგივე შეიძლება ითქვას ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე. ამ შემთხვევაში პირველად, სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებას წარმოადგენს ნივთის მყიდველისთვის გადაცემა. მყიდველს ეკისრება ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის გადახდის ვალდებულება, ხოლო თუ ნივთი არ აღმოჩნდება შეთანხმებული ხარისხის, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს გამყიდველისთვის გადაცემული თანხის უკან დაბრუნება¹⁰².

⁹⁹ ბეგიაშვილი, ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, სამართლის ჟურნალი, თბ., 2011,

⁹http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146093/1/Sarchevi_2011_N1.pdf?fbclid=IwAR0T_5SyUuEZ5NRieXjDAmGcSjsKqqsQEaAbIM9q99XU4-sr5VRmC9V_xk0 ხელმისაწვდომი 25.03.2021 მდგომარეობით

¹⁰⁰ Kotz, H., European Contract Law, Second Edition, Oxford University Press, 2017, 240

¹⁰¹ რუსიაშვილი, გ., დარჯანია, თ., მაისურაძე, დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2020, 49; http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-zogadi_valdebulebiti_samartali.pdf?fbclid=IwAR0_Qsx3uRArepMndknIZhOHOF-Z75DtIV8wpm9GUTpmMHE2ZnNGPyhrjTw ხელმისაწვდომი 25.03.2021 მდგომარეობით

¹⁰² Markesinis, B., Unberath, H., Johnston A., German law of contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, second edition, 2006, 205

ხელშეკრულებიდან გასვლის მეორეული მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხავს ზიანის ანაზღაურებას. აქედან გამომდინარე მოსარჩელე არ არის შეზღუდული თავის სასარჩელო მოთხოვნაში მოახდინოს აღნიშნული მეორეული უფლებების კომბინირება. ამასთან, პირველადი მოთხოვნის უფლებების დაყენება ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია მეორეული მოთხოვნის უფლებებთან ერთად. მაგალითად, კრედიტორს აქვს უფლება მოვალისგან ერთდროულად მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება¹⁰³.

ხელშეკრულებიდან გასვლის მეორეული უფლება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ დამატებით განსაზღვრული ვადის უმედეგოდ გასვლის შედეგად¹⁰⁴. აქედან გამომდინარე დამატებითი ვადა წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის როგორც მეორეული უფლების წარმოშობის წინაპირობას. მეორე მხრივ აღნიშნული წინაპირობის დაკმაყოფილება საჭირო არ არის თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სახეზეა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები¹⁰⁵. ანალოგიურად რეგულირდება აღნიშნული საკითხი გერმანიის კერძო სამართალშიც სადაც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ საჭიროებს დამატებით ვადას იმ შემთხვევაში თუ სახეზეა გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობები¹⁰⁶.

შესაძლებელია მხარეს ერთდროულად წარმოემვას რამოდენიმე მეორეული მოთხოვნის უფლება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ აღნიშნა რომ მენარდის მიერ უნაკლო ნივთის წარდგენის

¹⁰³ სვინტრამე, ქ., კრედიტორის უფლებების დაცვის პრობლემა სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2016, 6 http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_1902.pdf?fbclid=IwAR2JmUfViEFgRYvw18LMBmq4R8FkLd1SUApkDrc0aYi4kdzxCBgAgI3NwKk ხელმისაწვდომი 25.03.2021 მდგომარეობით

¹⁰⁴ ჩაჩავა, ს., მოთხოვნების და მოთხოვნის უფლებების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, 60;

https://www.tsu.ge/data/file_db/disertaciebi/chachava.pdf?fbclid=IwAR1eLTTgSTEGpkEGzOoMogvmDq-8i4coyo3ph5hmxkpoTX65ySPgiB3myTE ხელმისაწვდომი 25.03.2021 მდგომარეობით

¹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-168-158-2017

¹⁰⁶ Kotz, H., European Contract Law, Second Edition, Oxford University Press, 2017, 240

ვალდებულების დარღვევის გამო შემკვეთს წარმოეშვა შემდეგი მეორეული უფლებები: დამატებითი შესრულების მოთხოვნა (სკ-ის 642-ე მუხლის პირველი ნაწილი); 2.ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 643-ე მუხლის პირველი ნაწილი); 3.ხელშეკრულებაზე უარის უფლება ნაკეთობის ნაკლის გამო (სკ-ის 644-ე მუხლი რაც სასამართლომ გააიგივა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებასთან); 4.საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო (სსკ-ის 645-ე მუხლი); 5.მიყენებული ზიანის ანაზღაურება¹⁰⁷.

ხელშეკრულებიდან გასვლისგან განსხვავებით ხელშეკრულების მოშლის მეორადი უფლება არ წარმოშობს სხვა მეორეულ უფლებებს ყველა შემთხვევაში. მაგალითად, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლა მხარეს შეუძლია როდესაც კარგავს ინტერესს სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ. ამის მაგალითია დამქირავებელი რომელიც დროებით ქირაობს ბინას ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ ასრულებს გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას მოშლის უფლების გამოყენებით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის უფლება არ წარმოშობს არც გადაცემული ქონების უკუქცევის და არც ზიანი ანაზღაურების ვალდებულებას, ისევე როგორც სხვა მეორეულ უფლებებს. ხელშეკრულების მოშლისგან განსხვავებით ხელშეკრულებიდან გასვლის მეორეული უფლების გამოყენება ყოველთვის წარმოშობს სხვა მეორეულ უფლებებს, მაგალითად რესტიტუციას. ასეთია ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზოგ შემთხვევაში მოშლის უფლების გამოყენების შედეგები არამატო ქართულ არამედ გერმანულ სამართალშიც. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში გსკ) 346-ე პარაგრაფი ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებზე მიუთითებს რაც რესტიტუციაში გამოიხატება¹⁰⁸. აქედან გამომდინარე

¹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1899-2018

¹⁰⁸ Piek, M., A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law, volume 3, issue 1, 1996, 19;

რესტიტუცია როგორც მეორეული მოთხოვნის უფლება პირველადი მოთხოვნების ადგილს იკავებს სხვა მეორეული მოთხოვნის უფლების-ხელშეკრულებიდან გასვლის რეალიზების შედეგად¹⁰⁹. ე.ი. ხელშეკრულებიდან გასვლა ხოლო ზოგ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლაც, როგორც მეორეული უფლებები წინ უსწრებს სხვა მეორადი უფლებების წარმოშობას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში.

1.5 ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის მიზეზები

ხელშეკრულებიდან გასვლას და ხელშეკრულების მოშლას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ორი მიზეზი: ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა (მისი შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება რაც განსაზღვრულია სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით) და იმ გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლებიც გახდა ხელშეკრულების დადების საფუძველი¹¹⁰ (რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით). სსკ-ის 398-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მხარეს აქვს ხელშეკრულების მოშლის უფლება თუ მეორე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება თუ ადგილი აქვს ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას. ამავე ნორმის თანახმად კრედიტორს აქვს უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან იმ შემთხვევაშიც როდესაც მოვალე ნაწილობრივ არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ კონტრაქტით ნაკისრი

<https://digitalcommons.law.ggu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1022&context=annlsurvey&fbclid=IwAR1ERdC5hcGISxGCIRWoT-YWYOBQTyD0PiKpWQ7wGdcHs3HJeSfv7CoqKLs>,

ხელმისაწვდომი 03.04.2021 მდგომარეობით

¹⁰⁹ კროპპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 242

¹¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 398-ე მუხლი

ვალდებულებების ნაწილობრივი შეუსრულებლობა შესაძლოა გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზი იმ შემთხვევაში თუ დარჩენილმა შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგა. სსკ-ის 398-ე და 405-ე მუხლების ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე მხარეთა მიერ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს როგორც ხელშეკრულების მოშლის ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლის მიზეზიც სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზების განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ რას გულისხმობს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება. სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მხარეთა მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას¹¹¹. მაგალითად, თუ მხარემ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე იკისრა განსაზღვრული ოდენობის და ხარისხის ნივთების დამზადება დათქმულ დროში ვალდებულება ჯეროვნად შესრულებულად ჩაითვლება თუ იგი დაამზადებს კონტრაქტის საფუძველზე განსაზღვრული რაოდენობის და ხარისხის ნივთებს კონკრეტულ ვადაში. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულება აღარ ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად¹¹². ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის ან მისი ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიიჩნევა რომ შესრულება ხარვეზიანია. ასეთ შემთხვევაში შესრულება არ პასუხობს ხელშეკრულების იმ მონაწილის მოლოდინებს რომლის მიმართაც იგი ხორციელდება¹¹³.

¹¹¹ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 358; http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf?fbclid=IwAR3_Dfg5RffxEh_Kh5q-uxE7sXt-aUC5WbY2Axm4k_qRdbUYsz565r0Iwcv ხელმისაწვდომი 03.04.2021 მდგომარეობით

¹¹² იხ. იქვე, 358

¹¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-570-541-2015,13;

ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შეფასებისას სასამართლო უპირველეს ყოვლისა უნდა დაეყრდნოს კონტრაქტით განსაზღვრულ პირობებს და დაადგინოს ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლები. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შეფასება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელშეკრულების საგანზე¹¹⁴. მიუხედავად იმისა რომ სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კანონმდებელი შესრულების ჯეროვანებას უკავშირებს დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილს იგი გაცილებით ფართო ცნებაა და მოიცავს შესრულებას ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული საშუალებით, იმ პირის მიმართ რომლის წინაშეც სახელშეკრულების მხარემ იკისრა ვალდებულება¹¹⁵. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი ვალდებულების დამდგენი ზოგადი ქცევის წესია იგი ვრცელდება ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ. ხელშეკრულების მოშლის ან გასვლის მიზეზი შეიძლება გახდეს ვალდებულების როგორც არაჯეროვანი, ასევე არაკეთილსინდისიერი შესრულება. ხელშეკრულების კეთილსინდისიერი შესრულება უკავშირდება კეთილსინდისიერების პრინციპს რომელიც დამკვიდრებულია როგორც საქართველოს ასევე გერმანიის კერძო სამართალში. თუმცა არც გსკ-ში და არც სსკ-ში არაა განმარტებული რაში გამოიხატება ხელშეკრულების კეთილსინდისიერად შესრულება¹¹⁶. სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად უნდა დაადგინოს მოქმედებდა თუ არა მხარე კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად. შეფასება იმისა, მოქმედებდა თუ არა მხარე კეთილსინდისიერად კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-mnishvnelovani-ganmarteba84-.pdf>

ხელმისაწვდომი 03.04.2021 მდგომარეობით

¹¹⁴ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 268

¹¹⁵ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 359

¹¹⁶ Baasch Andersen, C., Good Faith Good Grif, International Trade and Business Law Review, # 17; 2014, 312; retrieved from https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2675008

მოხდეს რაც რთული და კომპლექსური პროცესია და მოითხოვს დაკვირვებას, რადგან აღნიშნულ პრინციპს არ აქვს აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპთან მიმართებით¹¹⁷. კეთილსინდისიერების პრინციპის შეფასებისას მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტის დამოკიდებულებას ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისადმი. შესაძლებელია პირი თვლიდეს რომ იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, თუმცა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე დადგინდეს რომ მისი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს¹¹⁸. კეთილსინდისიერების პრინციპი აკისრებს მხარეს ვალდებულებას გამოიჩინოს გულისხმიერება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის უფლებებისადმი, არ დააყენოს საკუთარი უფლებები და ინტერესები მეორე მხარის უფლებებზე და ინტერესებზე მაღლა¹¹⁹, არ გამოიყენოს ბოროტად საკუთარი უფლებები¹²⁰. კეთილსინდისიერების პრინციპის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ამკარად უსამართლო შედეგი და უზრუნველყოფილი იქნას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა, მისი სიმყარე¹²¹.

1.5.1 შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმი მისადაგების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისა და მისი მოშლის მიზეზი

სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე ხელშეკრულებიდან გასვლა ან ხელშეკრულების მოშლა

¹¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1208-2018

¹¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1273-2020

¹¹⁹ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 360

¹²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1414-2020

¹²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1208-2018

შეიძლება განაპირობოს შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმი მისადაგების შეუძლებლობამ ან მეორე მხარის უარმა მიუსადაგოს შეცვლილი ვითარება ხელშეკრულების პირობებს. თავისთავად იმ გარემოებების არსებითი ცვლილება რომლებიც საფუძვლად დაედო ხელშეკრულებას არ შეიძლება გახდეს მისი მოშლის ან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი. რადგან გარემოებების ცვლილება დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში მიმდინარეობს, მისადაგების შეუძლებლობის საფუძვლით მეტწილად ხდება ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენება რაც გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობებისთვის არის დამახასიათებელი¹²².

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელია იმ შემთხვევაში როდესაც ეს გამოიწვევს მეორე მხარის ინტერესების დარღვევას, ან მისადაგება აზრს კარგავს¹²³. შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებისადმი მისადაგების შეუძლებლობა შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზებით. მაგალითად: საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურებები, ეკონომიკური კრიზისი, ლოკაუტი, მოვალის ქმედუუნაროდ გახდომა და ა. შ¹²⁴. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარე ჩათვლის რომ კონტრაქტის დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა გარემოებები რომლებიც წარმოადგენენ სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველს, მხარემ უნდა შესთავაზოს მეორე მხარეს მისადაგების პირობები. თუ მეორე მხარე უარს იტყვის მისადაგებაზე, პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება ხელშეკრულების მოშლის, ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების

¹²² ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 403

¹²³ ვაშაკიძე, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 623

¹²⁴ ჩიტაშვილი, ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2014, 70

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf
ხელმისაწვდომი 03.04.2021 მდგომარეობით

გამოყენებით. შეთავაზება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შესახებ არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის ან მოშლის უფლების გამოყენების აუცილებელი წინაპირობა. ამ ვარაუდის სისწორეზე მიუთითებს სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილი. აღნიშნული ნორმა კრიტიკულად იქნა განხილული მკვლევარების მიერ. კრიტიკა გამოწვეულია იმ გარემოებით რომ სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილი შესაძლებლობას აძლევს მხარეს მოშალოს სახელშეკრულებო ურთიერთობა ან გავიდეს ხელშეკრულებიდან თუ ჩათვლის რომ მისადაგების მცდელობა აზრსმოკლებულია. ამ შემთხვევაში მხარე ეყრდნობა სუბიექტურ შეხედულებას გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობის თაობაზე¹²⁵. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა ან მოშლა შესაძლოა მოხდეს სათანადო საფუძვლის არარსებობის პირობებში, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის პრინციპს „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“. ეს პრინციპი მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ურთიერთობების გადარჩენას და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფას¹²⁶. ამ მოსაზრების მართებულობის მიუხედავად სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილში საკანონმდებლო ცვლილებების განცხორციელება აზრსმოკლებულად მიმაჩნია შემდეგ მიზეზთა გამო: სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურად შესწავლის საფუძველზე ადგენს ჰქონდა თუ არა ადგილი ისეთ გარემოებებს რამაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების მისადაგება. სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილში კანონმდებელი გულისხმობს რომ მხარე აღჭურვილია უფლებით უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობაზე იმ შემთხვევაში თუ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული. როგორც

¹²⁵ ტაბიძე, დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მე-2 გამოცემა, 2013, 40; http://ewmi-prolog.org/images/files/5072Georgian_Commercial_Law_Review_II_Issue_GEO.pdf ხელმისაწვდომი 07.04. 2021 მდგომარეობით

¹²⁶ ჩიტაშვილი, ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2014, 162

ავნიშნე, სასამართლომ უნდა დაადგინოს გავიდა მხარე ხელშეკრულებიდან თუ არა. სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელების ფაქტის დადგენაც. ამავებე მიუთითებს გეგენავა და მართებულად შენიშნავს რომ მიუხედავად სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის ხარვეზიანობისა ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის უფლების განხორციელება შეცვლილი გარემოებების სახელშეკრულებო ურთიერთობისადმი მისადაგების შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკის საგანს წარმოადგენს¹²⁷.

1.5.2 სასამართლო პრაქტიკა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შესახებ

სასამართლოს განმარტების თანახმად, გარემოებებისადმი ხელშეკრულების შეცვლილი პირობების მისადაგების შეუძლებლობის შემთხვევაში როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ასევე მოშლის შეფასების დროს უნდა დადგინდეს ხომ არ არსებობს გასვლის ან მოშლის უფლების გამომრიცხავი გარემოებები¹²⁸. ამ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლო ადგენს დასრულდა თუ არა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა მოშლის ან გასვლის უფლების გამოყენებით. თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ამგვარი რამ არ იკვეთება სასამართლო მიიჩნევს რომ მხარეები კვლავ იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და აქვთ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი უფლებები და ვალდებულებები. სასამართლო აფასებს არსებობდა თუ არა პატივსაღები საფუძველი რაც გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის მიზეზია სსკ-ის 399-ე მუხლის

¹²⁷ გეგენავა, ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015, 47; https://www.sabauni.edu.ge/library/avTandil-gegenava----nardobis-xelSekrulebis-misadageba-Secvlili-garemoebebisadmi.--1600634663.pdf?fbclid=IwAR3wx3ri_xuB8GxIuAwLYM1V7mJRomu_j8WHGLJyEZ2X6kag4c4WXBDkaII ხელმისაწვდომი 07.04.2021 მდგომარეობით

¹²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1076-996-2017

პირველი ნაწილის მიხედვით. ე.ი. საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლო მთლიანობაში აფასებს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე მოშლის მართლზომიერებას. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ გარემოებების არსებით ცვლილებად მიიჩნია ვითარება როდესაც ომის გამო მყიდველი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესრულებინა უძრავი ქონების (კომერციული ფართი) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები. საომარი მოქმედებების გამო ბანკმა უარი უთხრა მყიდველს სესხის მიცემაზე რის გამოც ეს უკანასკნელი მოკლებული იყო შესაძლებლობას გადაეხადა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მსხვილი ტრანშებით, როგორც ამას ითვალისწინებდა კონტრაქტის პირობები¹²⁹.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მაგალითია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-793-742-2017. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში: ერთ-ერთმა ფონდმა იკისრა ვალდებულება ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე აეშენებინა არანაკლებ 59.3 კვ. მ. ფართობის სახლი. შენობის აშენებამდე ფონდმა იკისრა ვალდებულება გადაეხადა ქირა მიწის ნაკვეთის მესაკუთრისთვის ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული ოდენობით, თუმცა შემდგომში გაირკვა რომ საჯარო რეესტრში სახლის მესაკუთრის სახელზე დარეგისტრირებული იყო მხოლოდ 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ეს გარემოება შეუძლებელს ხდიდა ფონდის მიერ ნაკისრი თავდაპირველი ვალდებულებების შესრულებას. ამასთან შესრულებას აფერხებდა განაშენიანების ნორმები და მეზობელი სახლების მაცხოვრებლების პოზიცია. აქედან გამომდინარე ფონდმა უარი თქვა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და გავიდა ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულებიდან გასვლას წინ უსწრებდა ფონდის მცდელობა მოეხდინა

¹²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-220-209-2017

ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებების მიმართ. ამ მიზნით მან წერილობით მიმართა მხარეს და სთხოვა განესაზღვრა ხელშეკრულების მისთვის სასურველი პირობები. წერილში განმარტებული იყო რომ ცვლილებების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ფონდის ყველა შეთავაზებაზე მოსარჩელემ უარი განაცხადა რის შემდეგაც ფონდმა წერილობით მიმართა მოსარჩელეს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე¹³⁰.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერების საფუძველზე მიიჩნია რომ ადგილი ჰქონდა გარემოებების არსებით ცვლილებას რაც წარმოშობდა ხელშეკრულების მისადაგების აუცილებლობას. სასამართლომ განმარტა რომ ფონდი არაერთხელ ეცადა მოეხდინა გარემოებების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, თუმცა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეფერხდა მეორე მხარის უარის გამო¹³¹. აქედან გამომდინარე სასამართლომ დაასკვნა რომ ფონდს ჰქონდა ხელშეკრულების მოშლის უფლება, რაც ანთავისუფლებდა მას შემდგომში კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებებისგან-ქირის გადახდისგან¹³². ე.ი. ხელშეკრულება შეწყდა მხოლოდ ნაწილობრივ-ქირის გადახდის ნაწილში თუმცა ძალაში დარჩა 56 კვ.მ- ფართობის მიწის ნაკვეთზე შენობის აშენების ვალდებულება. პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც და განმარტა რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის უარი მიესადაგებინა ხელშეკრულება შეცვლილი გარემოებებისადმი წარმოადგენდა მისი უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევას, როდესაც ხდება *„საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი*

¹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-793-742-2017

¹³¹ იხ.იქვე

¹³² იხ.იქვე

მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.¹³³“

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე იყო თუ არა მხარე კეთილსინდისიერი ხელშეკრულების გარემოებების ცვლილებასთან მიმართებით. ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ფონდმა არ იცოდა რომ მესაკუთრე ფლობდა მხოლოდ 53 კვ.მ-ს საინვესტიციო ხელშეკრულებაში მითითებული ფართობის ნაცვლად. აქედან გამომდინარე განსახილველი შემთხვევის მიმართ უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 398-ე მუხლი. სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე რომ ხელშეკრულების დადებისას კრედიტორმა ფონდს მიაწოდა მცდარი ინფორმაცია რომლის თანახმად ფლობდა უძრავ ქონებას-59 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთს. საკამათოა სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი რომლის მიხედვითაც ფონდი კვლავ რჩება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოსარჩელესთან¹³⁴.

სასამართლოს განსახილველ შემთხვევაში უნდა ემსჯელა იმის შესახებ რომ მას შემდეგ რაც კასატორმა უარი განაცხადა ხელშეკრულების მისადაგებაზე შეცვლილი გარემოებებისადმი, ფონდი გავიდა ხელშეკრულებიდან კასატორისთვის წერილობითი შეტყობინების განხორციელების შედეგად. სასამართლო გადაწყვეტილებაში არაა განმარტებული რატომ მიიჩნია სასამართლომ რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა მხარეებს შორის შენარჩუნდა შენობის აშენების ნაწილში თუმცა შეწყდა ქირის გადახდის ნაწილში. სასამართლოს განმარტებით განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც წარმოშობდა ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ გარემოებაზე რომ შეუძლებელია

¹³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-793-742-2017

¹³⁴ იხ.იქვე

ხელშეკრულების ნაწილობრივი მოშლა (შეწყვეტა). როგორც მოშლის ასევე გასვლის შემთხვევაში ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის სრულად დასრულება. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გაეჯნა ერთმანეთისგან ხელშეკრულების პირობების შეცვლა და ხელშეკრულების მოშლა¹³⁵. სასამართლოს უნდა გაემახვილებინა ყურადღება იმ გარემოებაზე რომ ფონდმა ნათლად გამოხატა ნება ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რომელიც მიუვიდა მეორე მხარეს¹³⁶. აქედან გამომდინარე ადგილი ჰქონდა მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას სსკ-ის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით და არა კონტრაქტის პირობების ცვლილებას. მოშლის უფლების გამოყენება კი ათავისუფლებს მხარეს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან¹³⁷. აღნიშნულის საპირისპიროდ სასამართლომ არასწორად განმარტა არამატო ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენების სამართლებრივი შედეგები არამედ სსკ-ის 398-ე მუხლის მესამე ნაწილის ნორმატიული შინაარსიც. იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას და მეორე მხარე უარს განაცხადებს მიუსადაგოს კონტრაქტი შეცვლილ გარემოებებს მხარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, რის შედეგადაც სახელშეკრულებო ურთიერთობა წყვეტს არსებობას მთლიანად ან ნაწილობრივ¹³⁸. ხელშეკრულების ნაწილობრივ მოშლის და ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლი დაუშვებლობაზე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც, სადაც ცალსახად განიმარტა რომ ნაწილობრივ

¹³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-793-742-2017

¹³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-277-264-2013; ნაჭყებია, ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), გერმანიის თანამშრომლობა (giz), 2014, 126

¹³⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2867-13;

<http://library.court.ge/judgements/93822014-08-12.pdf> ხელმისაწვდომი 31.03. 2021 მდგომარეობით

¹³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1153-1173-2011

ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია. თუ მხარე უარს ამბობს ხელშეკრულებაზე იგი ასრულებს სახელშეკრულებო ურთიერთობას¹³⁹. ამავდროულად მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სადაც აღნიშნა, რომ „ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად გადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა¹⁴⁰“. იგივე მოსაზრებას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც თავის გადაწყვეტილებაში, სადაც განმარტავს რომ კანონის მიხედვით ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლა დაუშვებელია¹⁴¹.

აღნიშნულის საპირისპიროდ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა რომ მიუხედავად წერილობითი სახით ფონდის მიერ განხორციელებული მიმართვისა ხელშეკრულების მომლის თაობაზე მხარეებს შორის ნაწილობრივ, სახლის აშენების ნაწილში ნარჩუნდებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რის შედეგადაც იგი წინააღმდეგობაში მოვიდა სასამართლო პრაქტიკასთან, მათ შორის მისსავე გადაწყვეტილებებში განვითარებულ მსჯელობებთან¹⁴².

შეცვლილი გარემოებების მიმართ ხელშეკრულების მისადაგების თაობაზე არსებული სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს რომ არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი რის მიხედვითაც დადგინდება აქვს თუ არა ადგილი იმ გარემოებების არსებით ცვლილებას რომლებსაც დაეფუძნა მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა. სასამართლო არ მსჯელობს

¹³⁹ დიოგიძე, თ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა ქუჩაში დადებული გარიგებების დროს, თბ., 2019, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 120;

https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Tamar_Diogidze.pdf ხელმისაწვდომი 07.04.2021 მდგომარეობით

¹⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № 28/397-19; <http://temida.ge/fullcase/1550///--.pbn> ხელმისაწვდომი 03.04. 2021 მდგომარეობით

¹⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-38-2018

¹⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-793-742-2017

იმის თაობაზე თუ რატომ არ წარმოადგენს ესა თუ ის გარემოება ვითარების არსებით ცვლილებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1153-1173-2011. ამ შემთხვევაში მხარე ამტკიცებდა რომ აგვისტოს ომი და ეკონომიკური კრიზისი რაც განვითარდა 2008 წლის აგვისტოში წარმოადგენდა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საფუძველს. სასამართლოს განმარტების მიხედვით მხარემ ვერ დაასაბუთა რომ მის მიერ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობა რუსეთ-საქართველოს ომით და შემდგომში განვითარებული ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. აღნიშნული გარემოების დასაბუთებას მხარე ცდილობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის მიხედვით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეფერხდა საქართველოში ეკონომიკური ზრდა, განვითარდა ინფლაცია და შემცირდა უცხოური ინვესტიციების რაოდენობა¹⁴³.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა იმის შესახებ რომ რუსეთ-საქართველოს ომი არ წარმოადგენდა კონკრეტულად იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების მიზეზს რომლის მოშლასაც ითხოვდა კასატორი სსკ-ის 398-ე მუხლის მიხედვით. ომის შედეგად განვითარებულ პროცესებს ჰქონდათ ნეგატიური გავლენა არა კონკრეტულად აღნიშნული ხელშეკრულების მიზნებზე არამედ ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე ომის და შემდგომში განვითარებული მოვლენების გამო არ არსებობდა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგების აუცილებლობა.

¹⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1153-1173-2011

1.6 ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებების ხანდაზმულობის ვადა

მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა მოქმედებს დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე. სამოქალაქო სამართალში არსებობს შემდეგი სახის ვადები: ხელშეკრულების წარმოშობის; სამოქალაქო უფლების განხორციელების; ვალდებულების შესრულების; უფლების ხანდაზმულობის¹⁴⁴. ხანდაზმულობა რომელიც ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებებზე უნდა გავმიჯნოთ იმ ვადისგან რომელიც დადგენილია ამ უფლებების განხორციელების მიზნით. სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით განსაზღვრული ვადა სამოქალაქო უფლების ხანდაზმულობის ვადაა, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის ან მოშლის უფლების განხორციელების მიზნით გათვალისწინებული ვადა სამოქალაქო უფლების განხორციელებისთვისაა განკუთვნილი. სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს ხოლო სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად ამ ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან¹⁴⁵. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ¹⁴⁶. სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება ვალდებულების შესრულების უფლებაზე, ხოლო ვალდებულების არსი ხელშეკრულების საფუძველზეა განსაზღვრული¹⁴⁷. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისგან განსხვავებით რომელიც სამართლის ნორმის საფუძველზეა განსაზღვრული, ხელშეკრულებიდან გასვლის და

¹⁴⁴ დიოგიძე, თ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა ქუჩაში დადებული გარიგებების დროს, თბ., 2019, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 70

¹⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 130-ე მუხლი

¹⁴⁶ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 130-ე მუხლი; იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-38-2018

¹⁴⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №28/167-15, 5 http://library.court.ge/judgements/85512017-03-01.pdf?fbclid=IwAR0D2fP_2cH0I_ohxyMKVxfXIC5UdK8e6UcQoJ5NQejrNHYYbbKi7OnUN6AY ხელმისაწვდომი 07.04.2021 მდგომარეობით

მისი მოშლის ვადა განისაზღვრება კონტრაქტის მიხედვით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი ვადა არ არის გათვალისწინებული კონტრაქტის ტექსტში მოქმედებს სსკ-ის შესაბამისი ნორმები. მხარეებს აქვთ უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის ვადის თაობაზე შეთანხმდნენ როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ასევე ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამასთან მხარეებს შეუძლიათ შეთანხმონ ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის პირობები¹⁴⁸. მხარეების მიერ შეთანხმებული ვადის მიხედვით განისაზღვრება დროის რა პერიოდის გასვლის შემდეგ აქვს უფლება მხარეს გავიდეს ხელშეკრულებიდან ან მოშლოს ხელშეკრულება. კონტრაქტის მიხედვით განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება მას შემდეგ რაც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე შეატყობინებს მეორეს რომ ვადის ხელშეკრულებიდან ან გადაწყვეტილი აქვს მისი მოშლა. იმ შემთხვევაში თუ მხარეები არ გაითვალისწინებენ ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის ვადას მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდება დაუყოვნებლივ, გასვლის ან მოშლის თაობაზე შეტყობინების განხორციელების შედეგად¹⁴⁹. მაგალითად, თუ ქირავნობის ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადითაა დადებული მისი მოშლა (შეწყვეტა) ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის მიერ მოშლის თაობაზე განცხადების გაკეთების შედეგად¹⁵⁰. თუ მხარეები თავად განსაზღვრავენ ხელშეკრულების მოშლის (შეწყვეტის) ვადას სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდება მოშლის თაობაზე მხარეთა მიერ კონტრაქტის მიხედვით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. მაგალითად, თუ მხარეები დადებენ ქირავნობის ხელშეკრულებას და

¹⁴⁸ ლაკერბაია, თ., ზაალიშვილი, ვ., ზოიძე, თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 265;

https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Consumer-Law.pdf?fbclid=IwAR262V14fK7TXZGLAQk71rj63c4lb_JHmV4NUrdBhP7Vp-Y_e7HusfYd0
ხელმისაწვდომი 07.04.2021 მდგომარეობით

¹⁴⁹ ლაკერბაია, თ., ზაალიშვილი, ვ., ზოიძე, თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2018, 264

¹⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1635-2019

დაადგენენ რომ ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის ვადა შეადგენს ოთხ თვეს, ხელშეკრულება მოიშლება შეწყვეტის თაობაზე ერთ-ერთი მხარის მიერ გაკეთებული განცხადებიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ.

მხარეებს შეუძლიათ კონტრაქტის საფუძველზე განსაზღვრონ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის (მოშლის) ან გასვლის შედეგები. მაგალითად დაადგინონ რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადამდე მოშლის შემთხვევაში მხარეს ეკისრება ზიანის ანაზღაურება¹⁵¹. ასეთივე ვადა შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებასთან მიმართებით¹⁵².

მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის და ხელშეკრულებიდან გასვლის, ან/და მისი მოშლის უფლების განხორციელებისთვის განკუთვნილ ვადებს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით ისინი ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივოთ. მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე რომ სასამართლო ერთმანეთისგან არ განასხვავებს ხელშეკრულების მოშლის ან/და გასვლის უფლების ვადას და ხანდაზმულობის საერთო ვადას¹⁵³. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების მიზნით დადგენილი ვადის აღრევას მოთხოვნის ხანდაზმულობის საერთო ვადის ცნებაში, რაც მათი მნიშვნელობის არასწორი გააზრებით არის გამოწვეული. იურისტებსა და სამართლის მკვლევარებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ უნდა გავრცელდეს თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის უფლებების მიმართ ხანდაზმულობის საერთო ვადა. კროპკოლერის მოსაზრებით ხელშეკრულებიდან გასვლა და მოშლა აღმჭურველი უფლებებია. აქედან გამომდინარე მათ მიმართ ხანდაზმულობის ვადის (მათ

¹⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-935-2018

¹⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-360-360-2018

¹⁵³ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 38

შორის საერთო ხანდაზმულობის) გავრცელება არ უნდა მოხდეს. ამავე მოსაზრების თანახმად მხარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება ან გავიდეს ხელშეკრულებიდან¹⁵⁴. ე.ი. ხელშეკრულების როგორც ერთი ასევე მეორე მხარე აღჭურვილია აღნიშნული უფლებებით სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერ პერიოდში, იმისდა მიუხედავად როდის შეიტყვეს რომ არსებობს მოშლის ან გასვლის უფლების გამოყენების საფუძველი. ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებები რომ მოთხოვნის უფლებებს მიეკუთნებოდნენ და ამ უფლებების მიმართ კანონით არ იყოს განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, მაშინ მართებული იქნებოდა ასეთ შემთხვევებზე ხანდაზმულობის საერთო ვადის გავრცელება. რადგან ეს უფლებები აღმჭურველი ხასიათისაა მათ მიმართ ხანდაზმულობის ვადა არ უნდა გავრცელდეს¹⁵⁵. ამავეზე გააკეთა განმარტება თბილისის სააპელაციო სასამართლომ. სასამართლომ განმარტა რომ ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის უფლებები აღმჭურველი უფლებებია რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მხარეს დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა შესაბამისი საფუძვლების არსებობისას და გადაყვანოს იგი განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში. ამ უფლებების განხორციელება მხარეს უნდა შეეძლოს ნებისმიერ დროს¹⁵⁶. მსგავსი შინაარსის განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხარეს საქართველოს კანონმდებლობით აქვს მინიჭებული. აქედან გამომდინარე მეორე მხარის თანხმობა ამისთვის

¹⁵⁴ კროკპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 228

¹⁵⁵ ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და დახასიათება;

<https://blh.com.ge/%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C->

[%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%90/](https://blh.com.ge/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%90/)

ხელმისაწვდომი 07.04.2021 მდგომარეობით

¹⁵⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №28/167-15, 5

საჭირო არ არის¹⁵⁷. კანონის საფუძველზე მხარისთვის მინიჭებული უფლება აღმჭურველი ხასიათისაა. ამიტომ მოთხოვნის ხანდაზმულობის უფლებისგან განსხვავებით მის მიმართ არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. ამავე გადაწყვეტილების ფარგლებში სასამართლომ განმარტა რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება (და შესაბამისად მოშლისაც) შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ დროს თუ არსებობს კანონით განსაზღვრული გასვლის საფუძვლები და წესები (სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-359-ე მუხლები)¹⁵⁸.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც სამართლის ლიტერატურაში ასევე საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის უფლების მიმართ არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, რადგან ისინი წარმოადგენენ აღმჭურველ უფლებებს. მხარეს აქვს უფლება დაუყოვნებლის მომალს ხელშეკრულება ან გავიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან მეორე მხარისათვის გასვლის ან მოშლის თაობაზე შეტყობინების შემდეგ.

¹⁵⁷ ნაჭყებია, ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 73; http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_samokalako_normebis_ganmartebebi.pdf?fbclid=IwAR3lCRGRvu8LmOMrJGf-vM8lxKykKYZnO6slqJM6hXBxtETgafugCwQn-FQ ხელმისაწვდომი 07.04.2021 მდგომარეობით

¹⁵⁸ ნაჭყებია, ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 73

თავი II ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის კანონისმიერი წინაპირობები

2.1. სსკ-ის 405-ე მუხლის გავრცელება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ

სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია როგორც ხელშეკრულების მოშლის ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი წინაპირობები. ეს წინაპირობები დაცული უნდა იყოს იმისათვის რომ ხელშეკრულების მხარეებმა განახორციელონ ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის უფლება. თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება ხდება სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დაცვის გარეშე სასამართლო ადგენს რომ მხარეს არ მოუშლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ან გასულა ხელშეკრულებიდან. მხარეები კვლავ შეზღუდული იქნებიან კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი მოვალეობებით. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა მეორე მხარეს ანიჭებს უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამავე ნორმის ბოლო წინადადებაში კანონმდებელი კვლავ იმეორებს ტერმინს „უარი ხელშეკრულებაზე“ რაც გამოიყენება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე მოშლის უფლების აღსანიშნავად¹⁵⁹. ამავეზე მიუთითებს სსკ-ის 541-ე მუხლი რომლის თანახმადაც დამქირავებელს აქვს ქირავნობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ამავე ნორმის მიხედვით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას¹⁶⁰. როგორც ავლნიშნე ქირავნობის ხელშეკრულება მიეკუთნება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების კატეგორიას. აქედან გამომდინარე მის მიმართ არა ხელშეკრულებიდან გასვლის არამედ მოშლის

¹⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლის პირველი ნაწილი

¹⁶⁰ იხ. იქვე, 541-ე მუხლის პირველი ნაწილი; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-810-777-2016

ინსტიტუტი ვრცელდება. შესაბამისად, კანონმდებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარი გამოიყენება ხელშეკრულების მოშლის, ასევე გასვლის უფლების გაგებით. ამავებზე მიუთითა სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ როდესაც ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა რომ უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე იგივეა რაც ხელშეკრულების მოშლა. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილზე რომლის თანახმად ხელშეკრულების მოშლის შემთხვევების მიმართ ვრცელდება სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნები იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოშლის მიზეზი კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაა¹⁶¹. აქედან გამომდინარე მცდრია რომლის თანახმად სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებია განსაზღვრული¹⁶². რადგან სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილი ასევე მიუთითებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევების მიმართ აღნიშნული ნორმა სრულად ვრცელდება. მაგალითად, სუს-მა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა შრომის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. სასამართლომ განმარტა რომ განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევას ჰქონდა ადგილი, რაც არ წარმოადგენდა ხელშეკრულების მოშლის საფუძველს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად¹⁶³. შრომის ხელშეკრულება მიეკუთნება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების კატეგორიას, რომლის მიმართაც ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის და არა ხელშეკრულებიდან გასვლის

¹⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-252-239-2015

¹⁶² ვაშაკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019, 658

¹⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-252-239-2015

ინსტიტუტი¹⁶⁴. აქედან გამომდინარე განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ სსკ-ის 405-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები გაავრცელა მოშლის შემთხვევების მიმართ, რაც ასევე ამყარებს იმ მოსაზრებას რომ სსკ-ის აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევებზე. გრძელვადიანი ხელშეკრულებების მიმართ სსკ-ის 405-ე მუხლი გაავრცელა სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით სადაც განხილვის საგანს წარმოადგენდა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში გამოიყენა ტერმინი „ხელშეკრულებიდან გასვლა“, რაც მოშლისა და გასვლის ინსტიტუტების ერთმანეთში აღრევის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია¹⁶⁵. ნაცვლად ამისა სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ტერმინი „მოშლა“ ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით¹⁶⁶. საინტერესოა რომ აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ სააკელაციო სასამართლომ გამოიყენა ტერმინი „შეწყვეტა“ რაც იმის მანიშნებელია რომ მან ხელშეკრულების მოშლისა და შეწყვეტის ცნებები ერთმანეთთან გააიგივა. სხვა შემთხვევაში სასამართლომ იმსჯელა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მყიდველის გასვლის მართლზომიერების თაობაზე და განმარტა რომ მყიდველს არ ჰქონდა გასვლის უფლება სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის ნორმატიული შინაარსის

¹⁶⁴ ხუციშვილი,ო., სისვაძე, მ., ტოხოსაშვილი, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, # 1-2, 2017, 25

¹⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ს 2015 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე #ას-730-698-02014;

[https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e1839ae18394e183a5e183aae18398e18390-e1839ce18390e183a0e18393e1839de18391e18398e18393e18390e1839c-e18392e18390e183a1e18395e1839ae18390.pdf?fbclid=IwAR3dY9NWfVO-](https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e1839ae18394e183a5e183aae18398e18390-e1839ce18390e183a0e18393e1839de18391e18398e18393e18390e1839c-e18392e18390e183a1e18395e1839ae18390.pdf?fbclid=IwAR3dY9NWfVO-8rALg2xdr9LS3RH1EyfT3XnJXMziAuS35X5qddcAEB-j0G4)

[8rALg2xdr9LS3RH1EyfT3XnJXMziAuS35X5qddcAEB-j0G4](http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-637.pdf) ხელმისაწვდომია 19.04.2021

მდგომარეობით

¹⁶⁶ ძლიერიშვილი, ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 637-ე მუხლის კომენტარი, 2016, 2; <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-637.pdf> ბოლო გადამოწმება 19.04.2021

გათვალისწინებით¹⁶⁷. ამ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა. სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე ხელშეკრულების მოშლის კანონისმიერი წინაპირობები. შესაბამისად ეს ნორმა ვრცელდება როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ.

2.1.1. გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის გამომრიცხავი გარემოება

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლა ან მისი მოშლა დაუშვებელია თუ: ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა; დარღვეულია სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები თუმცა მხარეს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; კრედიტორი თვითონ ან უმეტესწილად არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების დარღვევისთვის; კრედიტორის მოთხოვნას უპირისპირდება მოვალის შესაგებელი¹⁶⁸. სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი გულისხმობს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევას. კოდექსის 405-ე მუხლში 316-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითება ნიშნავს რომ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა არ წამოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის საფუძველს ყველა შემთხვევაში¹⁶⁹. მნიშვნელოვანია გულისხმიერების ვალდებულება იყოს არსებითად დარღვეული, რასაც იმ შემთხვევაში აქვს ადგილი თუ მოვალის პროფესიული უნარჩვევების მიმართ კრედიტორი კარგავს ნდობას¹⁷⁰. სსკ-ის

¹⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-168-158-2017

¹⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლის მე-3 ნაწილი

¹⁶⁹ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008, 138

¹⁷⁰ ვაშაკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019, 668

405-ე მუხლის აღნიშნული ჩანაწერი ზოგადი შინაარსისაა და სასამართლოს გადასაწყვეტია რა შემთხვევაში აქვს ადგილი გულისხმიერების უმნიშვნელო დარღვევას და რა შემთხვევაშია იგი არსებითი. მეორე მხრივ სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი არ გამოხატავს ნათლად მისივე ნორმატიულ შინაარსს. რადგან განსახილველ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის უფლების გამოყენების დაუშვებლობაზე გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის დროს, მიზანშეწონილია მოხდეს კანონის აღნიშნული ჩანაწერის რედაქტირება შემდეგნაირად: *„ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია ...გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის გამო“*. შემდგომში სასამართლო პრაქტიკაზე იქნება დამოკიდებული იმის განსაზღვრა რომელი გარემოებები წარმოადგენს გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევას და რომელი არა. საკამათოა არის თუ არა მიზანშეწონილი აღნიშნული ჩანაწერის არსებობა სსკ-ში. გსკ-ის 323-ე პარაგრაფი წარმოადგენს სსკ-ის 405-ე მუხლის ანალოგს. აღნიშნული ნორმა არ შეიცავს მითითებას გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის გამო ხელშეკრულებაზე უარის თქმის დაუშვებლობის თაობაზე. გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად *„კრედიტორს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა თუ ვალდებულები დარღვევა არაარსებითია¹⁷¹“*. აქედან გამომდინარე გსკ-ი ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევის ცნების ქვეშ აერთიანებს გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევებსაც, ხოლო სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი მიუთითებს ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის თაობაზე. სსკ-ის 405-ე კომენტარის თანახმად გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა შეიძლება არ გამოიხატოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

¹⁷¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სიესტა“, თბ., 2010, 65; <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> ხელმისაწვდომი 19.04.2021 მდგომარეობით

დარღვევაში¹⁷², რაც იმას ნიშნავს რომ აღნიშნულ ცნებას აქვს განსხვავებული შინაარსი ვიდრე ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევას.

2.1.2. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

სუს-ის ერთ-ერთი განმარტების მიხედვით გულისხმიერების სტანდარტის დარღვევა გამოიხატება წინდახედულობის ფარგლების დარღვევაში. გულისხმიერების ვალდებულება მხარეს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ეკისრება ხოლო ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას გულისხმობს¹⁷³. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ გულისხმიერების ვალდებულება კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევას დაუკავშირა. სასამართლომ აღნიშნა რომ იგი გულისხმობს იმ პირის ქონებისა და უფლებებისადმი გულისხმიერების ვალდებულებას, რომელთანაც კასატორი იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში¹⁷⁴. გულისხმიერების სტანდარტსა და კეთილსინდისიერების ვალდებულებას შორის კავშირზე მიუთითა სასამართლომ სხვა გადაწყვეტილების ფარგლებშიც და განმარტა რომ „გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. იგი შეიძლება გულისხმობდეს ასევე წინასახელშეკრულებო პერიოდში მხარის მიერ განხორციელებული ქმედებებისადმი პატივისცემას, აგრეთვე მისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც¹⁷⁵“. ამავე საკითხზე საინტერესოა სუს-ის განმარტება რომლის თანახმადაც

¹⁷² ვაშაკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019, 668

¹⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1037-995-2014

¹⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1376-2020

¹⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1498-1418-2017

გულისხმიერების ვალდებულების სტანდარტი ნიშნავს რისკის მართვას იმ პირის მიერ რომლის სფეროშიც არის აღნიშნული რისკის მართვა¹⁷⁶. ამ შემთხვევაში სასამართლო გულისხმობდა სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის მიერ ისეთი ზომების მიღებას, რის შედეგადაც თავიდან იქნებოდა აცილებული მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი. აღნიშნულ განმარტებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ გულისხმიერების ვალდებულება გამოიხატება წინდახედულობის და გონივრულობის სტანდარტის დარღვევაში, რაც შესაძლოა მოხდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. ე.ი. გულისხმიერების სტანდარტის დარღვევა მდგომარეობს არა ხელშეკრულების პირობების დარღვევაში, არამედ სამართლის ნორმებით დადგენილი მოთხოვნის დარღვევაში, რაც განსაზღვრულია სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. შესაბამისად ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევა და გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავებული ცნებებია. მეორე მხრივ ლოგიკურია ვარაუდი, რომ თუ ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევა არ წარმოადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის-მისი მოშლის, ან გასვლის უფლების გამოყენების საფუძველს, გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა არ უნდა იქნას მიჩნეული საკმარის საფუძველად იმისათვის, რათა დადგეს სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები.

2.2. კრედიტორის ბრალეულობა როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება

სსკ-ის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი ვალდებულების დარღვევისთვის მთლიანად, ან უმთავრესად არის პასუხისმგებელი ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის უფლების გამოყენება მეორე მხარეს არ შეუძლია¹⁷⁷. მაგალითად, ასეთ

¹⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-751-751-2018

¹⁷⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი

შემთხვევას აქვს ადგილი როდესაც მოვალემ ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რადგან კრედიტორმა არ განახორციელა საპასუხო მოქმედება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 369-ე მუხლის მიხედვით¹⁷⁸. ამ შემთხვევაში კანონმდებელი აქცენტს აკეთებს ისეთ გარემოებაზე, როდესაც მოვალეს არ მიუძღვის ბრალი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ან მის ბრალს აღემატება კრედიტორის ბრალი. აქედან გამომდინარე სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი ვრცელდება ისეთი შემთხვევების მიმართაც, როდესაც სახეზეა შერეული ბრალი.

შერეული ბრალის ცნება არ არის განმარტებული სსკ-ის მიხედვით. მისი განმარტება ხდება სასამართლო პრაქტიკაში და სამართლის ლიტერატურაში. შერეული ბრალი სახეზეა იმ შემთხვევაში როდესაც ზიანი გამოწვეულია როგორც დაზარალებულის, ასევე ზიანის მიმყენებლის ბრალეული ქმედებით¹⁷⁹, ან უმოქმედობით¹⁸⁰. შერეული ბრალი შეიძლება გამოიკვეთოს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარის მხრიდან ადგილი აქვს აუცილებელი ყურადღებებიანობის ვალდებულების დარღვევას, რაც გაუფრთხილებელი ბრალის შემთხვევას წარმოადგენს¹⁸¹. ასევე შესაძლებელია სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებმა დაარღვიონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ამ შემთხვევაში შერეული ბრალი განზრახ ქმედებაში გამოიხატება. შერეული ბრალის თაობაზე მიუთითებს სსკ-ის 415-ე მუხლი, რომლის თანახმად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დამოკიდებულია იმაზე, რომელი

¹⁷⁸ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008,139

¹⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1464-2018

¹⁸⁰ O'Connor, M. An End to Preemptively Limiting the Scope of a Manufacturer's Duty: Why the Arizona Court of Appeals Was Right in Striking Down the Learned Intermediary Doctrine. Arizona State Law Journal, 49, 2017, p. 623; retrived from https://arizonastatelawjournal.org/wp-content/uploads/2017/07/OConnor_Final.pdf

¹⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1064-2019

მხარის ბრალით უფრო მეტად არის იგი გამოწვეული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შერეული ბრალი შესაძლოა გამოიხატოს როგორც მოქმედებაში ასევე უმოქმედობაში¹⁸².

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 „გ“ პუნქტის მიხედვით თუ კრედიტორის ბრალეულობა გადაწონის მოვალის ბრალეულობას, იგი კარგავს უფლებას გავიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, ან მოშალოს ხელშეკრულება.

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტში კანონმდებელი არ მიუთითებს შერეული ბრალის როგორი პროპორციის შემთხვევაში არ აქვს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. ამიტომ აღნიშნული გარემოება სასამართლო პრაქტიკის მიხედვით უნდა განისაზღვროს. საქმის განმხილველი სასამართლო ადგენს შერეული ბრალის პროპორციას და განსაზღვრავს ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობას¹⁸³. მეორე მხრივ, მიზანშეწონილია დადგინდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებთან მიმართებით. ეს გაამარტივებს იმ სარჩელების სასამართლო პერსპექტივის განჭვრეტას რომლებიც მოიცავენ აღნიშნული ნორმის საფუძველზე რეგულირებულ გარემოებებს. გამომდინარე იქიდან რომ შერეული ბრალის პროპორციის დადგენა მთლიანად სასამართლო პრაქტიკაზეა დამოკიდებული, ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოა სხვადასხვა წყაროებში აღნიშნული ვარაუდები სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული შემთხვევების თაობაზე. რადგან კანონმდებელი ზოგადად მიუთითებს იმის შესახებ, რომ მოვალის ბრალს უნდა აღემატებოდეს კრედიტორის ბრალი, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე არაა საჭირო ბრალის ისეთი პროპორცია როგორცაა მაგალითად 30%-70%-ზე¹⁸⁴. თუ

¹⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1064-2019

¹⁸³ Nelson, E., Florida House Bill: Florida's attempt at tort reform and its likely impending constitutional challenges. *Stetson Law Review*, 54, 2025, p., 611; retrieved from <https://stetsonlawreview.org/wp-content/uploads/2025/06/14-Nelson.603-644.pdf>

¹⁸⁴ ვაშაკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019, 672

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორის ბრალი აღემატება მოვალე ბრალს ეს უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებად¹⁸⁵. ეს საკითხი ანალოგიურად რეგულირდება გსკ-ის 323-ე პარაგრაფის საფუძველზე. აღნიშნული ნორმა სსკ-ის 405-ე მუხლის მსგავსად მიუთითებს რომ თუ კრედიტორი უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას მიანიჭებდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მაშინ მას არ შეუძლია უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე¹⁸⁶. გსკ-ის აღნიშნული პარაგრაფის მიხედვით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მხარეს არ აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორის მხრიდან შესრულების მიღების ვადის გადაცილების დროს შეიქმნა. გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-6 ნაწილში გამოყენებული ტერმინი „უმეტესწილად“ ბრალეულობის ხარისხს აღნიშნავს¹⁸⁷, თუმცა სსკ-ის მსგავსად ისიც არ აკონკრეტებს ბრალის როგორ პროპორციას გულისხმობს აღნიშნული ტერმინი.

2.2.1. სასამართლო პრაქტიკა შერეული ბრალის შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე

სასამართლო პრაქტიკა ნაწილობრივ სცემს პასუხს კითხვას იმის თაობაზე, თუ რომელ შემთხვევაშია დაუშვებელი ხელშეკრულებაზე უარის თქმა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის გათვალისწინებით. მაგალითად, ერთერთ შემთხვევაში სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა რომ კრედიტორს არ შეუსრულებია მის მიერ ნაკისრი მოვალეობები, ხოლო მოვალეს ვალდებულება შესრულებული ჰქონდა 95,2%-ით, რაც გამორიცხავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.

¹⁸⁵ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 444

¹⁸⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა სიესტა, თბ., 2010, 65

¹⁸⁷ კროპკოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 228

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მსჯელობდა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. მოვალის მიერ გადახდილი იყო თანხის დიდი ნაწილი, თუმცა კრედიტორს არ ჰქონდა შესრულებული მასზე ნაკისრი ვალდებულება-კორპუსის აშენება, სადაც იქნებოდა განთავსებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი-ბინა. კრედიტორი მიუთითებდა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების 8.3 მუხლზე, რომლის თანახმად მყიდველის მიერ გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში გამყიდველს ჰქონდა უფლება ცალმხრივად გაეუქმებინა ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში გამყიდველს უკან უნდა დაებრუნებინა მყიდველის მიერ გადახდილი თანხა მხოლოდ ბინის ხელმეორედ გაყიდვის შემდეგ¹⁸⁸. სასამართლომ განმარტა რომ ეს დებულება არ უნდა განიმარტოს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული დებულებების საწინააღმდეგოდ, როდესაც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება კრედიტორს არ აქვს უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში, ან როდესაც კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის¹⁸⁹. სასამართლომ განმარტა რომ წინარე ხელშეკრულების 8.3-ე მუხლი ეწინააღმდეგებოდა კეთილსინდისიერების პრინციპს. სასამართლოს განმარტებით *„სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღვეს სხვას“*¹⁹⁰. განსახილველ შემთხვევაში გამყიდველს არ ჰქონდა შესრულებული მის მიერ ნაკისრი ვალდებულება. მყიდველმა ბინის ფასის გადახდაზე უარი თქვა გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. აქედან გამომდინარე სახეზეა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება:

¹⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-374-355-2015

¹⁸⁹ იქვე

¹⁹⁰ იქვე

ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად თვითონ არის პასუხისმგებელი.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა რომ ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კრედიტორი არ იღებს შესრულებას. განსახილველ შემთხვევაში შუამავლებმა იკისრეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მდებარე 26 ნაგებობის მოსარჩელისთვის გადაცემის ვალდებულება, რაც შეასრულეს კონტრაქტით დადგენილ ვადაში. მიუხედავად ამისა, რადგან იმავე ტერიტორიაზე იდგა კიდევ ერთი ნაგებობა მოსარჩელემ არ მიიღო შესრულება. მოსარჩელის განმარტებით ხელშეკრულების მიხედვით მას უნდა მოეპოვებინა საკუთრების უფლება 4 271 კვ.მ-ფართობზე და მასზე მდებარე 26 ნაგებობაზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ 26 შენობის გადაცემის თაობაზე და არა მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების არსებითი პირობა არ ყოფილა დარღვეული მოპასუხის მიერ. შესაბამისად კრედიტორი თავად იყო პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევისთვის რაც შესრულების მიღებაზე უარის თქმაში გამოიხატა¹⁹¹.

სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის თაობაზე გვიჩვენებს რომ სასამართლო კრედიტორის ბრალეულ ქმედებად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც იგი უარს ამბობს შესრულების მიღებაზე. ამასთან დაუშვებლად მიიჩნევს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იმ შემთხვევაში როდესაც ვალდებულებას კრედიტორი არღვევს, თუმცა ამ დრომდე არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა შერეული ბრალის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის უფლების გამოყენების თაობაზე. აქედან გამომდინარე რთულია ვივარაუდოთ ბრალის როგორ პროპორციას დაადგენს

¹⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-935-893-2013

სასამართლო სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების მიმართ. მეორე მხრივ გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ არ არსებობს შერეული ბრალის პროპორციის განმსაზღვრელი კონკრეტული კრიტერიუმები¹⁹² აქედან გამომდინარე სავარაუდოა რომ სასამართლო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად დაადგენს შერეული ბრალის პროპორციას.

2.3. შესაგებელის წარდგენა, როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება

ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამორიცხებულია იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორის მოთხოვნას უპირისპირდება მოვალის შესაგებელი. იმისათვის რომ შესაგებელი გახდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება, მოვალემ იგი დაუყოვლებლივ უნდა წარადგინოს ან აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს იმ მომენტში, როდესაც კრედიტორი ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას ან ხელშეკრულების მოშლას¹⁹³. შესაგებელი აჩერებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იმ დრომდე სანამ არ გაირკვევა ურთიერთობა მოვალესა და კრედიტორს შორის¹⁹⁴. შესაგებლის წარდგენის გამო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეჩერება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ იგი წარმოადგენს მოვალის დამოუკიდებელ მოთხოვნას კრედიტორის მიმართ. აქედან გამომდინარე სანამ არ დადგინდება აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლიანობა, კრედიტორი არ არის უფლებამოსილი უარი თქვას ხელშეკრულებაზე სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით¹⁹⁵. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ბინის დამქირავებელი აზიანებს ნივთს, გამქირავებელს უფლება აქვს მოშალოს

¹⁹² ცერცვაძე, გ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 682

¹⁹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლი, მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი

¹⁹⁴ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით),

GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008, 139

¹⁹⁵ იქვე, 139

ხელშეკრულება, თუმცა თუ დამქირავებელმა გაწია მნიშვნელოვანი ხარჯები ნაქირავებ ბინაზე იგი უფლებამოსილია მოთხოვოს გამქირავებელს აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება. იმ დრომდე სანამ არ გაირკვევა აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლიანობა დაუშვებელია ხელშეკრულების მოშლა¹⁹⁶.

2.4. უმნიშვნელო დარღვევა როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება

ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის ცნება არ არის განმარტებული სსკ-ში. აქედან გამომდინარე იგი უნდა განიმარტოს სამართლის ნორმების ნორმატიული შინაარსის და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის უფლებების შეზღუდვის მიზანია შენარჩუნდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და საფრთხე არ შეექმნას ხელშეკრულების შესრულებას¹⁹⁷, რაც უნდა გავითვალისწინოთ ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევის ცნების განმარტებისას. ხელშეკრულება კონკრეტული მიზნის მისაღწევად იდება. აქედან გამომდინარე საქმეში წარმოდგენილი მასალების ყოველმხრივი შესწავლის და ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური შეფასების საფუძველზე სასამართლომ უნდა განსაზღვროს არის თუ არა შესაძლებელი ხელშეკრულების მიზნების მიღწევა იმ დარღვევის შემდეგ რომელსაც ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში¹⁹⁸. იმ შემთხვევაში თუ დარღვევა შეუძლებელს ხდის კონტრაქტის მიზნის მიღწევას, მიიჩნევა რომ კრედიტორი კარგავს ინტერესს ხელშეკრულების შესრულებისადმი. ამიტომ ასეთი დარღვევა არსებითია და წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ან/და მისი მოშლის საფუძველს სსკ-ის 405-ე

¹⁹⁶ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 444

¹⁹⁷ ვაშაკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019, 690

¹⁹⁸ მესხიშვილი, ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2020, 94 <http://lawlibrary.info/ge/books/2020giz-ge-kerdzo-samartlis-aktualuri-sakitxebi.pdf> ხელმისაწვდომი 13.04.2021 მდგომარეობით

მუხლის მიხედვით. მაგალითად, თუ მხარეები ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმდნენ რომ მენარდეს უნდა შეეკერა საქორწილო კაბა პირველი სექტემბრისთვის, ხოლო შეკვეთა შესრულებული იქნება 2 სექტემბერს ასეთი დარღვევა არსებითია და წარმოადგენს ხელშეკრულების მოშლის საფუძველს, რადგან დარღვევის შედეგად ვერ მიიღწევა მისი მიზანი-ქორწილის დღეს კაბის გამოყენება. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საგნად განისაზღვრებოდა ჩვეულებრივი კაბა რამოდენიმე დღის დაგვიანებით მისი შეკერვა არ ჩაითვლებოდა ხელშეკრულების არსებით დარღვევად, რადგან მიუხედავად მენარდის მიერ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისა საფრთხე არ შეექმნებოდა ხელშეკრულების მიზნების შესრულებას¹⁹⁹.

ერთ-ერთი მოსაზრებით ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევის შეფასებისას მნიშვნელოვანია დაუკავშირა თუ არა ხელშეკრულების შესრულება მხარემ კონკრეტულ ვადას. იმ შემთხვევაში თუ ვადა მკაცრად განსაზღვრულია ეს ნიშნავს, რომ კრედიტორს ჰქონდა შესრულების ინტერესი მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ხოლო ამის შემდეგ შესრულებამ მისთვის აზრი დაკარგა²⁰⁰. შესაძლოა ვადა არ იყოს განსაზღვრული ხელშეკრულებით, თუმცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების და მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთოს, რომ კრედიტორმა დაკარგა ინტერესი ხელშეკრულების შესრულებისადმი. მეორე მხრივ არამართებულია ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევაზე მითითებით კრედიტორს მიეცეს უფლება უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობაზე მოშლის ან გასვლის ინსტიტუტის გამოყენებით. როგორც ავღნიშნე ხელშეკრულებიდან გასვლა ან მისი მოშლა დასაშვებია იმ შემთხვევაში როდესაც დარღვევის შედეგად კრედიტორი კარგავს ინტერესს ხელშეკრულებისადმი, რაც იმითაა გამოწვეული რომ შეუძლებელი ხდება

¹⁹⁹ ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 442

²⁰⁰ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008, 129

სახელშეკრულებო ურთიერთობის მიზნის მიღწევა. აქედან გამომდინარე სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მიზნის მიღწევის შეუძლებლობაზე და არა ვადის დარღვევაზე. ე.ი. კონტრაქტის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი ყველა შემთხვევაში. განსაზღვრულ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა რომ არსებით დარღვევას წარმოადგენს, ამის თაობაზე სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტიც მიუთითებს, რომლის მიხედვით დამატებითი ვადის დაწესება არაა საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც *„ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას“*²⁰¹. ასეთ შემთხვევაში დარღვევა იმდენად არსებითია, რომ დამატებითი ვადის დაწესების შედეგად ვერ იქნება მიღწეული ხელშეკრულების მიზანი. აქედან გამომდინარე კრედიტორს აქვს უფლება უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობაზე მოშლის ან გასვლის უფლების გამოყენებით (რაც დამოკიდებულია იმაზე როგორია ხელშეკრულების ბუნება). მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება რომ არასაკმარისი საფუძველია ხელშეკრულებაზე უარის სათქმელად, ამაზე გსკ-ის 323-ე პარაგრაფიც მიუთითებს. აღნიშნული ნორმის თანახმად დამატებითი ვადის დაწესება ზედმეტია იმ შემთხვევაში, როდესაც *„მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღამდე ან განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ხელშეკრულების გაგრძელების ინტერესი დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას“*²⁰². ე.ი. კანონმდებელმა ერთმანეთისგან განასხვავა ორი გარემოება: ერთი როდესაც კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულება უნდა მომხდარიყო განსაზღვრულ ვადაში და მეორე რომლის

²⁰¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

²⁰² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სიესტა“, თბ., 2010, 323-ე პარაგრაფი

მიხედვით შესრულებისადმი ინტერესი სწორედ განსაზღვრულ ვადაში შესრულებას უკავშირდებოდა. აქედან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა არ წარმოადგენს არსებით დარღვევას იმ შემთხვევაში თუ ნარჩუნდება ხელშეკრულების მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევად უნდა ჩაითვალოს ისეთი საგნობრივი ნაკლის მქონე ნივთის მიწოდება, რომლის აღმოფხვრისთვის საჭიროა უმნიშვნელო ხარჯების გაწევა. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მანქანას, როგორც ნასყიდობის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი, რომლის აღმოფხვრაც უმნიშვნელო ხარჯების გაწევის შედეგადაა შესაძლებელი, ეს გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულების არსებით დარღვევად²⁰³.

ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევის შეფასებისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულება და არსებითი დარღვევა. ხელშეკრულების არსებითი დარღვევისგან განსხვავებით ნაწილობრივ შესრულების შედეგად შესაძლებელია ჯერ კიდევ იყოს შანსი იმისა, რომ მიღწეული იქნას ხელშეკრულების მიზანი. შესაძლებელია ისიც, რომ ასეთმა შესრულებამ შექმნას ვითარება როდესაც კონტრაქტის მიზნის მიღწევა შეუძლებელია²⁰⁴. აქედან გამომდინარე მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულების არსებითი დარღვევა და ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება არ არის ერთმანეთის იდენტური ცნებები, ეს უკანასკნელი შეიძლება გახდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

ხელშეკრულების არსებითი დარღვევის განსაზღვრის კუთხით საინტერესო გადაწყვეტას გვთავაზობს საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენცია. აღნიშნული

²⁰³ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008, 129

²⁰⁴ კროპკოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 250

კონვენციის 25-ე მუხლის მიხედვით „ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია, თუ ამას მოჰყვა მეორე მხარის ისეთი ზიანი, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად უნდა ჰქონოდა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და გონიერი პიროვნება მის ადგილზე ანალოგიურ ვითარებაში ვერ გაითვალისწინებდა ამას²⁰⁵“. მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევის შეფასებისას აქცენტს ხელშეკრულების მიზნის მიღწევის შეუძლებლობაზე აკეთებს. კანონმდებელი არ აიგივებს ზიანს ხელშეკრულების არსებით დარღვევასთან. იმისათვის რათა ზიანის საფუძველზე კრედიტორს ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, სახეზე უნდა იყოს იმგვარი ზიანი, რომელიც გამორიცხავს იმის მიღების შესაძლებლობას, რისი იმედიც კრედიტორს სამართლიანად ჰქონდა.

2.4.1. სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევის თაობაზე

სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით პრობლემურია იმის დადგენა აქვს თუ არა ადგილი ხელშეკრულების არსებით დარღვევას, რაც შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის, ან ხელშეკრულების მოშლის საფუძველი. სსკ არ იძლევა უმნიშვნელო დარღვევის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. ამიტომ აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით უნდა დადგინდეს. უმნიშვნელო დარღვევის თაობაზე სასამართლო პრაქტიკაში არსებული განმარტებები ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებებს რომლებიც არსებობს სამართლის ლიტერატურაში.

²⁰⁵ საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენცია, 1980, 25-ე მუხლი;
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4992306?publication=0&fbclid=IwAR38B-NDQ7ZZU-443XrSu8eDUI2U4IwSqPe-vjm6gzeoQNNtqbxQ0dQ3DdI> ხელმისაწვდომი 01.05.2021 მდგომარეობით

სასამართლო ხშირ შემთხვევაში არასწორედ განმარტავს სსკ-ის 405-ე მუხლს, რაც აღნიშნული ნორმის შინაარსის მცდარი ინტერპრეტაციით არის გამოწვეული. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა რომ „ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა სასამართლოს შესაფასებელია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია თავად ხელშეკრულების ხასიათი, აგრეთვე ის ზიანი და ობიექტური სირთულეები, რაც ხელშეკრულების მეორე მხარეს მოვალის მიერ ვადის გადაცილებით²⁰⁶.“ ამ შემთხვევაში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რადგან არ არსებობს დარღვევის ხასიათის განმსაზღვრელი ზუსტი კრიტერიუმები, სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს დარღვევის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე არსებითია დარღვევა, რომელსაც სასამართლო ჩათვლის ასეთად და სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები საბოლოო ანგარიშით უმნიშვნელოა. ამასთან დარღვევის მნიშვნელობა უნდა შეფასდეს კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ იმსჯელა იმის თაობაზე რამდენად გაართულა ხელშეკრულების მიზნების მიღწევა მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევამ. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა ვალდებულების დარჩენილი ნაწილისადმი ინტერესის დაკარგვის ფაქტი. აქედან გამომდინარე დარღვევა, რომელზეც იგი მიუთითებდა იყო უმნიშვნელო და არ წარმოადგენდა ხელშეკრულების მოშლის საფუძველს²⁰⁷. ამ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დარღვევის ხასიათი ფასდება იმისდა მიხედვით რამდენად არის შენარჩუნებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მას აქვს იმ მიზნების მიღწევის შეუძლებლობის გამო,

²⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1326-1346-2011

²⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1326-1346-2011

რომელსაც ისახავდა ხელშეკრულება. ამასთან, მოსარჩელემ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დაასაბუთოს, რომ ხელშეკრულების მიზნების მიღწევა სწორედ მას შემდეგ გახდა შეუძლებელი, რაც მეორე მხარემ დაარღვია კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ამ შემთხვევაშიც მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის მტკიცების ტვირთს სსსკ-ის 102-ე მუხლი მოსარჩელეს აკისრებს. აღნიშნული ნორმის მიხედვით თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც აფუძნებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით მტკიცებულებებს წარმოადგენს მესამე მხარეების ახსნა განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები²⁰⁸. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს რომ ვადამოსული ვალდებულება დაირღვა მოპასუხის მიერ²⁰⁹. მოსარჩელის მტკიცების ტვირთია არამართო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევის მტკიცება, არამედ ყველა იმ გარემოების მტკიცებაც, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილში და რომლებიც გამორიცხავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, მათ შორის შერეული ბრალის არსებობა, გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა ან მოსარჩელის ბრალეულობა.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების დარღვევის ხასიათი უნდა შეფასდეს იმისდა მიხედვით დაირღვა თუ არა ხელშეკრულების მონაწილის ბრალით კონტრაქტის არსებითი პირობები. ამის გასარკვევად კი უნდა დადგინდეს რის თაობაზე შეთანხმდნენ მხარეები ხელშეკრულების საფუძველზე²¹⁰. არსებითი პირობის დარღვევად არ

²⁰⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997, 102-ე მუხლი;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145> ხელმისაწვდომი 04.05.2021 მდგომარეობით

²⁰⁹ მესხიშვილი, ქ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ., 2020, 424;
<http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> ხელმისაწვდომი 04.05.2021 მდგომარეობით

²¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-935-893-2013

შეიძლება შეფასდეს ისეთი ვითარება როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეებმა „დაიცვეს წინდახედულობის ყველა დასაშვები სტანდარტი და მიიღეს ყველა ზომა, რაც ხელშეკრულების შესრულების მიზნებისათვის ნებისმიერ გონიერ ადამიანს შეეძლო მიეღო²¹¹“.

ამ შემთხვევაში სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად უნდა გამოიკვეთოს მხარის ბრალეულობა. იმ შემთხვევაში თუ მხარეს არ მიუძღვის ბრალი კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაში ცხადია რომ ადგილი არ აქვს ხელშეკრულების არსებით დარღვევას. ამავე მოსაზრებით არის ნაკარნახევი სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი, სადაც აღნიშნულია რომ შერეული ბრალის შემთხვევაში, როდესაც უმეტეწილად კრედიტორის ბრალით არის გამოწვეული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა არ არსებობს ხელშეკრულებიდან გასვლის ან/და ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, ისევე როგორც იმ დროს, როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე არ იკვეთება მხარის ბრალეულობა²¹².

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა რომ „ზოგადად, მნიშვნელოვან დარღვევად განხილული უნდა იქნეს დარღვევები, რომლებიც რეალურ უარყოფით გავლენას ახდენენ შედეგზე, რომელიც ხელშეკრულების მხარეს უნდა მიეღო ვალდებულების შესრულების შედეგად²¹³“.

მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა სამშენებლო ნარჩენების შესყიდვა, მათი ტერიტორიიდან გატანა და შენობის დემონტაჟი. ნარჩენების გატანა დაგვიანდა მოვალის პატიმრობის გამო, რაც სასამართლოს შეფასებით ობიექტურად გამორიცხავდა ვალდებულების ხელშეკრულებით ნაკისრ ვადაში შესრულების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე სასამართლომ ხელშეკრულების დარღვევა მიიჩნია უმნიშვნელოდ და განმარტა რომ იგი არ

²¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-935-893-2013

²¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი

²¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1019-962-2015

წარმოშობდა მოშლის საფუძველს. ამასთან როგორც პირველი, ასევე მეორე ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე ადგილი არ ჰქონდა არც ხელშეკრულების არსებით დარღვევას, რაც წარმოშობდა მოსარჩელის უფლებას უარი ეთქვა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის მიხედვით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება კრედიტორმა კონკრეტულ ვადებს დაუკავშირა, ვადის დარღვევა არ დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მასალებით-ფოტოსურათებით. დარღვევის ფაქტი ვერ დაადასტურა ვერ ექსპერიზის დასკვნამ, რადგან მისი შედეგის თარიღი წინ უსწრებდა ვადამოსული ვალდებულების შესრულების თარიღს. აქედან გამომდინარე საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა მოპასუხის ბრალეულობა, რაც გამორიცხავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას სსკ-ის 405-ე მუხლზე მითითებით²¹⁴. რადგან ვერ გამოიკვეთა მოპასუხის ბრალეულობა აზრსმოკლებული იქნებოდა მსჯელობა იმის თაობაზე ნარჩუნდებოდა თუ არა ხელშეკრულების მიზნების მიღწევის შესაძლებლობა.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა ბინისა და ავტოფარების ნასყიდობის ხელშეკრულების დარღვევა. ხელშეკრულების შესრულების ვადა მოპასუხის მიერ იქნა დარღვეული. მიზეზად მოპასუხემ დაასახელა 2008 წლის ომი და შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი²¹⁵. მოპასუხემ ვერ მოგვაციანებით, 2009 წლის 30 ივლისს ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც წარმოადგენდა მხარეთა მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადას. მოსარჩელემ 15 ოქტომბერს გამოთქვა მზადყოფნა დაედო

²¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1019-962-2015

²¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1326-1346-2011

ხელშეკრულება თუ მოპასუხე გადაიხდიდა პირგასამტეხლოს, თუმცა მოპასუხემ არც ამ ვადაში არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ამასთან სამშენებლო პროექტზე თანდართულ წერილში მან მიუთითა, რომ ბინის ფართობი, რომელიც წარმოადგენდა ნასყიდობის საგანს შეადგენდა არა 313 კვ.მ-ს, როგორც ეს კონტრაქტის მიხედვით იყო შეთანხმებული, არამედ 300 კვ.მ-ს, რის შემდეგად მოსარჩელემ დაკარგა ხელშეკრულების დადების ინტერესი²¹⁶.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და მოპასუხეს დააკისრა მისთვის მოსარჩელის მიერ გადახდილი ბინის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, თუმცა სააპელაციო სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის განისაზღვრა ხელშეკრულების შესრულების ახალი ვადა-2009 წლის 30 ივლისი. სასამართლოს განმარტებით მხარემ ვერ დაამტკიცა რომ დაკარგა ინტერესი ხელშეკრულების მიმართ, ხოლო დარღვევა-313კვ.მ ფართობი ბინის ნაცვლად 300 კვ.მ ფართობი ბინის გადაცემა სასამართლომ უმნიშვნელოდ მიიჩნია და განმარტა, რომ იგი არ წარმოადგენდა ხელშეკრულების მოშლის საფუძველს. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, სასამართლომ განმარტა რომ იგი წარმოადგენს აქსესორულ უფლებას. რადგან განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა ხელშეკრულების ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, არ უნდა მომხდარიყო არც აქცესორული მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილება²¹⁷.

საკასაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და განმარტა რომ მხარეებმა განსაზღვრეს ხელშეკრულების შესრულების ახალი ვადა-2009 წლის 30 ივლისი, ხოლო თვენახევრით ამ ვადის დარღვევა სასამართლომ

²¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1326-1346-2011

²¹⁷ იქვე

უმნიშვნელოდ მიიჩნია. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მოსარჩელისთვის შეთანხმებულზე ნაკლები ფართობის ბინის გადაცემა წარმოადგენდა არა ხელშეკრულებიდან გასვლის, არამედ ფასის შემცირების და ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

განსახილველ შემთხვევაში როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიულ შინაარსზე, რომლის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხარეს აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხრე არღვევს ვალდებულებას. ხელშეკრულება დაირღვა მოპასუხის ბრალით და არ არსებობდა ისეთი ვითარება, რაც გამორიცხავდა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. აღნიშნული გარემოების თაობაზე მიუთითა სუს-მა ერთერთ გადაწყვეტილებაში და აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებები არ წარმოადგენდა იმ გარემოებას, რომელიც ობიექტურად გამორიცხავდა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას²¹⁸. ხელშეკრულების ვადის დარღვევის შემდეგ მოსარჩელის წერილი მიუთითებდა იმაზე, რომ მას სურდა შეეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხოლო დამატებითი ვადის განსაზღვრა მოხდა მხარეთა შეთანხმების შედეგად. ე.ი. შეიქმნა ისეთი ვითარება როდესაც ხელშეკრულების ერთი მხრივ შესრულების თავდაპირველი ვადა იქნა დარღვეული, ხოლო მეორე მხრივ დამატებითი ვადა განისაზღვრა. რადგან დამატებითი ვადა დასრულდა 2009 წლის 30 ივლისს, ხოლო საცხოვრებელი ბინის მშენებლობა დასრულდა 30 სექტემბერს სახეზეა დამატებითი ვადის დარღვევა. განსახილველ შემთხვევაში როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების შესრულება კრედიტორმა დაუკავშირა დროის კონკრეტულ მონაკვეთს. დამატებითი ვადის დაწესების აზრი იმაში

²¹⁸ საქართველოს უზენესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1153-1173-2011

მდგომარეობს, რომ იგი არსებულ დარღვევას მნიშვნელოვნად გარდაქმნის რაზედაც სსკ-ის 405-ე მუხლის კომენტარიც მიუთითებს²¹⁹. აქედან გამომდინარე ამ ვადის დარღვევა ანიჭებდა მხარს უფლებას გასულიყო ხელშეკრულებიდან სსკ-ის 405-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი არ გავა ხელშეკრულებიდან დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ იგი კარგავს გასვლის უფლებას აღნიშნულ ვადაზე მითითებით²²⁰. გარდა ამისა სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ხელშეკრულების დარღვევის ხასიათს. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება რომ ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა კონკრეტული მახასიათებლების მქონე უძრავი ქონება-განსაზღვრული ფართობით და კონტრაქტის მიხედვით შეთანხმებული რემონტით. მოსარჩელეს შეთანხმებულზე ნაკლები ფართობის ბინა გადაეცა (300კვ.მ 313კვ.მ-ის ნაცვლად), რომელსაც არ ჰქონდა ჩატარებული შესაბამისი რემონტი. ნაცვლად ამისა სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილია ამ გარემოებებზე და მიიჩნია ისინი უმნიშვნელო დარღვევებად, რაც წარმოქმნიდა არა ხელშეკრულების მოშლის, არამედ ზიანის ანაზღაურების უფლებას²²¹. ცხადია, რომ ხელშეკრულების მიზანი მიულწეველი გახდა მოპასუხის მიერ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგად. ვერ მოხდებოდა იმ მახასიათებლების მქონე ბინის გადაცემა, რომელიც შეთანხმებული იყო კონტრაქტის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა რატომ მიიჩნია ნაკლები ფართობის ბინის გადაცემა ხელშეკრულების არაარსებით დარღვევად, რაც არ იძლეოდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლის საფუძველს. სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შეთანხმებული თვისებების მქონე ნივთი. აქედან გამომდინარე კონტრაქტის მიზანს

²¹⁹ ვაშაკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019, 671

²²⁰ იქვე, 686

²²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1326-1346-2011

წარმოადგენდა არა გვაროვნული, არამედ ინდივიდუალური თვისებების მქონე ნივთის შექმნა. მოცემულ შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების იმგვარ დარღვევას რომელმაც მიზნის მიღწევა შეუძლებელი გახადა. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების მხარეს ჰქონდა უფლება გასულიყო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, მოეშალა სახელშეკრულებო ურთიერთობა და გადაეყვანა იგი რესტიტუციულ რეჟიმში²²².

2.5. გონივრული ვადა და გაფრთხილება როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობა

სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დამატებითი ვადის დაწესება წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის წინაპირობას იმ შემთხვევაში თუ დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი დაწესება. აქედან გამომდინარე დამატებითი ვადა არ წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის წინაპირობას ყველა შემთხვევაში. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელი ჩამოთვლის იმ გარემოებებს როდესაც არც დამატებითი ვადის დაწესებაა აუცილებელი და არც გაფრთხილება. ეს შემთხვევებია: 1. აშკარაა რომ დამატებითი ვადის დაწესებას ან გაფრთხილებას არ ექნება არავითარი შედეგი; 2. ვალდებულების შესრულება კრედიტორის მიერ დაკავშირებული იყო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადასთან, ხოლო ამ ვადაში ვალდებულება არ შესრულდა; 3. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა გამართლებულია²²³. საყურადღებოა რომ აღნიშნული ნორმის მიხედვით არაა გამორიცხული დამატებითი ვადის ან გაფრთხილების გამოყენება კრედიტორის მიერ. კანონმდებელი ნორმის ტექსტში მიუთითებს დამატებითი ვადის დაწესების

²²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1326-1346-2011

²²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლის პირველი ნაწილი

ან გაფრთხილების გამოყენების აუცილებლობის არარსებობის შესახებ, თუმცა ამგვარი აუცილებლობის არარსებობის მიუხედავად კრედიტორს აქვს უფლება განსაზღვროს დამატებითი ვადა ან გამოიყენოს გაფრთხილება. ასეთ შემთხვევაში მათი გამოყენება წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სუს-ის მიერ მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც ხელშეკრულების შესრულება კრედიტორმა დროის განსაზღვრულ პერიოდს დაუკავშირა თუმცა ამის შემდეგ მან მოვალეს განუსაზღვრა დამატებითი ვადა მის მიერ ნაკისრი ვადებულებების შესასრულებლად. აქედან გამომდინარე დამატებითი ვადის განსაზღვრამ წარმოშვა შესაბამისი სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, კრედიტორი შეზღუდული იყო ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობით იმ დრომდე სანამ არ გავიდოდა მის მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადა²²⁴.

სსკ არ შეიცავს პასუხს კითხვაზე: რა შემთხვევაშია ვალდებულების დარღვევის ხასიათი ისეთი რომ დამატებითი ვადის გამოყენების ნაცვლად გაფრთხილება უნდა იქნეს გამოყენებული. აქედან გამომდინარე ეს გარემოება სასამართლო პრაქტიკის განმარტების საგანს წარმოადგენს. ამ მიზნით უნდა განიმარტოს რას წარმოადგენს გაფრთხილება, რა განასხვავებს მას დამატებითი ვადისგან და რომელ შემთხვევებში გამოიყენება იგი.

2.5.1. დამატებითი ვადისა და გაფრთხილების გამიჯვნა

სსკ-ის 405-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე გაფრთხილება წარმოადგენს შეტყობინებას ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. რადგან კოდექსი არ ადგენს სავალდებულო ფორმას გაფრთხილების გამოყენებისთვის იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე ზეპირად, თუმცა ისევე როგორც დამატებითი ვადის შემთხვევაში გაფრთხილების განხორციელების მტკიცების ტვირთიც კრედიტორს აკისრია, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ეს შეტყობინება წერილობით

²²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1019-962-2015

განხორციელდეს²²⁵. შეტყობინების წერილობით განხორციელება შეუმსუბუქებს კრედიტორს მტკიცების ტვირთს და თავიდან აარიდებს მასთან დაკავშირებულ სირთულეებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ მოვალის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას ეს გარემოება უნდა დასტურდებოდეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით²²⁶. ამ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენდა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერება. სასამართლომ განმარტა რომ გაფრთხილება „წარმოადგენს მუშაკის კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ გარანტიას, მომზადებული შეხვედეს სამუშაოდან გათავისუფლების ფაქტს, რომ ეს არ იყოს მისთვის მოულოდნელი“²²⁷.“ ამავე გადაწყვეტილების ფარგლებში სასამართლომ აღნიშნა რომ „დასაქმებულის გაფრთხილება სამუშაოდან მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე წარმოადგენს არამარტო ამ უკანასკნელის უფლების კანონისმიერ გარანტიას, არამედ სამართლებრივ შედეგებზე მითითებას, რაც ნიშნავს ხელშეკრულების გაგრძელების შეუძლებლობას, რადგან ეს ურთიერთობა დამსაქმებლისათვის ზიანის მომტანია“²²⁸. აქედან გამომდინარე გაფრთხილება შეიძლება გამოყენებული იქნას მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შესაძლო შედეგების თაობაზე ინფორმირების მიზნით, იმ შემთხვევაში როდესაც მოვალის მოქმედება ზიანს აყენებს კრედიტორს. მეორე მხრივ გაფრთხილება შესაძლოა არ იყოს დაკავშირებული მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. მაგალითად, მოვალე

²²⁵ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008,136

²²⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის №28/2543-12 გადაწყვეტილება

²²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-822-788(კ-06) 6.02.2007

²²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-35-2020

კრედიტორმა გააფრთხილოს იმის თაობაზე რომ დამდგარია ვალდებულების შესრულების ვადა და შეატყობინოს მოვალეს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შედეგების თაობაზე²²⁹. შესაძლებელია კრედიტორმა განუსაზღვროს მოვალეს ვადა გაფრთხილებაში მითითებული ვალდებულებების შესასრულებლად თუმცა იგი განსხვავდება დამატებითი ვადისგან, რადგან განსაზღვრავს გაფრთხილებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებისათვის განკუთვნილ დროის მონაკვეთს ხოლო დამატებითი ვადა განკუთვნილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად²³⁰. როგორც გაფრთხილება ასევე დამატებითი ვადის განსაზღვრა წარმოადგენს მოვალის მიმართ განხორციელებულ შეტყობინებას. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაარსის მიხედვით. გაფრთხილების შემთხვევაში კრედიტორი ახდენს არა დამატებითი ვადის განსაზღვრას, არამედ მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შედეგად მოსალოდნელი შედეგების თაობაზე ინფორმირებას. დამატებითი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში კრედიტორი ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოვალემ უნდა შეასრულოს ხელშეკრულების საფუძველზე მის მიერ ნაკისრი ვალდებულება. შესაძლებელია დამატებითი ვადა და გაფრთხილება ერთდროულად იქნას გამოყენებული კრედიტორის მიერ. მაგალითად იმ შემთხვევაში როდესაც ერთი და იგივე შეტყობინება მოვალის მიმართ. მაგალითად იმ შემთხვევაში როდესაც კრედიტორი აფრთხილებს მოვალეს რომ დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შედეგების თაობაზე ხოლო იმავე შეტყობინების მიხედვით განუსაზღვრავს დამატებით ვადას.

²²⁹ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008,136

²³⁰ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008,136

2.5.2. გარემოებები როდესაც დამატებითი ვადა ან/და გაფრთხილება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს

თავისთავად გაფრთხილების გამოყენება ან დამატებითი ვადის განსაზღვრა არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა შეაფასოს ჰქონდა თუ არა ადგილი მოვალის მიერ ხელშეკრულების იმგვარ დარღვევას, რომელიც საჭიროებდა გაფრთხილებას ან დამატებითი ვადის განსაზღვრას. იმ შემთხვევაში თუ გაფრთხილების ან დამატებითი ვადის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა, ხელშეკრულებაზე უარი არამართლზომიერია და არ წარმოშობს იმ სამართლებრივ შედეგებს რომლებსაც ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში. დამატებითი ვადა ან/და გაფრთხილება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, ან მოვალე წამოაყენებს შესაგებელში საპასუხო მოთხოვნებს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტის შესაბამისად. გაფრთხილების განსაზღვრა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს არც იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნა, რომლის შესასრულებლადაც იგი იქნა გამოყენებული არ არის ნამდვილი და შესაბამისად არ არსებობს მისი შესრულების სამართლებრივი საფუძველი²³¹. გაფრთხილება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს არც სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, რადგან როგორც ავლნიშნე ამ გარემოებების შემთხვევაში კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის დაუშვებლობის თაობაზე. მაგალითად თუ ხელშეკრულების დარღვევა უმნიშვნელოა დაუშვებელია მისი მოშლა ან გასვლა ხელშეკრულებიდან²³². აღნიშნულთან დაკავშირებით სუს-მა განმარტა რომ დამატებითი ვადა ან გაფრთხილება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში

²³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება.

²³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-35-2020

როდესაც ადგილი აქვს ვალდებულების შეუსრულებლობას, შესრულების ვადის გადაცილებას ან არაჯეროვან შესრულებას: „სსკ-ის 405-ე მუხლის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი ფორმით განხორციელდა დარღვევა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს. არსებითია, თუ არა დარღვევა, ეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა დადგინდეს²³³“. აქედან გამომდინარე როგორც გაფრთხილების ასევე დამატებითი ვადის განსაზღვრის მიზნით გადამწყვეტია დარღვევის ხასიათი.

2.5.3. დამატებითი ვადის განსაზღვრა

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გონივრული ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც მეორე მხარეს მიუვიდა შეტყობინება სადაც ნათლადაა გამოხატული ხელშეკრულების მეორე მხარის ნება გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე. მაგალითად, თუ შეტყობინება გონივრული ვადის დადგენის თაობაზე წერილობით განხორციელდება, მაშინ გონივრული წერტილად უნდა ჩაითვალოს ადრესატისთვის წერილის ჩაბარების თარიღი²³⁴. ნათლად უნდა იყოს გამოხატული ნება გაფრთხილების შემთხვევაშიც. გაფრთხილების დროს ვადა აითლება იმ მომენტიდან, როდესაც განხორციელდა გაფრთხილება. ვადის ათვლა დაიწყება იმ შემთხვევაში თუ გაფრთხილება განხორციელდა ნათლად, მოვალისათვის გასაგები ფორმით. როგორც წესი გაფრთხილების შემთხვევაში მისი შესრულების ვადა არ განისაზღვრება, რაც გამომდინარეობს გაფრთხილების ბუნებიდან²³⁵.

²³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-717-670-2017

²³⁴ ნაჭყებია, ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), გერმანიის თანამშრომლობა (Giz), 2014, 147

²³⁵ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008, 136-137

გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის მიხედვით არ არის განსაზღვრული სავალდებულო ფორმა გონივრული ვადის დასადგენად, არ არის აუცილებელი მისი განსაზღვრა მოხდეს წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების მხარემ დამრღვევის გაფრთხილება, ისევე როგორც დამატებითი ვადის განსაზღვრა შეიძლება ზეპირი ფორმითაც მოახდინოს. რადგან სსსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით მტკიცების ტვირთი ასეთ შემთხვევაში ეკისრება ვადის განმსაზღვრელ მხარეს, მიზანშეწონილია აღნიშნული მოქმედება წერილობითი ფორმით განხორციელდეს. მეორე მხრივ მნიშვნელოვანია რომ ვადა მკაფიოდ იქნას განსაზღვრული, მიეთითოს კონკრეტული დროის მონაკვეთი, თვე და რიცხვი. იმ შემთხვევაში თუ გაუგებარია რა ვადა განსაზღვრა კრედიტორმა ბუნებრივია ვერც ვადის გონივრულობა იქნება განხილვის საგანი. რაც შეეხება გონივრულობის კრიტერიუმს ეს შეფასებითი კატეგორიაა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების და შესასრულებელი ვალდებულების სპეციფიკიდან გამომდინარე სასამართლომ უნდა შეაფასოს ვადის გონივრულობა²³⁶.

დამატებითი ვადის დაწესება შესაძლებელია მოხდეს ხელშეკრულების პირობების ცვლილების შედეგად. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების საგანი იგივე რჩება, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადები და შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების სხვადასხვა ეტაპებისთვის განკუთვნილი დროის მონაკვეთი იცვლება. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგან ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების მთლიანი მოცულობის 100%-ის დასრულების მიზნით განისაზღვრა ახალი ვადა 2012 წლის III კვარტლის ბოლომდე ნაცვლად 2007 წლის ოქტომბრის ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადისა, რომლითაც მშენებლობის დასრულება განსაზღვრული იყო 2009 წლის IV კვარტალში, შესაბამისად

²³⁶ ვაშაკიძე, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მესამე წიგნი, თბ., გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 665

ადგილი ჰქონდა მშენებლობის ვადის გაზრდას 33 თვით²³⁷. აქედან გამომდინარე დამატებითი ვადის განსაზღვრა არ საჭიროებს წერილობით ან ზეპირ შეტყობინებას ყველა შემთხვევაში. იგი შეიძლება ხელშეკრულების იმ პირობების ცვლილებების შედეგად განხორციელდეს, რომელიც შეიცავდა მითითებას დამატებითი ვადის თაობაზე.

2.5.4. დამატებითი ვადის დაწესების საჭიროების არარსებობა

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ აშკარაა რომ დამატებითი ვადის დაწესებას არ ექნება არავითარი შედეგი არაა აუცილებელი მისი გამოყენება. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით კრედიტორს აქვს უფლება განსაზღვროს დამატებითი ვადა იმ შემთხვევაშიც როდესაც აშკარაა რომ მისი გამოყენება არ მოიტანს შედეგს, თუმცა ეს არაგონივრული იქნება მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის. დამატებითი ვადის განსაზღვრის შემდეგ კრედიტორი ვერ მოშლის ხელშეკრულებას და ვერც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლის უფლებით ისარგებლებს სანამ არ ამოიწურება მოვალისთვის ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული დამატებითი ვადა²³⁸. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობას, როდესაც მოვალე ერთმნიშვნელოვნად ამბობს უარს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, ან აშკარაა რომ ვალდებულება ვერ შესრულდება დამატებითი ვადის განსაზღვრის შედეგად²³⁹. მაგალითად, თუ კრედიტორი პიანისტს შეუკვეთავს მუსიკალური ნაწარმოების შექმნას, ხოლო მას დაუზიანდება თითები ტრამვის შედეგად ცხადია რომ ვეღარ მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი. აქედან გამომდინარე აზრსმოკლებულია

²³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-717-670-2017

²³⁸ ვაშაკიძე, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მესამე წიგნი, თბ., გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 667

²³⁹ იქვე, 667

დამატებითი ვადის განსაზღვრაც²⁴⁰. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც მოვალის ბრალით, ასევე მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. ორივე შემთხვევაში კრედიტორს აქვს უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან, ან მოშალოს სახელშეკრულებო ურთიერთობა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველ პუნქტზე მითითებით²⁴¹. ამავე ნორმის მიხედვით კრედიტორს აქვს უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან, ან მოშალოს სახელშეკრულებო ურთიერთობა დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე იმ შემთხვევაში როდესაც მოვალეს არ შეუძლია შეასრულოს მის მიერ ნაკისრი მოვალეობა ნაწილობრივ ან სრულიად. დამატებითი ვადის გამოყენება არაა საჭირო იმისდა მიუხედავად როდის წარმოიშვა მიზეზები, რომლებმაც ხელშეკრულების მიზნის მიღწევა გახადა შეუძლებელი, კონტრაქტის დადებამდე თუ მის შემდეგ. კრედიტორს აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ორივე შემთხვევაში²⁴².

გსკ-ის 323-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტის ანალოგს, დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი „თუ მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს“²⁴³. სსკ-ისგან განსხვავებით გსკ-ში კანონმდებელი მიუთითებს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო აღნიშნული ნორმის ქართული შესატყვისი დამატებითი ვადის განსაზღვრის შედეგად ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ქართული ნორმა მისი გერმანული ანალოგისან განსხვავებით ტოვებს ინტერპრეტაციების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს შეიძლება თუ არა კრედიტორის მიერ დამატებითი ვადის

²⁴⁰ ბეგიაშვილი, ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, სამართლის ჟურნალი, თბ., 2011, 15

²⁴¹ იქვე, 15

²⁴² მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008, 132

²⁴³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 323 პარაგრაფი, მე-2 ნაწილის პირველი პუნქტი

განსაზღვრის შედეგად შესრულებულიყო მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულება იმგვარად, რომ კრედიტორს არ დაეკარგა ინტერესი ამ შესრულებისადმი. მიზანშეწონილია ნორმის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტი დაკორექტირდეს გსკ-ის ანალოგიურად. შედეგად სსკ-ის აღნიშნული ჩანაწერი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება თუ მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს“. ქართული ნორმა გაცილებით ფართო შინაარსის მქონეა ვიდრე მისი გერმანული ანალოგი, თუმცა თუკი სსკ-ში აღნიშნული საკითხი მოწესრიგდება ისევე როგორც გსკ-ით არის რეგულირებული, შეიზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის ან/და მისი მოშლის უფლება. გსკ-ის ანალოგიურად სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის რედაქტირების შემთხვევაში კრედიტორს შესაძლებლობა ექნება არ განუსაზღვროს მოვალეს ვალდებულების შესასრულებელი დამატებითი ვადა მხოლოდ იმ დროს, როდესაც მოვალე გადამჭრელად განაცხადებს უარს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. კანონმდებელმა არ ჩათვალა საჭიროდ დამატებითი ვადის განსაზღვრა ისეთ შემთხვევებში როდესაც აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება და ამ გარემოების შეფასება სასამართლოს მიანდო. სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებების და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე აფასებს შეიძლება თუ არა დამატებითი ვადის დაწესებას ან გაფრთხილებას ჰქონდა შედეგი კონკრეტულ შემთხვევაში. თუ საქმის მასალებიდან გამომდინარე იკვეთება რომ დამატებითი ვადა ან გაფრთხილება ვერ მოიტანდა შედეგს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით სასამართლო დაადგენს, რომ კრედიტორს ჰქონდა უფლება დაუყოვნებლივ ეთქვა უარი სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ან მოემალა კონტრაქტი. აქედან გამომდინარე სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტი მოიცავს შემთხვევათა უფრო ფართო სპექტრს ვიდრე მისი

გერმანული ანალოგი, მათ შორის ისეთ შემთხვევასაც როდესაც მოვალე გადამჭრელად ამბობს უარს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

2.5.5. დამატებითი ვადის დაწესების საჭიროების საკითხი ვალდებულების შესრულების განსაზღვრული ვადის არსებობის შემთხვევაში

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით კრედიტორის მიერ მოვალისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც *„ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ვალდებულების დროულ შესრულებას დაუკავშირა“²⁴⁴.* აღნიშნული ნორმის ტექსტში „ან“ კავშირის არარსებობა იმაზე მიუთითებს რომ დამატებითი ვადის განსაზღვრა არ წარმოადგენს აუცილებლობას თუ მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს განსაზღვრულ ვადაში. კრედიტორი ხელშეკრულების შესრულებას უკავშირებს დროის გარკვეულ მონაკვეთს ვალდებულების შესრულების ვადის მითითებით. აღნიშნული ნორმის სიტყვასიტყვით განმარტების შემთხვევაში კონტრაქტი უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულების შესრულების კონკრეტულ ვადას, თუმცა სსკ-ის კომენტარის მიხედვით აღნიშნული ნორმის საფუძველზე რეგულირდება მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ვალდებულება უნდა შესრულდეს დროის გარკვეულ პერიოდში. ამ შემთხვევაში ვალდებულების შესასრულებლად კონკრეტული ვადა არაა განსაზღვრული. ე.ი. ვალდებულება დროში მხოლოდ რელატიურადაა დაფიქსირებული. თუ ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული ვადა, ასეთი შემთხვევები რეგულირდება არა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის, არამედ ამავე ნორმის „ა“ პუნქტის მიხედვით. ე.ი. ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული

²⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი

კონკრეტული ვადის ამოწურვის შემდეგ ცხადია რომ აზრსმოკლებულია კრედიტორის მიერ მოვალისთვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადის განსაზღვრა²⁴⁵, რადგან შეუძლებელი ხდება იმ მიზნის მიღწევა, რომელიც ჰქონდა კრედიტორს ხელშეკრულების დადების დროს. აქედან გამომდინარე კრედიტორი კარგავს ინტერესს სახელშეკრულებო ურთიერთობისადმი და შესაბამისად არც დამატებითი ვადის განსაზღვრის აუცილებლობა აღარ არსებობს.

როგორც კონკრეტული ასევე რელატიური ვადის განსაზღვრის შემთხვევაში ადგილი აქვს ვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას მოვალესა და კრედიტორს შორის, რაც გერმანიის სამოქალაქო სამართალში ცნობილია Fixgeschäft-ის სახელწოდებით. ასეთ დროს მხარეებს შორის გარიგება იდება იმ პირობით რომ ვალდებულება შესრულდება დროულად. ამასთან, გერმანიის სამოქალაქო სამართალში ცნობილია ისეთი ტიპის გარიგებები, რომლებშიც ვალდებულების შესრულება აბსოლიტურად არის დამყარებული ვადაზე (absolutes Fixgeschäft). იგულისხმება რომ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა ზოგადად, არამედ მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში²⁴⁶. მაგალითად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალემ იკისრა ქორწილის ან დაბადების დღის ორგანიზების ვალდებულება პანდემიის პერიოდში, როდესაც მსგავსი ტიპის შეკრებები შეუძლებელია ლოკდაუნის გათვალისწინებით²⁴⁷. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შესრულდება არამხოლოდ კონკრეტულ ვადაში, არამედ ზოგადად. მეორე მხრივ ცხადია რომ ამ ხელშეკრულებების შემთხვევაში კრედიტორისთვის მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება

²⁴⁵ ვაშაკიძე, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მესამე წიგნი, თბ., გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 668

²⁴⁶ ბეგიაშვილი, ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, სამართლის ჟურნალი, თბ., 2011, 15-16

²⁴⁷ Jentsch, V., The Law of Contracts in the Age of the Coronavirus Pandemic: Is the Statutory Risk Allocation pursuant to the Swiss Code of Obligations still adequate? European University Institute Department of Law, 2020, 11

მნიშვნელოვანია განსაზღვრულ დროს, როდესაც არის მისი დაბადების დღე, ქორწილი ან სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა. თუ ვერ მოხდება ღონისძიების ორგანიზება კონტრაქტის მიხედვით შეთანხმებულ დღეს, მაშინ კრედიტორი დაკარგავს ინტერესს შესრულებისადმი. ასეთ შემთხვევაში მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების სხვა დღეს შესრულება უთანაბრდება მის შეუსრულებლობას. იგივე შეიძლება ითქვას ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც ვალდებულების შესრულების მიზნით არ არის განსაზღვრული კონკრეტული თარიღი, როგორც მაგალითად ქორწილის ან ნიშნობის შემთხვევაში, თუმცა ვალდებულება უნდა შესრულდეს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში²⁴⁸.

გსკ-ის 323-ე პარაგრაფის კომენტარის თანახმად აღნიშნული ნორმა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტის მსგავსად მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვალდებულებები დროში ფარდობითად არის ფიქსირებული²⁴⁹. დროში ფიქსირებული ვალდებულებების შესახებ მიუთითებს სსკ-ის 365-ე მუხლიც რომლის თანახმად „თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს²⁵⁰“. მსგავსი შინაარსისაა გსკ-ის 271-ე პარაგრაფიც²⁵¹. სსკ-ის 365-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე თუ ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრულია გარკვეული თარიღი ან დროის პერიოდი ამ ვალდებულების შესრულება კრედიტორმა მოვალეს უნდა მოთხოვოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროს, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორს აქვს უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან

²⁴⁸ Garth, B., international encyclopedia of comparative law, vol. 7th, 1976, 117

²⁴⁹ კროპკოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 226

²⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 365-ე მუხლი

²⁵¹ კროპკოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 146

დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველ პუნქტზე მითითებით.

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით კრედიტორს შეუძლია დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს გამომდინარეობს ორივე მხარის ინტერესებიდან და არსებობს განსაკუთრებული საფუძველი. ამ შემთხვევაში ვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა სრულდება იმ დრომდე სანამ დადგება მოვალის მიერ კონტრაქტის მიხედვით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დრო. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა იმით განსხვავდება ამავე ნორმის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისგან, რომ იგი მიემართება ხელშეკრულების დასრულებას ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე. სასამართლომ უნდა შეაფასოს ჰქონდა თუ არა ადგილი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით და არსებობდა თუ არა განსაკუთრებული საფუძველი. აღნიშნული ნორმის ტექსტში გამოყენებული ტერმინი „ორმხრივი ინტერესი“ გულისხმობს რომ ხელშეკრულების ვადაზე ადრე დასრულების შედეგად არ მიადგება ზიანი მხარეთა ინტერესებს და არ შეილახება ის უფლებები, რომლებიც მათ აქვთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე²⁵². აღნიშნული საფუძველით სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემთხვევაში უნდა მოხდეს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინება²⁵³. განსაკუთრებული საფუძველი არსებობს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის გადარჩენა შეუძლებელია. მაგალითად, თუ დასაქმებული დაკარგავს შრომის უნარს სრულად ან ნაწილობრივ დასაშვებია დამსაქმებლის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის დაუყოვნებლივ მოშლა, ხოლო თუ

²⁵² ბეგიაშვილი, ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, სამართლის ჟურნალი, თბ., 2011, 15-16

²⁵³ ვაშაკიძე, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მესამე წიგნი, თბ., გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), 668

დასაქმებული ფინანსური მაქინაციების შედეგად ზიანს მიაყენებს დამსაქმებელს ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელია და იგი უნდა დასრულდეს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტზე მითითებით²⁵⁴. ორმხრივი ინტერსი და განსაკუთრებული საფუძვლის არსებობა ხელშეკრულების ვადამდე დასრულების სხვადასხვა მიზეზებია. აქედან გამომდინარე შესაძლებელია განსაზღვრულ შემთხვევაში ერთდროულად არ იყოს სახეზე ორივე მათგანი და სახელშეკრულებო ურთიერთობა კრედიტორმა დაასრულოს ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით ან განსაკუთრებული საფუძვლის არსებობისას. ამიტომ მიზანშეწონილია დაკორექტირდეს სსკ-ის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე ან/და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა“.

²⁵⁴ ჩაჩავა, ს., მოთხოვნების და მოთხოვნის უფლებების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010, 107

თავი III. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგები

3.1. რესტიტუციის შესაძლებლობა გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში

სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით თუ ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მიღებული შესრულება და სარგებელი უბრუნდებათ მხარეებს. სსკ-ის 352-ე მუხლის სათაურია „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“. ეს ტერმინი გამოიყენება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე ხელშეკრულების მოშლის აღსანიშნავად. ამავეზე მიუთითებს სასამართლო პრაქტიკა, სადაც ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამოიყენება როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულების შემთხვევაში²⁵⁵. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები ერთმანეთთან ამყარებენ მოკლევადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომლის დასრულება შესაძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის მეშვეობით, თუმცა აღნიშნულ ტერმინს სასამართლო იყენებს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება ხდება გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარის თქმის შედეგად²⁵⁶. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ იმსჯელა ნარდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის საკითხზე და განმარტა რომ აღნიშნული ურთიერთობა შეიძლება დასრულდეს სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების მიხედვით²⁵⁷. ნასყიდობის ხელშეკრულებისგან განსხვავებით ნარდობის

²⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-341-2019

²⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-38-38-2018

²⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-219-2019

ხელშეკრულება წარმოადგენს გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელიც სრულდება მოშლით²⁵⁸. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების და რესტიტუციის მაგალითია მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ფიტნეს დარბაზსა და მომხმარებელს შორის. ერთ-ერთი გადაწყვეტილების ფარგლებში ოსნაბრუკის სასამართლომ იმსჯელა იმის თაობაზე ექვემდებარებოდა თუ არა დაბრუნებას რესტიტუციის მოვალის მიერ შესრულებული ვალდებულების სანაცვლოდ გადახდილი თანხები. მომხმარებელი ითხოვდა ფიტნესის აბონიმენტში გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას სრული მოცულობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულების მოშლის გამო მომხმარებელს არ უნდა დაბრუნებოდა თანხები იმ მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც მას გაეწია, თუმცა კოვიდ პანდემიის გამო დარბაზის დახურვის მიზეზით კლიენტს შეეძლო მოეშალა ხელშეკრულება და მოეთხოვა წინსწრებით გადახდილი თანხების ანაზღაურება. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა გულისხმობდა მომსახურების გაწევას და აქედან გამომდინარე „ხელახლა ვალდებულებების შერულებას²⁵⁹“, რაც გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობისთვის არის დამახასიათებელი. ეს იმას ნიშნავს რომ სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რესტიტუციული შედეგები შეიძლება დადგეს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ.

²⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას -779-746-2014; იხ. ასევე ხუციშვილი, ო. სისვაძე, მ., ტოხოხაშვილი, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, #1-2, 25

²⁵⁹ LG Osnabrück, judgment of July 9th, 2021 - 2 S 35/21; https://xn--rabro-mva.de/coronabedingte-schliessung-eines-fitnessstudios-begruendet-im-verhaeltnis-zwischen-studio-und-mitglied-keinen-wegfall-der-geschaeftsgrundlage/?fbclid=IwAR13Ubis_b9Yeh-yVJh7C90ZVKEmp36UpPYYnt7zS9YAytzOOjm4-uKhFiA ხელმისაწვდომი 18.10.2021 მდგომარეობით

გარდა სასამართლო პრაქტიკისა სსკ-ის 352-ე მუხლის სახელწოდება ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ხელშეკრულების შედეგების უკუქცევა შეიძლება მოხდეს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში. სსკ-ის პირველი კარის მეხუთე თავის სათაურია „ხელშეკრულებიდან გასვლა“, თუმცა როგორც ავლნიშნე სსკ-ის 352-ე მუხლი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევებსაც მოიცავს. ამავე მოსაზრების მართებულობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს სსკ-ის 405-ე მუხლზე, რომლის მიხედვით განსაზღვრულია როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე ხელშეკრულების მოშლის კანონისმიერი წინაპირობები. ამასთან სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი მიუთითებს ხელშეკრულების დაუყოვლებლივ მოშლის შესაძლებლობის თაობაზე. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული რესტიტუციული შედეგები შეიძლება დადგეს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, ხოლო მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის გრძელვადიანი ხასიათი არ გამორიცხავს რესტიტუციას. სსკ-ის კომენტარში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით ხელშეკრულების მოშლა ხელშეკრულებიდან გასვლისგან განსხვავდება რესტიტუციული შედეგების მიხედვით არ არის მართებული ხელშეკრულების მოშლის ყველა შემთხვევაში²⁶⁰. შესაბამისად, არც რესტიტუციული შედეგები არ წარმოადგენს იმ ნიშანს, რომლის მიხედვით შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა.

გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში რესტიტუცია არ არის გამორიცხული თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ნაწილნაწილ სრულდება. მაგალითად ერთი მხარე მეორეს უწევს კომპიუტერულ მომსახურებას 3 წლის მანძილზე. მომსახურების

²⁶⁰ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა (Giz), თბ., 2020, 296

მიმღებ პირს გადახდილი აქვს 4 წლის სერვისის საფასური. იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გამწევი ვეღარ შეძლებს სერვისის მიწოდებას მეოთხე წელს მომსახურების მიმღებს აქვს უფლება მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს რესტიტუცია. ამ შემთხვევაში მას უნდა დაუბრუნდეს მეოთხე წლის მომსახურების საფასური და არა იმ სამი წლის, რომლის გადახდის სანაცვლოდ მომსახურების მიმღებს გაეწია მომსახურება²⁶¹.

3.2. რესტიტუციული შედეგები ხელშეკრულებიდან გასვლის და მოშლის შემთხვევაში

რესტიტუცია ნიშნავს იმ მდგომარეობის აღდგენას, რომელიც არსებობდა მხარეების მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებამდე. მხარეები უნდა დაუბრუნდნენ იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებამდე. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის პირველ ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს როგორც მიღებული შესრულების, ასევე სარგებლის ერთმანეთისთვის დაბრუნების აუცილებლობაზე²⁶². აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს მიღებული შესრულების უკან დაბრუნებას არა ზოგადად, არამედ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით²⁶³. მაგ. თუ ბანკი და მსესხებელი დადებენ ლიზინგის ხელშეკრულებას და მოვალე ვერ შეძლებს თანხების დროულად გადახდას, კრედიტორის ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს გადაცემული შესრულების-გადახდილი თანხების უკან

²⁶¹ ხუციშვილი, ო. სისვაძე, მ., ტოხოსაშვილი, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, #1-2, 29

²⁶² ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 76

²⁶³ Regional court Bonn, judgment of 21.01.2021

- 17 O 146/17 -No right to compensation for use of interest and repayments after revocation of a loan agreement concluded in distance selling; https://www.kostenlose-urteile.de/LG-Bonn_17-O-14617_Kein-Nutzungsersatzanspruch-auf-Zins-und-Tilgungsleistungen-nach-Widerruf-eines-im-Fernabsatz-geschlossenen-Darlehensvertrages.news29823.htm?fbclid=IwAR2tzwzgs95Kaf3hfQXbMygmYfcSDqv3wadm638POsPqc24QHqrmL1fAJzI ხელმისაწვდომი 18.10.2021 მდგომარეობით

დაბრუნება სსკ-ის 352-ე მუხლზე მითითებით. მნიშვნელობა აქვს არა იმას რა გადასცეს მხარემა ერთმანეთს სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს არამედ იმას რისი დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი არსებობს გადაცემული შესრულებიდან.

რესტიტუციის მიზანია აღდგეს არა ის ჰიპოთეტური მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა ხელშეკრულების დადების გარეშე, არამედ ვითარება რომელიც წარმოიშვა სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების შემდეგ შესრულების და სარგებლის მიღების შედეგად. რესტიტუციის შედეგად თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, რასაც ხელშეკრულების დადებამდე ჰქონდა ადგილი ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მონაწილე თითოეულმა მხარემ უნდა დააბრუნოს მეორე მხარე იმ მდგომარეობაში რომელშიაც იგი იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებამდე²⁶⁴. მხარეებს უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ რესტიტუციასთან დაკავშირებული შედეგები. მათ შეუძლიათ კონტრაქტის პირობების მიხედვით დაადგინონ ისეთი პირობები, რომლებიც გამორიცხავს რესტიტუციის შესაძლებლობას ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შედეგად. სსკ-ის 352-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით მოწესრიგებულია რესტიტუციის კანონისმიერი სამართლებრივი შედეგები. ეს ნორმები არ აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შედეგები მხარეთა შეთანხმებით, სახელშეკრულებო სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში არის განსაზღვრული. კანონისმიერი მოწესრიგებისაგან განსხვავებით რესტიტუციის შედეგების სახელშეკრულებო სამართლებრივი მოწესრიგება მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული და გამომდინარეობს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან.

²⁶⁴ Pieck, M., A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law, 1996, 20; https://digitalcommons.law.ggu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1022&context=annlsurvey&fbclid=IwAR0MKa1E2bulQ7rFrakmqmf_8IbyFQmvl8Nf5JKioGpt-LFsVqcGtMmQF-Y ხელმისაწვდომი 14.10.2021

რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის შემდეგ არ იწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის ბათილობას²⁶⁵. სახელშეკრულებო ურთიერთობა რომელიც არსებობდა მხარეებს შორის ნამდვილია. აქედან გამომდინარე ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შედეგად არ ხდება კონტრაქტის დადების მომენტიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების ბათილობა განსხვავებით ბათილი ხელშეკრულებებისგან. ხელშეკრულებიდან გასვლა ან მისი მოშლა უკუაქცევს მხოლოდ იმ შესრულებებს და სარგებელს, რომელიც მხარეებმა მიიღეს სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმდინარეობისას²⁶⁶. ბათილი ხელშეკრულებებისგან განსხვავებით მხარეები არ ახორციელებენ შეცილებას ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე პირები ახდენენ იმ უფლების რეალიზებას რომელიც მათ მინიჭებული აქვთ კანონის საფუძველზე²⁶⁷. აქედან გამომდინარე ხელშეკრულებიდან გასვლას აქვს ვალდებულებით სამართლებრივი და არა სანივთო სამართლებრივი შინაარსი²⁶⁸.

სსკ-ის მიხედვით აღიარებულია ნატურით რესტიტუციის პრიმატი. სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მხარეებმა ერთმანეთს ნატურით უნდა დაუბრუნონ ის შესრულება და სარგებელი, რომელიც მიიღეს ხელშეკრულების დადების შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ნატურით დაბრუნება ან ადგილი აქვს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ გარემოებებს მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურების მოვალეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი პრიორიტეტს ანიჭებს ნატურით რესტიტუციას და მხოლოდ მისი

²⁶⁵ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა (Giz), თბ., 2020, 297

²⁶⁶ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა (Giz), თბ., 2020, 297

²⁶⁷ Pieck, M., A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law, 1996, 20

²⁶⁸ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა (Giz), თბ., 2020, 297

შეუძლებლობის შემთხვევაში მიიჩნევა დასაშვებად ფულად რესტიტუციას. ნატურით რესტიტუციის პრიმატი აღიარებულია გსკ-ის მიხედვითაც. კერძოდ, გსკ-ის 249-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალოგს კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა იმ შემთხვევაში თუ ზიანი მიაღწა პირს ან ნივთს. ამავე ნორმის მიხედვით ზიანის ანაზღაურება პირმა შეიძლება მოითხოვოს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად. მას აქვს უფლება მოითხოვოს ორიდან ერთ-ერთი: ზიანის ანაზღაურება ან თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა²⁶⁹. ორივე აღნიშნული მოთხოვნა რესტიტუციული შინაარსისაა²⁷⁰. გსკ-ის 249-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით პირმა, რომელსაც ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება „უნდა აღადგინოს, ის მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგრიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება²⁷¹“. ამ პარაგრაფის შინაარსიდან გამომდინარე გსკ-ი სსკ-ის მსგავსად პრიორიტეტს ანიჭებს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას.

3.2.1. რესტიტუციის საფუძვლების გამიჯვნა

ერთმანეთისგან განსხვავდება რესტიტუციის ისეთი საფუძვლები როგორებიცაა ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა, ან მისი მოშლა. სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების მიხედვით, რომელსაც სასამართლო სხვა გადაწყვეტილებებშიც იმეორებს ზიანი არის „ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი

²⁶⁹ კროპპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2014, 126

²⁷⁰ Waelbroeck, D., Slater, D., Even-Shoshan, G., Study on the conditions of claims for damages in case of infringement of EC competition rules, comparative report, Brussels, 2004, 3
https://ec.europa.eu/competition-policy/system/files/2021-04/damages_actions_claims_for_damages_infringements_study_comparative_report.pdf?fbclid=IwAR01UqoeIDmkpb6MGcdCKNZvU6LdKEYFZIDFzVd8BibQKzgGFB_Tvwpl2n0 ხელმისაწვდომი 14.10.2021 მდგომარეობით

²⁷¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის თანამშრომლობა (Giz) თბ., 2019, 55

შესრულების პირობებში, კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის²⁷². სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რესტიტუციის შემთხვევა გულისხმობს ხელშეკრულების შედეგების უკუქცევას სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლის ან მისი მოშლის შედეგად. იგი არ არეგულირებს რესტიტუციას ზიანის ანაზღაურების მიზნით. სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულება იწვევს რესტიტუციულ შედეგებს სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით არა იმის გამო რომ ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარეს ზიანი მიადგა, არამედ იმ მიზეზით რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე მხარემ უარი განაცხადა და გადაწყვიტა გასულიყო ხელშეკრულებიდან ან მოეშალა იგი. როგორც ზიანის, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში რესტიტუციის მიზანი არის თავდაპირველი სტატუს კვოს აღდგენა, რომელიც არსებობდა ზიანის მიყენებამდე, ან სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებამდე²⁷³. სსკ-ის 352-ე მუხლისგან განსხვავებით გსკ-ის 249-ე პარაგრაფი არეგულირებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც რესტიტუცია ხდება ზიანის ანაზღაურების გამო. სსკ-ში ზიანის მიყენების საფუძველზე რესტიტუციის შესაძლებლობა განსაზღვრულია სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ზიანის ანაზღაურებისგან განსხვავებით, რომლის მიზანია კომპენსაცია იმ ქონებრივი დანაკლისისთვის რომელიც პირს მიადგა, სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზანს წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის მინიმალური ინტერესის დაკმაყოფილება²⁷⁴. ხელშეკრულებიდან გასვლა, ან მისი მოშლა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ერთი მხარე არ

²⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-243-2021

²⁷³ Waelbroeck, D., Slater, D., Even-Shoshan, G., Study on the conditions of claims for damages in case of infringement of EC competition rules, comparative report, Brussels, 2004, 13

²⁷⁴ ფიფია, ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 76

აღმოჩნდეს უკეთეს მდგომარეობაში მეორე მხარესთან შედარებით²⁷⁵. სსკ-ის 352-ე მუხლის მიზანს ზიანის კომპენსაცია არ წარმოადგენს. აღნიშნულზე მეტყველებს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილიც, რომლის თანახმად კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევას. სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას ხელშეკრულების მოშლის ან ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევებზე. სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი წინაპირობები იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე არღვევს მის მიერ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი გულისხმობს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. ამ მოსაზრების მართებულობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე სსკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით, რომლის თანახმად განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას. ამრიგად, სსკ-ის 352-ე მუხლი არ ფარავს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს, თუმცა რესტიტუცია მოიცავს როგორც ზიანის ანაზღაურებას, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემთხვევაში მიღებული შესრულებისა და სარგებელის უკან დაბრუნებას²⁷⁶. ზიანის ანაზღაურების

²⁷⁵ ქოჩიაშვილი, ა., ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითხები ქართული სამართლის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, #2, 2013, 59

²⁷⁶ Volker, B., Punitive Damages in American and German Law –Tendencies towards Approximation of Apparently Irreconcilable Concepts, Chicago-kent law review, Vol 18, Issue 1, Punitive Damages in American and German Law –Tendencies towards Approximation of Apparently Irreconcilable Concepts, 2003, 3; <https://core.ac.uk/download/pdf/217432023.pdf?fbclid=IwAR3-Q2riCAT9dUKIVpavluwbq04nU7Ps5JVt9vWPriG6UoLMmd106sU4fsc> ხელმისაწვდომი 14.10.2021 მდგომარეობით

შემთხვევაში რესტიტუციისას უნდა მოხდეს იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის მიყენების ფაქტის გარეშე, ხოლო სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარის თქმის შემთხვევაში გადაცემული შესრულების და სარგებლის უკან დაბრუნება ნიშნავს იმ მდგომარეობის აღდგენას, რომელიც არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებამდე²⁷⁷. სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებული რესტიტუციის დროს მისი მიზანია სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის მინიმალური ინტერესის დაკმაყოფილება, ხოლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მიზნად ისახავს დაცული იქნას მხარის მოლოდინზე დაფუძნებული ინტერესი, რომლის დაკმაყოფილებასაც იგი ისახავდა მიზნად ხელშეკრულების გაფორმების მომენტში. აქედან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისას ფულადი კომპენსაცია მხარეს აყენებს იმ ფინანსურ მდგომარეობაში რომელშიც იგი იქნებოდა ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ კონტრაქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში²⁷⁸.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რესტიტუცია სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით და უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში. სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით გადაცემულის უკან დაბრუნება ხდება იმის გამო რომ მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრებისას რესტიტუცია გამოწვეულია იმ გარემოებით რომ ქონების გადაცემას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი²⁷⁹. აქედან გამომდინარე უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში ქონების გადაცემა და სარგებლის მიღება არ არის გამოწვეული ნაკისრი

²⁷⁷ Umberath, H., Naturalrestitution, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Verlag Mohr Siebeck, 2003; <http://hwb-eup2009.mpipriv.de/index.php/Naturalrestitution?fbclid=IwAR0YgFqOKFHc47vhjNHgWbulE1g6V-2VneY0w6VR-8goWHHFAe65c9Yzhkc> ხელმისაწვდომი 14.10.2021 მდგომარეობით

²⁷⁸ Markesinis, B., Umberath, H., Johnston, A., The German Law of Contract: A Comparative Treatise Lord Bingham, Gunter Hirsch, 2006, 443

²⁷⁹ Vorpeil, R., K., German private international law, 2010, 37; https://www.vorpeil.de/media/content/buecherloseblatt/German_Private_International_Law.pdf?fbclid=IwAR1zCtDhpbnt4pFzUtlrHT5BDhjrQDb9_R_b5ECD0stNGEldPUbzjeu4tvw ხელმისაწვდომი 14.10.2021 მდგომარეობით

ვალდებულების შესრულებით. უსაფუძვლო გამდიდრებაა ისეთი შემთხვევაც როდესაც საგნის გადაცემა ხდება შეცდომით²⁸⁰. ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში უკან ბრუნდება მხოლოდ კონტრაქტის შესაბამისად განხორციელებული შესრულება, რომლის რესტიტუციის საფუძველიც არსებობს სსკ-ის 352-ე მუხლის შესაბამისად. თუ საგნის გადაცემა მოხდება შეცდომით იგი უკან უნდა დაბრუნდეს უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

3.2.2. რესტიტუციის მოთხოვნის ხანდაზმულობა ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის შემთხვევაში

ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შედეგად მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა წყდება და მის ადგილს იკავებს ორმხრივი რესტიტუციის ვალდებულება. ე.ი. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ახალი, რესტიტუციული ურთიერთობა წარმოიშობება²⁸¹. ის პირები, რომლებიც წარმოადგენდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შედეგად ხდებიან რესტიტუციული ურთიერთობის მოვალე და კრედიტორი²⁸².

რესტიტუციის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა, თუმცა იგივე ვადა არ მოქმედებს ხელშეკრულებიდან გასვლის მიმართ. სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტების მიხედვით რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის თანმდევი შედეგია. აქედან გამომდინარე მის მიმართ ხანდაზმულობის ზემოაღნიშნული ვადა ვრცელდება. ეს ვადა განსაზღვრულია სსკ-ის 128.3 მუხლის მიხედვით და მისი დენა იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის მომენტიდან²⁸³. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იმით აიხსნება, რომ

²⁸⁰ Gallo, P., *Unjust Enrichment: A Comparative Analysis*, 1992, 442

²⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-349-2021

²⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-467-2020

²⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-349-2021; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი

ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შედეგად მხარეებს ერთმანეთის მიმართ მეორეული მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ, ხოლო ამ ტიპის მოთხოვნის უფლებებზე ვრცელდება ხანდაზმულობა სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად ხანდაზმულობის საერთო ვადა 10 წელს შეადგენს. აქედან გამომდინარე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში რესტიტუციის მიმართ ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს²⁸⁴.

3.2. 3. ფულადი რესტიტუცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში

სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ფულადი რესტიტუცია თუ შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია. ნატურით რესტიტუციისგან განსხვავებით ფულადი რესტიტუციის შემთხვევაში თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა ხდება ფულადი თანხის გადახდის გზით, რომელიც წარმოადგენს გადაცემული საგნის „ჩანაცვლების“ საშუალებას²⁸⁵. თუკი პარალელს გავავლებთ ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში რესტიტუციის შემთხვევასთან კომპენსაციის დროს ხდება ფულის გადახდის შედეგად საგნის დაზიანების ან პიროვნებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება²⁸⁶, ხოლო ფულადი რესტიტუცია სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით წარმოადგენს

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას- 1361-2020

²⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 128-ე მუხლი

²⁸⁵ Mathis, M., BGB kommentar, 2021; https://bgb.kommentar.de/Buch-2/Abschnitt-1/Teil-1/Art-und-Umfang-des-Schadensersatzes?fbclid=IwAR2XtVruR1T-8YkoK1bcJhbkOumEYR4UV5DVZ-Z7gmEkbOGrn_6nhF3Er4g ხელმისაწვდომი 14.10.2021 მდგომარეობით

²⁸⁶ მაგალითად ავტოსაგზაო შემთხვევის დროს თუ ზიანდება მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილი იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება თუ ზიანი გამოწვეულია მისი მიმყენებლის ბრალეული ქმედებით და სახეზეა ზიანის ანაზღაურების სხვა კუმულატიური წინაპირობები: მიზეზშედეგობრივი კავშირი, მართლწინააღმდეგობა და დამდგარი შედეგი. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც ზიანის ანაზღაურება ხდება ბრალის გარეშე. იხ. AG Munich, final judgment v. March 29, 2016 - 331 C 28362/15; https://www.gesetze-bayern.de/Content/Document/Y-300-Z-BECKRS-B-2016-N-103583?hl=true&fbclid=IwAR1Y-A1dCvsW3MIJCNbXjRc_bd0QWeBdbM4pmUuabvNu0n0WS2Y96MOr7wQ ხელმისაწვდომი 14.10.2021 მდგომარეობით

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას²⁸⁷. აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილში კანონმდებელი ჩამოთვლის ფულადი რესტიტუციის შემთხვევებს. თანხის გადახდის გზით რესტიტუციას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში როდესაც: შეძენილის დაბრუნება შეუძლებელია ნატურით; მიღებული საგანი მოვალემ გაასხისა, გადაამუშავა, გადააკეთა, უფლებრივად დატვირთა ან გამოიყენა, რის შედეგადაც შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია; მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება ცვეთა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საგნის სათანადო გამოყენების შედეგად²⁸⁸. ფულადი რესტიტუციის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს როგორც ნაწილობრივ, ასევე სრულად ნივთის ღირებულების ანაზღაურება. ისევე როგორც ნატურით რესტიტუცია, ფულადი თანხის გადახდის შედეგად თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენაც არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებას. ფულადი რესტიტუციის ვალდებულება ხელშეკრულების მხარეების ბრალისგან დამოუკიდებლად წარმოიშვება, როდესაც ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება, რაც იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ იგი განსხვავდება ზიანის ანაზღაურებისგან. რადგან ნატურით და ფულის გადახდის შედეგად რესტიტუცია განსხვავდება ზიანის ანაზღაურებისგან, თანხა რომელსაც ხელშეკრულების მხარე იხდის რესტიტუციის მიზნით, გადაცემული ნივთის ან ნივთების ღირებულების სანაცვლოდ არ წარმოადგენს ზიანის საკომპენსაციოდ გადახდილ თანხას²⁸⁹. აღნიშნული შემთხვევისგან განსხვავებით სსკ-ის 408-ე მუხლით გათვალისწინებული რესტიტუციის ვალდებულება წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, თუმცა ამ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს არა სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შედეგად ხელშეკრულების შედეგების უკუქცევის თაობაზე, არამედ ისეთი

²⁸⁷ Brox, H., Walker, W., D., General Law of Obligations, Munich, 2018, 167

²⁸⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 352-ე მუხლის მე-2 ნაწილი

²⁸⁹ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 299

შემთხვევის შესახებ, როდესაც პირს ზიანი აღგება. სსკ-ის 408-ე მუხლი ფარავს ისეთ შემთხვევებს როდესაც მოვალე კრედიტორს აყენებს ზიანს სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმდინარეობისას. ამ შემთხვევაში რესტიტუცია ზიანის ანაზღაურების გზით აღადგენს იმ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზიანის მიყენებამდე, ხოლო თანხის გადახდა ზიანის საკომპენსაციოდ ხდება. სსკ-ის 352-ე მუხლისგან განსხვავებით მხარეებს შორის ნარჩუნდება სახელშეკრულებო ურთიერთობა²⁹⁰.

3.2.4. ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე

შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე დაბრუნება გამორიცხულია იმ შემთხვევაში როდესაც მხარეს გაეწია მომსახურება გადახდილი თანხის სანაცვლოდ²⁹¹. მაგალითად, როდესაც კონცერტი წყდება და მაყურებელი კარგავს შესაძლებლობას ბოლომდე მოუსმინოს მას, ანუ მიიღოს ის მომსახურება რაშიც ფული გადაიხადა, მას უნდა აუნაზღაურდეს გადახდილი თანხა. თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბილეთის მყიდველი ვერ ახერხებს მიიღოს მომსახურება იმ პირობებით, რომელიც შეთანხმებულია. მაგალითად, კონცერტზე დამსწრე პირმა შეიძინა დასაჯდომი ადგილი, თუმცა ვერ მოახერხა მისით სარგებლობა და მოუწია ფეხზე დგომა, კონცერტი დათქმულ დროზე გვიან დაიწყო და ა.შ²⁹². ამ შემთხვევაში რესტიტუციის მიზანი თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენაა, მხარეების დაბრუნება იმ მდგომარეობაში რომელშიაც იმყოფებოდნენ ხელშეკრულების დადებამდე. ფულის გადახდა

²⁹⁰ იხ. ბიოლინგი, ჰ., ლუტრინგჰაუსი, პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, ბრემენი-თბილისი, 2009, 49

²⁹¹ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 299

²⁹² AG Herne-Wanne, ruling v. 27. 3. 1998-3 C 5/98;

http://lorenz.userweb.mwn.de/urteile/njw98_3651.htm; აღნიშნული საკითხის თაობაზე საინტერესოა გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმად კონცერტის დაგვიანებით დაწყება ბილეთში გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მიზეზი გახდა, იხ. AG Passau, 11 C 1892/92, NJW'93, 1473 ff; <http://archiv.jura.uni-saarland.de/sr/iii1202.htm> ხელმისაწვდომი 14.10.2021 მდგომარეობით

ხდება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია. აქედან გამომდინარე არ არსებობს სხვა, უფრო სრულფასოვანი რესტიტუციის შესაძლებლობა²⁹³.

ზოგ შემთხვევაში საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების უკუქცევაზე მსჯელობისას ზიანად მოიაზრება ის თანხა, რომელიც გადაიხადა ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ მომსახურების გაწევისას, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ის 352-ე მუხლის ნორმატიულ შინაარსს და მისი მცდარი ინტერპრეტაციით არის განპირობებული. ამ კუთხით საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ არასწორედ მიიჩნია ზიანად ის თანხა, რომელიც გადაიხადა შემკვეთმა სამუშაოში. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა იმის თაობაზე რამდენად იყო დაცული ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები, რაც შექმნიდა რესტიტუციის სამართლებრივ საფუძველს სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. ამის შემდეგ სასამართლოს უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, რომ რადგან შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო ნატურით დაბრუნება უნდა მომხდარიყო ფულადი რესტიტუცია²⁹⁴. სააპელაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ შემკვეთმა მენარდეს არ განუსაზღვრა დამატებითი ვადა სამუშაოების შესასრულებლად ხოლო ამ ვადის განსაზღვრის შემთხვევაში მენარდე შეძლებდა იმ სამუშაოს შესრულებას, რომელიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ამასთან საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე იკვეთებოდა რომ შემკვეთს არ ჰქონდა დაკარგული ინტერესი შესრულებისადმი, რის გამოც დამატებითი ვადის განსაზღვრა აზრს დაკარგავდა. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ შემკვეთმა მის მიერ სამუშაოების ფასის სახით გადახდილი თანხა სრულად დაიბრუნა, ხოლო მენარდემ შეასრულა სამუშაოების ნაწილი. აქედან გამომდინარე განსახილველ

²⁹³ ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 513

²⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-255-239-2014

შემთხვევაში მენარდეს უნდა მიეღო თანხა, იმ სამუშაოების სანაცვლოდ რომელიც მან გაწია, ხოლო კრედიტორს უნდა დაებრუნებინა სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ წინმსწრებად გადახდილი თანხები. ნაცვლად ამისა სააპელაციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნა სსკ-ის 412-ე მუხლს და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კრედიტორისთვის ზიანის მიყენებას, მაშინ როდესაც უნდა ემსჯელა სახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგების უკუქცევაზე და რესტიტუციაზე სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით²⁹⁵.

ნივთის გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ უნდა მოხდეს რესტიტუცია ფულადი თანხის გადახდის გზით, რადგან მისი განლევის შედეგად გამორიცხულია გადაცემულის უკან დაბრუნება ნატურით რესტიტუციის შედეგად. მაგალითად, თუ მედიკამენტის გადაცემის შემდეგ მისი გამოყენების გამო შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია თავდაპირველი მდგომარეობა შეიძლება აღდგეს მხოლოდ თანხის გადახდის გზით²⁹⁶. აღნიშნული საკითხის თაობაზე საინტერესო მსჯელობა განავითარა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც იმსჯელა სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ფულადი რესტიტუციის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული იყო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსარჩელეს მოპასუხისთვის უნდა მიეწოდებინა მედიკამენტები. მოპასუხემ ინფლაციის მიზეზით ვადაზე ადრე მოშალა ხელშეკრულება. ხელშეკრულების მოშლის შესახებ მოპასუხემ წერილობით აცნობა მოსარჩელეს და გამოთქვა მზადყოფნა დარჩენილი დავალიანების დაფარვის თაობაზე განსაზღვრულ ვადაში. აქედან გამომდინარე მხარეებს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა რის გამოც წარმოიშვა

²⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-255-239-2014

²⁹⁶ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 300

რესტიტუციის საჭიროება. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნასყიდობის საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით (მედიკამენტები), მისი ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს „უ.+ს“ სს კ. „მ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების-27 045,65 აშშ დოლარის ანაზღაურება²⁹⁷“. ფულადი რესტიტუციის საფუძველის მითითების დროს სასამართლოს უნდა გაემახვილებინა ყურადღება იმაზე, რომ ნატურით რესტიტუცია შეუძლებელი იყო გადაცემული საგნის გამოყენების შედეგად და არა მისი ბუნებიდან გამომდინარე. აფთიაქში განთავსებულ მედიკამენტებს ჰქონდათ მოხმარების ვადა, რის გამოც შეუძლებელი იყო ნატურით რესტიტუცია. აქედან გამომდინარე ხელშეკრულების შედეგების უკუქცევა უნდა მომხდარიყო არა სსკ-ის 352-ე მუხლის „ა“ პუნქტზე მითითებით, არამედ „ბ“ პუნქტის მიხედვით განსაზღვრული საფუძვლით.

3.2.5 ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა საგნის გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის გამო

სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგნის გასხვისება გულისხმობს ისეთ შემთხვევას როდესაც მოვალემ საგანი გადასცა მესამე პირს, ან გაასხვისა იგი, რის შედეგადაც მესამე პირმა მოიპოვა საგანზე საკუთრების უფლება. თუ გადაცემული საგნის გამოსყიდვა შესაძლებელია მოვალემ უნდა გამოისყიდოს ნივთი, ანუ ნატურით რესტიტუცია მოახდინოს, ხოლო ნივთის გამოყენების შედეგად მისი შემცირებული ღირებულების ანაზღაურება განახორციელოს თანხის გადახდის გზით. აღნიშნული მოსაზრება არ გამომდინარეობს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტიდან, თუკი აღნიშნულ ჩანაწერს განვმარტავთ სიტყვასიტყვით. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით ფულის გადახდა ხდება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად. მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება. ერთი შეხედვით იქმნება

²⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე ას-42-40-2013

შთაბეჭდილება, რომ მოვალემ ან თანხა უნდა გადაიხადოს ან ნატურით რესტიტუცია მოახდინოს. თუმცა კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი არ გამორიცხავს ფულადი თანხის გადახდას და იმავდროულად ნივთის დაბრუნებას, ანუ ნატურით რესტიტუციას. აქედან გამომდინარე არასწორია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილი ფარავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია²⁹⁸. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ ზოგიერ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს როგორც ფულადი რესტიტუცია, ასევე ნივთის კრედიტორისთვის დაბრუნება²⁹⁹. მაგალითად, სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები გამორიცხავს ფულის გადახდას და საგნის დაბრუნებას ერთდროულად, თუმცა ამავე ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით გათვალისწინებული საგნის გამოყენების, გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის შემთხვევები არ გამორიცხავს ნატურით დაბრუნებასთან ერთად ფულადი რესტიტუციის შესაძლებლობას³⁰⁰. თუ გამოთხოვა შეუძლებელია იმ მიზეზით, რომ მესამე პირმა მოიპოვა მასზე საკუთრების უფლება, მაშინ მოვალეს დაეკისრება ფულადი რესტიტუციის ვალდებულება. ამასთან, თუ მესამე პირი წარმოადგენს ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს იგი არაა ვალდებული დაუბრუნოს იგი

²⁹⁸ აქედან გამომდინარე მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვით ფულადი რესტიტუცია სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია ნივთის განლევის, დაკარგვის ან განადგურების გამო; იხ. ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 513

²⁹⁹ ამ საკითხზე სწორია რუსიაშვილის მოსაზრება, რომლის თანახმად ფულადი რესტიტუცია შეიძლება მოხდეს ნატურით რესტიტუციასთან ერთად თუ მოვალის მიერ გასხვისებული ნივთს მესამე პირისგან გამოთხოვა შესაძლებელია; იხ. რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 300

³⁰⁰ მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე რომ ნივთის უფლებრივად დატვირთვა გამორიცხავს მისი ნატურით დაბრუნების შესაძლებლობას და ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს მხოლოდ ფულადი რესტიტუცია; მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008, 140

მოვალეს³⁰¹. ნივთის უფლებრივად დატვირთვის შემთხვევაში მოვალემ იგი უნდა დაუბრუნოს კრედიტორს და აანაზღაუროს ღირებულება, რომელიც შემცირდა ნივთის უფლებრივად დატვირთვის შედეგად. ნივთის უფლებრივად დატვირთა გულისხმობს მის დატვირთვას როგორც სანივთო ასევე ვალდებულებით სამართლებრივი უფლებებით. მაგ. თუ მოვალე გააქირავებს ნივთს იგი ვალდებულია მოახდინოს ფულადი რესტიტუცია, რაც ნივთის ღირებულების შემცირებით არის გამოწვეული. ფულად რესტიტუციას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ნივთის განთავისუფლება უფლებრივი ტვირთისგან³⁰². მაგ. მანქანა, რომელიც იყიდა პირმა და დატვირთა გირავნობით ვერ დაუბრუნდება გამყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში იმ შემთხვევაში თუ მყიდველი ვერ მოახერხებს ავტომანქანის ფასის გადახდას. რადგან შეუძლებელია ნივთის განთავისუფლება უფლებრივი ტვირთისგან მოვალემ უნდა მოახდინოს ფულადი რესტიტუცია³⁰³.

სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის შემთხვევაში ნატურით რესტიტუციის ნაცვლად უნდა მოხდეს ფულადი ანაზღაურება, თუ ნივთის გადამუშავების, ან შერწყმის შედეგად მისი ნატურით დაბრუნება შეუძლებელია. იმ შემთხვევაში თუ ნივთის გადამუშავების ან გადაკეთების დროს შემცირდება მისი ღირებულება უნდა მოხდეს ფულადი რესტიტუცია ნატურით რესტიტუციასთან ერთად ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს ნივთის მესამე პირისთვის საკუთრებაში გადაცემის ან უფლებრივად დატვირთვის შემთხვევაში³⁰⁴.

³⁰¹ ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 245

³⁰² რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 300

³⁰³ ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 245

³⁰⁴ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 300

3.2.6. ხელშეკრულებიდან გასვლის რესტიტუციული შედეგები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება რესტიტუციის სამართლებრივი შედეგი და ზიანის ანაზღაურება. ამ საკითხზე იმსჯელა სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 14 მარტის № ას-945-895-2015 გადაწყვეტილებაში, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნა ზიანის ანაზღაურების და რესტიტუციის მიზნით ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორისთვის ქონების უკან დაბრუნების შემთხვევები. განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული იყო ხელშეკრულება ბინის ნასყიდობის თაობაზე, რომელიც არ შესრულდა კონტრაქტით დადგენილ ვადაში. გამყიდველმა ვერ შეძლო ბინის დასრულება და მისი იმ პირობებით გადაცემა მყიდველისთვის, რომლებიც დადგენილი იყო ხელშეკრულების მიხედვით. ამიტომ მყიდველი გავიდა ხელშეკრულებიდან და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება თანხის იმ ოდენობით, რომელიც მას გადასახდელი ჰქონდა ბანკისთვის სესხის პროცენტების სახით. სესხი მყიდველს აღებული ჰქონდა ბინის ნასყიდობის მიზნით³⁰⁵. მყიდველი სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითებდა, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტების გადახდა მას არ მოუწევდა, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ გამყიდველი დაუბრუნებდა თანხას, რომელიც მყიდველმა ბინის ნასყიდობის საფასურის სახით გადაიხადა. მყიდველი ზიანის ანაზღაურების სახით ითხოვდა არამხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ დაგროვილი პროცენტების, არამედ ხელშეკრულების მიმდინარეობისას მის მიერ ბანკისთვის პროცენტის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურებას. მეორე მხრივ მყიდველი ითხოვდა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასაც. იგი ამტკიცებდა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში ბინის დასრულების შემთხვევაში შეძლებდა გაექირავებინა უძრავი ქონება და

³⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-945-895-2015

მიელო შემოსავალი. ამ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა მას არ მიეცა იმის გამო, რომ გამყიდველმა ვერ დაასრულა მშენებლობა კონტრაქტით დადგენილ ვადაში³⁰⁶.

სააპელაციო სასამართლომ მოახდინა მყიდველისთვის ასანაზღაურებელი ზიანის განსხვავებული კალკულაცია. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზიანის ანაზღაურების მიზანია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში მყიდველს არ მოუწევდა იმ პროცენტების გადახდა, რომელიც მან გადაიხადა ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, მას შემდეგ რაც გავიდა ხელშეკრულებიდან. მეორე მხრივ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულების შემთხვევაში მყიდველი გადაიხდიდა სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტების ნაწილს. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაში არ უნდა ჩათვლილიყო ხელშეკრულებიდან გასვლამდე მყიდველის მიერ ბანკისთვის გადახდილი პროცენტები. ზიანის სახით უნდა ანაზღაურებულიყო ის პროცენტები, რომლების გადახდაც მას მოუწია ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, მისი დარღვევის შედეგად³⁰⁷. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გამყიდველმა გასცა ინვოისი იმ მიზნით, რომ მყიდველს ბანკისგან აეღო სესხი ბინის ღირებულების დაფარვის მიზნით. ამიტომ ის ზიანი, რომელიც მიადგა მყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შედეგად სავარაუდო იყო გამყიდველისთვის³⁰⁸. აქედან გამომდინარე სახეზე იყო სსკ-ის 412-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი ზიანი, რომელიც

³⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-945-895-2015

³⁰⁷ იქვე

³⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-945-895-2015

წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს და წინასწარ სავარაუდო იყო მისი მიმყენებლისთვის³⁰⁹.

სააკაპელაციო სასამართლომ მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის ნაწილში უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ამ თანხის გადახდის ვალდებულება გამყიდველს დააკისრა. სასამართლომ ასევე იმსჯელა იმ გარემოებების შესახებ, რომლების გათვალისწინებითაც მყიდველს ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. კონტრაქტით დადგენილ ვადაში ხელშეკრულება არ შესრულდა, რასაც ადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნაში ასახული იყო ის ვითარება, რაც მშენებარე ბინაში იყო შექმნილი. გარდა ამისა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არ მუშაობდა ლიფტი, ხოლო რადგან ბინა მე-13 სართულზე იყო ეს გარემოება წარმოადგენდა ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შეუსრულებლობას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რესტიტუციის მოვალე შ.პ.ს. აღრიცხული იყო მოვალეთა რეესტრში. ეს გარემოება იმაზე მეტყველებდა რომ იგი ვერ შეძლებდა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და აზრსმოკლებული იყო მისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა, ან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება³¹⁰.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რადგან მყიდველს უნდა გადასცემოდა ბინა დასრულებულ მდგომარეობაში, მისი გაქირავების შესაძლებლობის არქონის გამო მიუღებელი შემოსავლის ოდენობის დაანგარიშება უნდა მომხდარიყო დასრულებული, იგივე ან მსგავსი მახასიათებლების მქონე ბინის ქირის მიხედვით. საკასაციო ეტაპზე საქმის განხილვისას კასატორი მიუთითებდა, რომ ხელშეკრულების პირობების მიხედვით მას მყიდველისთვის უნდა ჩაებარებინა ე.წ. „შავი კარკასი“. შესაბამისად მიუღებელი შემოსავლის ოდენობა არ შეადგენდა იმ თანხას, რაც

³⁰⁹საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 412-ე მუხლი

³¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-945-895-2015

მოთხოვნილი იყო მყიდველის მიერ. სუს-მა არ გაითვალისწინა კასატორის ეს პოზიცია იმ გარემოების გამო, რომ კონტრაქტის ტესტში არსად იყო გამოყენებული ტერმინი „შავი კარკასი“. აქედან გამომდინარე გამყიდველს უნდა აენაზღაურებინა მიუღებელი შემოსავალი იმ ოდენობით, რომელსაც მყიდველი მიიღებდა კონტრაქტით განსაზღვრულ ვადაში ბინის დასრულებული სახით მიღების და მისი გაქირავების შედეგად³¹¹.

სუს-მა შეზღუდა ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ზიანს წარმოადგენდა სესხის დარჩენილი პროცენტი, რომელიც რესტიტუციის კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტში ჰქონდა გადასახდელი³¹². სასამართლომ განმარტა, რომ რადგან ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში კრედიტორი მიიღებდა ბინას და არა თანხას, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად რესტიტუციის მოვალეს წარმოეშვა ბინის ღირებულების დაბრუნების ვალდებულება სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. სასამართლო დაეყრდნო ზიანის ცნების განმარტებას სსკ-ის 408-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის თანახმად ზიანი არის „კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა ყოფილიყო“ და „არის“ მდგომარეობას შორის“, რაც გამომდინარეობს სხვაობის ჰიპოთეზიდან. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ზიანის ანაზღაურებასაც გულისხმობს, თუმცა სსკ-ის 352-ე მუხლი არ ფარავს ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს და იგი სსკ-ის 394-ე, ასევე 408-ე მუხლების მიხედვით რეგულირდება³¹³. თუკი განსახილველ შემთხვევაში რესტიტუციის მოვალე შეასრულებდა მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, კრედიტორს აღარ მოუწევდა სესხის იმ პროცენტის გადახდა, რაც

³¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-945-895-2015

³¹² ქავშაია, ნ., ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას, ქართულ-გერმანული სამართლის ჟურნალი, 2019, # 3, 71

<http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-shedarebiti-samartlis-jurnali-III.pdf?fbclid=IwAR2Pj-XenRJ2kpw5LQeJLL-3Y ivhKg6leKvHrlGTnpw d4cmdxSnbAIWi0> ხელმისაწვდომი 18.10.2021 მდგომარეობით

³¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-556-2021

ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ პერიოდში დაეკისრა. ამ მოსაზრებით საკასაციო სასამართლომ ზიანად მიიჩნია არა სრულად სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში რესტიტუციის კრედიტორის მიერ ბანკისთვის გადახდილი სესხის პროცენტი, არამედ მხოლოდ ის თანხა, რომლის გადახდაც კრედიტორს მოუწია ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ³¹⁴. აქედან გამომდინარე განსახილველ შემთხვევაში სუს-მა გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სამივე ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა ორი მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე: 1. არის თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ გადასახდელი პროცენტი ზიანი; 2. იწვევს თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა რესტიტუციის მოვალისთვის მიუღებელი შემოსავლის გადახდევინების დაკისრებას. მართებულად უნდა მივიჩნიოთ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მიერ ზიანის ანაზღაურების ოდენობის კალკულაცია იმ თანხის მიხედვით, რომელიც პროცენტის სახით უნდა გადაეხადა მყიდველს ბანკისთვის. იმ შემთხვევაშიც კი თუ გამყიდველი შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ამ დრომდე სესხის პროცენტის გადახდა მყიდველს მაინც მოუწევდა. ამიტომ პროცენტის ნაწილი, რომელიც მყიდველმა გადაიხადა ხელშეკრულებიდან გასვლამდე არ უნდა ჩათვლილიყო ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობაში³¹⁵, რადგან მხოლოდ მყიდველის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას შეემლო გამოეწვია ზიანი და არა მის შესრულებას.³¹⁶ კონტრაქტის

³¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება; <http://temida.ge/fullcase/1959///--.pbn>; ხელმისაწვდომი 18.10.2021 მდგომარეობით

³¹⁵ იქვე

³¹⁶ ზაქარაიშვილი, ქ., ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულებაზე უარის თქმის უფლებების, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 5, 2016, 113;

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/221998/1/Samartali_Da_Msoffio_2016_N5.pdf?fbclid=IwAR3XCMzjRL_EAP_mmxNFx_UCw-J_OjS_EhytDJ56w6i5uh114ty1WpUYZFA ხელმისაწვდომი 22.11.2021 მდგომარეობით

პირობები დაირღვა მას შემდეგ, რაც დადგა ხელშეკრულების შესრულების ვადა. აქედან გამომდინარე ზიანის კალკულაცია უნდა მომხდარიყო აღნიშნული პერიოდის დადგომის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხვა გადაწყვეტილებებშიც მსჯელობს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მაგალითად, ერთერთ საქმეზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მსგავსად მოსარჩელე ითხოვდა მის მიერ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ბანკისთვის გადახდილი პროცენტების ჩათვლას ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობაში, ასევე მიუღებელი შემოსავლის გადახდევინების მოპასუხისთვის დაკისრებას³¹⁷. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო გასვლის შემდეგ მყიდველის მიერ გადასახდელი პროცენტი წარმოადგენდა იმ თანხას, რომელის გადახდაც უნდა დაკისრებოდა გამყიდველს. სასამართლოს განმარტების მიხედვით მიუღებელია ისეთი შემოსავალი, რომლის მიღებაც მხარემ ვერ მოახერხა ზიანის გამომწვევი მოქმედების შედეგად და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. განსახილველ შემთხვევაში კასატორი მიუთითებდა, რომ შემოსავლის მიუღებლობა განაპირობა თანხის დაუბრუნებლობამ, რომელსაც იგი ანაზღაურებდა და მიიღებდა წლიურ საპროცენტო სარგებელს ვალდებულება რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულებულიყო³¹⁸. სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კასატორი ვერ ასაბუთებდა სარგებლის მიღების შესაძლებლობას საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. აქედან გამომდინარე მიუღებელი შემოსავლის ნაწილში კასატორის სარჩელი

³¹⁷ ნაჭყებია, ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში -(2000-2013), გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2014, 127

³¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივნისის №ას-376-357-2013 გადაწყვეტილება

სასამართლომ არ დააკმაყოფილა³¹⁹. ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: სასამართლოს განსახილველ შემთხვევაში არ აღუნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი არ შეიძლება იყოს ნასყიდობის საგნის ფასის სანაცვლოდ გადახდილი თანხის სხვაგვარად გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავალი. სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა მტკიცებულებების არარსებობის გამო არ დააკმაყოფილა და მიუთითა სსკ-ის 407-ე მუხლზე, რომლის მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო³²⁰, ხოლო სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს³²¹. სასამართლოს განმარტებით იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის შესახებ იგი უნდა იყოს სავარაუდო მოვალისთვის, ხოლო თანხის მიღების შეუძლებლობა ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობით უნდა იყოს განპირობებული³²².

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მსჯელობისას სასამართლო სხვა გადაწყვეტილებებშიც მიუთითებს შემოსავლის მიღების შესაძლებლობის დასაბუთების აუცილებლობის შესახებ. ერთერთ საქმეზე სუს-ს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ მტკიცებულებების საფუძველზე უტყუარად ვერ დასტურდებოდა ზიანის ოდენობა, ხოლო მიუღებელი შემოსავალი უნდა დასტურდებოდეს არა მოსარჩელის სუბიექტური შეხედულებების მიხედვით, არამედ ობიექტურად³²³. ეს ნიშნავს, რომ მიუღებელ შემოსავალს „პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ

³¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივნისის №ას-376-357-2013 გადაწყვეტილება

³²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 407-ე მუხლი

³²¹ იქვე, 411-ე მუხლი

³²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივნისის №ას-376-357-2013 გადაწყვეტილება

³²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-307-291-2011

კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს³²⁴“. ასეთი ლოგიკური ბმის არსებობა აუცილებელია მიუღებელი შემოსავლის ბუნების გათვალისწინებით. არაერთი გადაწყვეტილების ფარგლებში სუს-მა განმარტა, რომ „მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო³²⁵“. მიუღებელი შემოსავლის ობიექტური კრიტერიუმებით განსაზღვრა მიზნად ისახავს ისეთი ვითარების თავიდან აცილებას, როდესაც მოპასუხისთვის მისი ანაზღაურების დაკისრება იწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას³²⁶. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებისთვის არასაკმარისია რესტიტუციის კრედიტორის მიერ იმ შემოსავალსა და ხარჯებზე მითითება, რომლებიც წარმოიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ჯეროვნად შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. სსკ-ის 411-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის გათვალისწინებით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება უნდა დაეკისროს რესტიტუციის მოვალეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დაამტკიცებს, რომ მიადგა ზიანი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შედეგად³²⁷. აღნიშნული შემთხვევისგან განსხვავებით მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ტვირთს კასატორმა წარმატებით გაართვა თავი საქმეზე № ას-945-895-2015. ამ შემთხვევაში ბინის ქირის და შესაბამისად მიუღებელი შემოსავლის ოდენობის დაანგარიშება

³²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება

³²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება

³²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება

³²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-307-291-2011

შესაძლებელი გახდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე, სადაც აღნიშნული იყო ქირის ოდენობა მსგავსი მახასიათებლების მქონე ბინების მაგალითზე. სასამართლო მიუღებელი შემოსავლის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას სწორედ აღნიშნულ მტკიცებულებას დაეყრდნო³²⁸. განსახილველ შემთხვევაში გამოიკვეთა სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები: 1.საქმეში წარმოგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდებოდა, რომ შემოსავლის მიუღებლობა გამოწვეული იყო მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ბრალეული შეუსრულებლობით; 2.ზიანი სავარაუდო იყო მისი მიმყენებლისთვის. არ არის აუცილებელი, რომ შემოსავლის მიღების შესაძლებლობის არქონის ვარაუდი დასტურდებოდეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. ზიანის სავარაუდოობა სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით უნდა შეფასდეს. მაგალითად, როდესაც ტაქსისტი ვერ ახერხებს შემოსავლის მიღებას იმის გამო რომ მექანიკოსმა ვერ შეძლო მისი მანქანის დროულად გაკეთება, ის გარემოება რომ ზიანი სავარაუდო იყო მექანიკოსისთვის უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით³²⁹. ტაქსისტი არაა ვალდებული რაიმე მტკიცებულებებით გაამყაროს ეს ვარაუდი. ამავე ლოგიკით, 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებაში სასამართლოს შეეძლო დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმის მასალებში არ იქნებოდა მტკიცებულება (მოცემულ შემთხვევაში ინვოისი), რომელიც გაამყარებდა მოსაზრებას, რომ შემოსავლის მიუღებლობა განჭვრეტადი იყო რესტიტუციის მოვალისთვის³³⁰. აქედან გამომდინარე სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების

³²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება

³²⁹ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 465

³³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება

და მიუღებელი შემოსავლის გადახდევინების მოვალისთვის დაკისრების თაობაზე.

ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მისი გაქირავების შესაძლებლობის არქონის გამო შემოსავლის მიუღებლობის შემთხვევა უნდა გავმიჯნოთ ისეთი შემთხვევისგან, როდესაც მყიდველი ითხოვს ბინის საფასურის დაუბრუნებლობის გამო მის ანაზარზე განთავსების შეუძლებლობის მიზეზით მიუღებელი შემოსავლის გადახდევინების მოპასუხისთვის დაკისრებას. აქედან გამომდინარე ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც შემოსავლის მიუღებლობას იწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა, იმ შემთხვევებისგან როდესაც შემოსავლის მიღება პირს შეეძლო თანხის სხვაგვარად გამოყენების შედეგად. ერთერთ გადაწყვეტილებაში სუს-მა განმარტა, რომ ბინის ნასყიდობის თანხის სხვაგვარი გამოყენების შესაძლებლობის არქონა იმის გამო, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არ შესრულდა განსაზღვრულ ვადაში, არ წარმოადგენს მოპასუხისთვის მიუღებელი შემოსავლის გადახდევინების დაკისრების საფუძველს. ამ მოსაზრებას სასამართლო ამყარებს იმ გარემოებით, რომ თანხის სხვაგვარად გამოყენების შედეგად შემოსავლის მიღების შესაძლებლობის არქონა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეუსრულებლობით განპირობებულ შედეგს. მიუღებელი შემოსავლის გადახდევინების ვალდებულება მხარეს დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს რომ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა მას არ მიეცა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შედეგად. ამავეზე მიუთითებს სსკ-ის 411-ე მუხლიც, რომლის მიხედვით შემოსავლის მიუღებლობის მიზეზს ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობა წარმოადგენს, რაც განსხვავდება თანხის სხვაგვარად გამოყენების შემთხვევისგან.³³¹ მიუღებელი შემოსავალი თავისი არსით არის

³³¹ ბათილაძე, გ., რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 723

ისეთი ზიანი, როდესაც პირის ქონება ვერ იზრდება ზიანის მიმყენებლის ქმედების გამო. იმისათვის, რომ ასეთმა ქმედებამ წარმოშვას ზიანი საჭიროა მხარეებს შორის არსებობდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა (თუმცა მიუღებელი შემოსავალი ანაზღაურდება დელიქტური ზიანის მიყენების შემთხვევაშიც, როდესაც პირს უზიანდება ჯანმრთელობა და ერთმევა შრომის უნარი). ამიტომ თანხის სხვაგვარად გამოყენების შედეგად შემოსავლის მიღების შესაძლებლობის არქონა არ წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძველს. ამ გარემოების გათვალისწინებით სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცალსახად მიუთითა, რომ „როცა ხელშეკრულების საგანია ბინის აშენება და საკუთრებაში გადაცემა, ბინის ნასყიდობის თანხის სხვაგვარი გამოყენებით მიუღებელი შემოსავალი ვერ იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინის გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგი“³³². სასამართლო პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მიუთითებს ნასყიდობის ფასის სანაცვლოდ გადახდილი თანხის სხვაგვარად გამოყენების შესაძლებლობაზე და აღნიშნული საფუძველით მოითხოვს მოპასუხისთვის მიუღებელი შემოსავლის გადახდევინების დაკისრებას სასამართლო არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას³³³. იმ შემთხვევაში თუ მიუღებელი შემოსავალი მოთხოვნილი იქნება იმის გამო, რომ რესტიტუციის მოვალემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, გასვლის შემდეგ გადაცემული ქონების უკან დაბრუნებასთან ერთად რესტიტუციის კრედიტორს აქვს უფლება დააყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 394-ე და 411-ე მუხლების მიხედვით. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი

³³² ნაჭყებია, ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019 84

³³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-374-355-2015

შემოსავლის თაობაზე, თუ საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარე მიიღებდა შემოსავალს ქონების სხვაგვარი გამოყენების შედეგად.

სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების შესახებ გვიჩვენებს, რომ გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობები გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მაგალითად, სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატის ერთერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა არ დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით³³⁴. ამის ნაცვლად სასამართლოს უნდა ემსჯელა მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნების თაობაზე. სასამართლოს უნდა განემარტა, რომ თანხის სხვაგვარად გამოყენების შესაძლებლობის არქონა არ წარმოადგენს საფუძველს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებისთვის, როგორც ამის თაობაზე მითითებულია სუს-ის სხვა გადაწყვეტილებაში³³⁵. ნაცვლად ამისა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში მტკიცებულებების არარსებობაზე და არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა იმის გამო, რომ ობიექტურად არ დასტურდებოდა შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

3.2.6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლების მნიშვნელობა რესტიტუციული შედეგებისთვის

ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ რესტიტუციული შედეგების თვალსაზრისით საყურადღებოა სუს-ის №ას-1209-1169-2016 გადაწყვეტილება³³⁶. ამ გადაწყვეტილებაში პრობლემურ ასპექტს წარმოადგენდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების ფარგლების დადგენა და იმის განსაზღვრა, შეასრულეს თუ არა მყიდველებმა

³³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივნისის №ას-376-357-2013 გადაწყვეტილება

³³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის №ას-945-895-2015 გადაწყვეტილება

³³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება სრული მოცულობით. გადაწყვეტილება საინტერესოა იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა გავლენას ახდენს მოვალის მიერ განხორციელებული შესრულების და კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლების დადგენა ხელშეკრულებიდან გასვლის რესტიტუციულ შედეგებზე. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით. მხარეებს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა ლისის ტბის მიმდებარედ არსებული ორი მიწის ნაკვეთი. მოსარჩელის მტკიცებით მისთვის მყიდველებს სრულად არ გადაუხდიათ ნასყიდობის საფასური-1 070 872 დოლარი. მყიდველებმა გადაიხადეს მხოლოდ 161 781 დოლარი. პირველ ინსტანციაში საქმის წარმოებისას მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითა, რომ რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ კონტრაქტის საგანი-მიწის ნაკვეთი გაერთიანდა სხვა მიწის ნაკვეთებთან, შეუძლებელი იყო ნივთის თავდაპირველ მდგომარეობაში დაბრუნება. ამიტომ მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელის აზრით მოცემულ შემთხვევაში ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო სსკ-ის 352-ე მუხლის „ბ“ პუნქტის და სსკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობად მოსარჩელემ მიუთითა ნასყიდობის საგნის ღირებულება-1 070 872 აშშ დოლარი. მოსარჩელე ასევე ითხოვდა მოპასუხეებისთვის (მყიდველებისთვის) მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრებას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ რადგან მოპასუხეები უკანონოდ სარგებლობდნენ მისთვის 5 წლის წინ გადასახდელი თანხით-მიწის ნაკვეთების საფასურით, ამიტომ მყიდველებს უნდა დაკისრებოდათ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება³³⁷. სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით მყიდველებს მიუღებელი შემოსავლის სახით

³³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

მოსარჩელისთვის უნდა გადაეხადათ აღნიშნული თანხის პროცენტი სარგებლობის მთელი პერიოდის მანძილზე, სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში მყიდველების მიერ სრულად იქნა გადახდილი ნასყიდობის ხელშეკრულების საფასური, რაც განხორციელდა 3 ნაწილად, მყიდველების წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა ანგარიშებზე თანხის გადარიცხვის შედეგად. აქედან გამომდინარე სასამართლომ ჩათვალა, რომ მყიდველების მიერ სრულად იქნა შესრულებული ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება-გადახდილი იქნა მიწის ნაკვეთების საფასური. ამ გარემოებაზე დაყრდნობით სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეებს შორის შეწყვეტილი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობა ვალდებულების შესრულების შედეგად. სასამართლოს განმარტებით მყიდველების მიერ ვალდებულების შესრულებაზე მიუთითებდა ის გარემოებაც, რომ მოხდა საჯარო რეესტრში მათი აღრიცხვა უძრავი ქონების მესაკუთრეებად. მეორე მხრივ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნასყიდობის ხელშეკრულების იმ მუხლზე, რომლის თანახმადაც თუ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში არ შესრულდებოდა ვალდებულება, მყიდველი გავიდოდა ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულებიდან გასვლის აღსანიშნავად განსახილველ შემთხვევაში გამოყენებული იქნა ტერმინი „გაუქმება“. სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან მყიდველმა არ გამოიყენა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ეს გარემოება ადასტურებდა, რომ მყიდველმა შეასრულეს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება-გადაიხადეს ხელშეკრულების საგნის ფასი სრული მოცულობით³³⁸. სასამართლომ არასწორად განმარტა ნასყიდობის ხელშეკრულების 1.4 მუხლი, რომლის მიხედვით თუ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში სრულად არ იქნებოდა გადახდილი ნასყიდობის საგანი, მოიშლებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობა და

³³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

აღდგებოდა თავდაპირველი მდგომარეობა. განსახილველ შემთხვევაში კონტრაქტის 1.4 მუხლის თანახმად განსაზღვრული იყო არა ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა, არამედ ის გარემოება რომელიც გამოიწვევდა ხელშეკრულებიდან გასვლას და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. 3 დღიანი ვადა მხარეებს ხელშეკრულებიდან გასვლისთვის კი არ განესაზღვრათ, არამედ ვალდებულების შესრულებისთვის. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის პირობების მიხედვით დადგინდებოდა ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა და გამყიდველი არ გამოიყენებდა მას, მაშინ გაქარწყლდებოდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და შესაბამისად არც რესტიტუციის საფუძველი არ იარსებებდა³³⁹. რადგან მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ იყო განსაზღვრული კონტრაქტის მიხედვით, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ ხელშეკრულებიდან გასვლა, რადგან ამ უფლების მიმართ, განსხვავებით ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნის უფლებებისა, არ ვრცელდება ხანდაზმულობა³⁴⁰. მეორე მხრივ ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით შეტყობინების გზით. კანონმდებელი არ განსაზღვრავს სავალდებულო ფორმას ხელშეკრულებიდან გასვლის მიზნით. განსახილველ შემთხვევაში გამყიდველი ხელშეკრულებიდან გავიდა კონკლუდენტური მოქმედების შედეგად: სასამართლოში სარჩელის აღძვრის გზით³⁴¹.

³³⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1659-2018

³⁴⁰ ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №28/167-15;
<http://library.court.ge/judgements/85512017-03-01.pdf> ხელმისაწვდომია 30.11.2021

³⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016; იხ. ასევე რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა (giz), თბ., 2019, 319

სასამართლომ არ გაამახილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ საბანკო გადარიცხვის ქვითრებით, ან სხვა მტკიცებულებების მიხედვით ვერ დასტურდებოდა გამყიდველისთვის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის სრულად გადახდის ფაქტი. გამყიდველის ანგარიშზე გადარიცხული იქნა მხოლოდ 161 000 დოლარი, რასაც არც თავად მოსარჩელე არ უარყოფდა. ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის ფასი განსაზღვრული იყო ხელშეკრულებით. შესაბამისად, მყიდველებს სწორედ კონტრაქტში მითითებული თანხა უნდა გადაეხადათ³⁴². სასამართლოს უნდა ემსჯელა, რომ განსახილველ შემთხვევაში მყიდველებს ეკისრებოდათ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სსსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით. კერძოდ, მოპასუხეებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათ მიერ სხვადასხვა ანგარიშებზე გადარიცხული თანხები წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის საფასურს. სასამართლომ არ გაამახილა ყურადღება ამ გარემოებაზე, რაც მტკიცების ტვირთის არასწორედ განაწილებაზე მიუთითებს³⁴³. რაც შეეხება მითითებას „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რეესტრში რეგისტრაცია მიუთითებს, რომ გამყიდველმა საკუთრების უფლება გადასცა მყიდველს. საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით მესაკუთრის ვინაობა განისაზღვრება³⁴⁴. იგი წარმოადგენს საკუთრების უფლების დადგენის საშუალებას, რომელიც შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი³⁴⁵. მიუხედავად იმისა, რომ რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია, ეს ჩანაწერები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს

³⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

³⁴³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997, 102-ე მუხლი

³⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე #ბს-367-363(კ-12);

<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/bs-367-363.pdf> ხელმისაწვდომი 30.11.2021 მდგომარეობით

³⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-340-325-2012;

<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/-n-58-ganmarteba.pdf> ხელმისაწვდომი 30. 11. 2021 მდგომარეობით

საკუთრების უფლების ნამდვილ შინაარსს³⁴⁶. აქედან გამომდინარე რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციის ფაქტზე დაყრდნობით ვერ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, შესრულდა თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები. ეს გარემოებები უნდა შეფასებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსზე დაყრდნობით. სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში სწორად შენიშნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველი ვალდებული იყო გადაეხადა ნივთის ფასი, ხოლო გამყიდველი ვალდებული იყო გადაეცა მისთვის ქონება და საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საკუთრების უფლების გადაცემა არ ნიშნავს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას. აქედან გამომდინარე სასამართლოს ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნა ეს გარემოებები³⁴⁷. თუ დადგინდებოდა, რომ ხელშეკრულების მხარეებს არ შეუსრულებიათ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება, მაშინ უნდა მომხდარიყო რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ. მეორე მხრივ მყიდველს შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა სზაკ-ის მიხედვით. ნაცვლად ამისა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც მხარეებს ერთმანეთის მიმართ შესრულებული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხელშეკრულებიდან გასვლა, არ იწვევს რესტიტუციას სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. სასამართლოს განმარტების თანახმად, თუ საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეებმა შეასრულეს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება, მაშინ სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყვეტილია შესრულების გამო და არა ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის მიზეზით³⁴⁸. ხელშეკრულებით ნაკისრი

³⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-189-182-2013

<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n61-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>

ხელმისაწვდომი 30. 11.2021 მდგომარეობით

³⁴⁷ ჩაჩავა, ს., სსკ-ის 477-ე მუხლის კომენტარი, 2016, 3; <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/05/Artikel-477-23.03.16.pdf> ხელმისაწვდომი 30.11.2021 მდგომარეობით

³⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში არ არსებობს არც სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი. შესაბამისად, ვერ მოხდება ვერც ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით. რადგან არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის შესახებ³⁴⁹.

რადგან საქმის მასალებით ვერ დგინდებოდა მყიდველების მიერ ვალდებულების სრული მოცულობით შესრულების ფაქტი, სასამართლოს უნდა ემსჯელა იმ ზიანის თაობაზე, რომელიც მიადგა გამყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შედეგად. საქმის მასალებიდან დგინდებოდა რომ ქონება აღირიცხა ერთიანი საკადასტრო კოდით და გაერთიანდა სხვა მიწის ნაკვეთებთან. ამ გარემოების გათვალისწინებით სასამართლოს უნდა ემსჯელა ორი გარემოების შესახებ:

1. მიადგა თუ არა ზიანი გამყიდველს კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის შედეგად; 2. არსებობდა თუ არა განსახილველ შემთხვევაში ფულადი რესტიტუციის ვალდებულება სსკ-ის 352-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, იმ გარემოების გათვალისწინებით რომ შეუძლებელი იყო ნატურით რესტიტუცია ნაკვეთების გაერთიანების გამო³⁵⁰.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოსარჩელემ. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ვალდებულების შესრულება მყიდველების მიერ. კონტრაქტის მიხედვით ნასყიდობის საგნის ფასი განსაზღვრული იყო 1070 872 აშშ დოლარით, საიდანაც მოსარჩელეს ხელშეკრულების გაფორმების დღესვე მიღებული აქვს 161 781 აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე ვალდებულება არ იყო შეწყვეტილი შესრულების გამო, როგორც ეს დაასკვნა საქალაქო სასამართლომ. შესაბამისად, არსებობდა ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ გადაცემულის უკან დაბრუნების

³⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

³⁵⁰ იქვე

საფუძველი სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით³⁵¹. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დარღვეული იყო სამართლიანი სასამართლოს უფლება³⁵². სასამართლოს განმარტებით „სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება³⁵³“. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე არასრულყოფილად იყო განხილული. აქედან გამომდინარე იგი თავიდან უნდა დაბრუნებოდა საქალაქო სასამართლოს განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის საქალაქო სასამართლოსთვის დაბრუნების თაობაზე საკასაციო წესით იქნა გასაჩივრებული. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ იმსჯელა იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დგინდებოდა ნასყიდობის საგნის საფასურის სრულად გადახდის ფაქტი. თუმცა სუს-მა საქალაქო სასამართლოს მსგავსად მოახდინა ნასყიდობის

³⁵¹ იქვე

³⁵² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950, მე-6 მუხლი; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> ხელმისაწვდომი 30.11.2021 მდგომარეობით

³⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

ხელშეკრულების 1.4 მუხლის არასწორი ინტერპრეტაცია. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, თუ თანხა არ იქნებოდა გადახდილი სრულად ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში მაშინ მყიდველი გავიდოდა ხელშეკრულებიდან და აღდგებოდა თავდაპირველი მდგომარეობა. ეს ჩანაწერი სასამართლომ განმარტა შემდეგნაირად: თუ მყიდველს გადასახდელი ექნებოდა თანხის ნაწილი იგი ვერ დარეგისტრირდებოდა უძრავი ქონების მესაკუთრედ. მეორე მხრივ თუ მყიდველს გამყიდველისთვის გადასახდელი ექნებოდა რაიმე თანხა, მაშინ მას ეს საფასური უნდა დაებრუნებინა გამყიდველისთვის. ე.ი. საკასაციო სასამართლომ საჯარო რეესტრში მყიდველების მესაკუთრედ რეგისტრაციის ფაქტზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ შესრულებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება. ნაცვლად ამისა სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით კონტრაქტის ხელმოწერა წინ უსწრებდა ვალდებულების შესრულებას მყიდველების მიერ. აქედან გამომდინარე რეესტრში მყიდველების მესაკუთრედ რეგისტრაცია არ ადასტურებდა მათ მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას³⁵⁴.

საკასაციო სასამართლო შეეხო მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების საკითხსაც და აღნიშნა, რომ სსკ-ის 352.3-ე მუხლის დეფინიციაზე დაყრდნობით *„თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით³⁵⁵“*. ამ ნორმის გერმანული ანალოგია გსკ-ის 346 II 2 პარაგრაფი, რომლის თანახმად *„თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საპასუხო შესრულება, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიყენება საზღაურის თანხის გამოანგარიშების საფუძვლად³⁵⁶“*. სასამართლოს განმარტებით რადგან

³⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

³⁵⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 352-ე მუხლი

³⁵⁶ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის თანამშრომლობა (Giz), თბ., 2019, 346-ე პარაგრაფი; <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz->

მყიდველების მიერ ნაკისრი ვალდებულების მოცულობა განსაზღვრული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ამიტომ გამყიდველს უნდა აუნაზღაურდეს ის თანხა, რომელიც შეადგენს ნასყიდობის ფასს, თუმცა სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ დაუშვებელია ერთობლივად მოხდეს პირველადი და მეორეული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს მოთხოვნები კონკურენციაში არიან ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, გამყიდველი ვერ მოითხოვს ერთდროულად ხელშეკრულების შესრულებას და ზიანის ანაზღაურებას. სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთერთ საქმეზე განმარტა, რომ „პირველადი მოთხოვნის, ანუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების აღმოცენების სამართლებრივი საფუძველია. ამდენად, დაუშვებელია ერთდროულად მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების შესრულებაცა და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი უფლების გამოყენებაც. ამგვარ მოთხოვნათა კუმულაციურად განხორციელება დაარღვევდა ხელშეკრულების მხარეების ინტერესთა ბალანსს, სწორედ რასაც უზრუნველყოფს მეორადი მოთხოვნის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება³⁵⁷“. სასამართლომ განმარტა, რომ რადგან განსახილველ შემთხვევაში გამყიდველი გავიდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, შესაბამისად იგი ვეღარ მოითხოვდა კონტრაქტით განსაზღვრული პირობების შესრულებას და მყიდველებისთვის ნივთის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდევინების დაკისრებას. უნდა მომხდარიყო რესტიტუცია სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. ამ მიზნით სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა ხომ არ არსებობდა სსკ-ის 352-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით განსაზღვრული პირობები, შესაძლებელი იყო თუ არა რესტიტუცია ნატურით, ან არსებობდა თუ არა

[ge BGB GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4](https://www.ge.gov.ge/BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJgIZ1dvBKuKBh093sw4) ხელმისაწვდომი 30.11.2021 მდგომარეობით

³⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-12-12-2012

ფულადი რესტიტუციის შესაძლებლობა³⁵⁸. ნიშანდობლივია რომ ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო კვლავ შეცდომით მიუთითებს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში რესტიტუციის შესახებ და დასძენს რომ მოშლა არ წარმოშობს სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით რესტიტუციულ შედეგებს, რაც სასამართლოს აზრით ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის მთავარ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს³⁵⁹.

3.2.6.2. ფულადი რესტიტუცია ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი, მეორე და მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული ფულადი რესტიტუცია შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების საგანი უფლებრივად დაიტვირთება იმ მომენტამდე, ვიდრე მხარე გამოიყენებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. მაგალითად, ერთერთ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებიდან გასვლის გამო ნივთების გამოთხოვა მესამე პირის მფლობელობისგან და გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის იანვარში დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველმა შეიძინა სამკაულები, რომლებიც შემდგომში დააგირავა. გამყიდველმა უარი თქვა ხელშეკრულებაზე და მოითხოვა გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე იმ დაგირავებული ნივთების გამოთხოვა, რომლებიც წარმოადგენდნენ ნასყიდობის საგანს. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, თუმცა სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით დააკისრა მოპასუხეს ნივთების ღირებულების გადახდა.

³⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

³⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1209-1169-2016

სასამართლომ სწორად შეაფასა ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. გირავნობის მომენტში ნასყიდობის ხელშეკრულება ჯერ კიდევ ძალაში იყო³⁶⁰. შესაბამისად, მყიდველი ამ მომენტისთვის წარმოადგენდა ნივთის მესაკუთრეს და ჰქონდა უფლება დაეტვირთა მოძრავი ნივთები გირავნობით³⁶¹.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც. სასამართლომ განმარტა, რომ მყიდველი გირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში მართლზომიერად ფლობდა მოძრავ ნივთებს. ამიტომ მას ჰქონდა უფლება დაეტვირთა ისინი სანივთო უფლებით-გირავნობით, თუმცა რადგან გამყიდველი გავიდა ხელშეკრულებიდან, ხოლო ნატურით რესტიტუცია გამორიცხული იყო სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ფულადი რესტიტუცია. აქედან გამომდინარე მოპასუხეს დაეკისრა აპელანტისთვის იმ თანხის გადახდა, რომელიც შეადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის ფასს³⁶². სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პრაქტიკაზე, რომელიც დადგენილია კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ. პრაქტიკის მიხედვით, რომელიც ეფუძნება სსკ-ის 159-ე მუხლს. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე *„მართლზომიერი მფლობელი ყოველთვის ითვლება კეთილსინდისიერ მფლობელად, ვინაიდან მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე, კანონის ან მხარეთა შორის არსებული გარიგების თანახმად, ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. მაშასადამე, მართლზომიერი მფლობელობა მიუთითებს ობიექტურად არსებულ ფაქტორებზე, რაც ვლინდება მფლობელობის სამართლებრივი საფუძველით არსებობაში, ხოლო კეთილსინდისიერება სიტყვასიტყვითი*

³⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-865-2020

³⁶¹ იქვე

³⁶² იქვე

მნიშვნელობით შეიცავს სუბიექტურ ელემენტს – პირის დამოკიდებულებას ფაქტობრივი გარემოებების მიმართ. მართლზომიერი მფლობელია მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობა მესაკუთრის მფლობელობიდანაა წარმოქმნილი³⁶³.“ მართლზომიერი მფლობელი ასეთად მიიჩნევა იმ დრომდე, სანამ არსებობს ფლობის სამართლებრივი საფუძველი³⁶⁴. იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთებოდა გარემოებები, რომლის მიხედვითაც გირავნობის ხელშეკრულება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, მოისპობოდა ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველიც. სასამართლომ განმარტა, რომ რადგან აპელანტი ითხოვდა გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, მასვე ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი სსსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში აპელანტმა ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ ბათილი იყო ნივთების შექმნისა და მოგირავნეს შორის დადებული ხელშეკრულება³⁶⁵. მეორე მხრივ საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ აპელანტმა ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი. სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცების ტვირთის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება. საკუთრების უფლების შექმნის საფუძველს ქმნის რეალაქტი-საკუთრების შექმნა და მისი მყიდველისთვის საკუთრებაში გადაცემა. სასამართლოს განმარტების განსახილველ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოძრავი ნივთი, რომლის საკუთრებაში გადაცემისთვის არ იყო საჭირო რეგისტრაცია სავალდებულო წესით. აქედან გამომდინარე იმ მომენტიდან, როდესაც გასხვისდა ნასყიდობის

³⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-865-2020

³⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-948-910-2014

³⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-865-2020

ხელშეკრულების საგანი, მის შემძენს ჰქონდა უფლება დაეტვირთა იგი მფლობელობითი გირავნობით, რადგან გახდა ნივთების მესაკუთრე. შესაბამისად, არ არსებობდა არც გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი³⁶⁶.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი იყო ფულადი ანაზღაურება სსკ-ის 352-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, რადგან განსახილველ შემთხვევაში მოპასუხესა და მესამე პირს შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულება გამორიცხავდა ნასყიდობის საგნის ნატურით დაბრუნების შესაძლებლობას³⁶⁷.

3.3. ფულადი რესტიტუცია ხელშეკრულების საგნის განადგურების შემთხვევაში

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში რესტიტუციის მოვალემ კრედიტორს უნდა დაუბრუნოს გადაცემული საგნის ღირებულება იმ შემთხვევაშიც კი თუ საგანი არ დაღუპულა მოვალის ბრალით. მაგალითად, თუ მხარეებს შორის დადებულია განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება და გადაცემული ნივთი მისი ფასის გადახდამდე განადგურდება, დაზიანდება ან დაიკარგება მოვალემ უნდა გადაუხადოს ნივთის ფასი რესტიტუციის კრედიტორს, რაც თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნიდან გამომდინარეობს. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევა როდესაც მხარეები შეთანხმდებიან რომ საგნის გადაცემის შედეგად მყიდველზე არ გადადის მისი შემთხვევით დაღუპვის, დაკარგვის ან დაზიანების რისკი, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 482-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. აღნიშნული ნორმით დადგენილი წესისგან განსხვავებული შეთანხმება ანთავისუფლებს მოვალეს რესტიტუციის ვალდებულებისაგან სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის

³⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-865-2020

³⁶⁷ იქვე

თანახმად. თუ რესტიტუციის მოვალეს გადახდილი აქვს ნასყიდობის საგნის ფასის ნაწილი, მაშინ ფულადი რესტიტუცია ნივთის დარჩენილი ღირებულების გადახდაში გამოიხატება³⁶⁸.

ერთერთ საქმეზე მოსარჩელე-სოფლის მეურნეობის სამინისტრო ითხოვდა მოპასუხისთვის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის ღირებულების გადახდევინების დაკისრებას ძირითადი თანხის სახით 21363 ლარის ოდენობით. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო მოსარჩელე ასევე ითხოვდა მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს სახით 28.840 ლარის ოდენობით თანხის გადახდევინების დაკისრებას. მოსარჩელე ასევე ითხოვდა ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში გადაცემას, რაც შეუძლებელი იყო იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი გატაცებული იქნა 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი. ერთი მხრივ დააკისრა მოპასუხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულება-ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდა, ხოლო მეორე მხრივ ვალდებულების დაგვიანებით შესრულების გამო პირგასამტეხლოს გადახდა. მოპასუხეს ასევე დაეკისრა ხელშეკრულების საგნის მოსარჩელისთვის დაბრუნება³⁶⁹.

განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ მიიღო მცდარი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ დაუშვებელია ერთდროულად დაკმაყოფილდეს მეორეული და პირველადი მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში პირველად მოთხოვნას წარმოადგენდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება-განვადებით ნასყიდობის ფასის გადახდა, ხოლო მეორეულ მოთხოვნას ზიანის ანაზღაურება. მეორეული მოთხოვნები წარმოიშობა ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, როდესაც წყდება

³⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-12-12-2012

³⁶⁹ იქვე

მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა. გასვლის გამო მხარეები აღარ არიან ვალდებულები შეასრულონ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც წარმოადგენენ პირველად მოთხოვნებს. ამიტომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მოსარჩელემ დაკარგა შესაძლებლობა მოეთხოვა მოპასუხისთვის კონტრაქტით განსაზღვრული პირობების შესრულება. საქმის მასალებში იყო მოსარჩელის წერილი ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, რაც ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მხარეებს შორის შეწყვეტილი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობა და აღარ არსებობდა პირველადი-სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საფუძველი³⁷⁰. სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის გადაწყვეტილებაში არაერთხელ აღნიშნა, რომ „დაუშვებელია ერთდროულად მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების შესრულებაც და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი უფლების გამოყენებაც. ამგვარ მოთხოვნათა კუმულაციურად განხორციელება დაარღვევდა ხელშეკრულების მხარეების ინტერესთა ბალანსს, სწორედ რასაც უზრუნველყოფს მეორადი მოთხოვნის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება³⁷¹“. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოსარჩელეს მიეცა შესაძლებლობა ერთდროულად გამოეყენებინა პირველადი და მეორეული მოთხოვნები, რასაც შესაძლოა გამოეწვია მისი უსაფუძვლო გამდიდრება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სსკ-ის 352-ე მუხლის მიზანსაც, აღდგენილი იქნას ხელშეკრულების დადებამდე არსებული ვითარება, რაც გულისხმობს მხარეების დაბრუნებას იმ მდგომარეობაში, რომელიც არსებობდა კონტრაქტის საფუძველზე

³⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-865-2020

³⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-467-2020

შესრულებების გაცვლამდე³⁷². ნაცვლად ამისა საქალაქო სასამართლომ დააკისრა მოპასუხეს ნატურით რესტიტუციის მოვალეობა, ასევე პირგასამტეხლოს და ნასყიდობის საგნის ფასის გადახდა, რაც გამორიცხავდა რესტიტუციის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების საგანი აღარ არსებობდა. ამიტომ მეორეული მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა მომხდარიყო ფულადი რესტიტუციის გზით, სსკ-ის 352-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ნორმის ტექსტში კანონმდებელი მიუთითებს საგნის გაფუჭების, ან დაღუპვის შესახებ. თუმცა ეს ნორმა უნდა გავავრცელოთ ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც საგნის გატაცების გამო შეუძლებელია მისი დაბრუნება კრედიტორისთვის. ამავებე გაამახვილა ყურადღება სააპელაციო სასამართლომ. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სსკ-ის 482-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკიც. რადგან მხარეები ხელშეკრულების მიხედვით არ შეთანხმებულან განსხვავებულ პირობაზე, ამიტომ განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების საგნის დაღუპვის რისკი გადავიდა მყიდველზე. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით უნდა მომხდარიყო ფულადი რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ³⁷³. სააპელაციო სასამართლომ არასწორედ განმარტა სსკ-ის 352-ე მუხლით განსაზღვრული რესტიტუციის შინაარსი. რესტიტუცია გულისხმობს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას შესრულებების გაცვლების განხორციელებამდე. რადგან განსახილველ შემთხვევაში ნატურით რესტიტუცია იყო შეუძლებელი მოვალეს უნდა მოეხდინა ფულადი რესტიტუცია, რაც გამოიხატებოდა განვადებით ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდაში³⁷⁴. აღნიშნულის

³⁷² რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 297

³⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-12-12-2012

³⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-865-2020

საპირისპიროდ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რადგან მოსარჩელეს-სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გადაცემული ტექნიკა უნდა დაბრუნებოდა ცვეთის გათვალისწინებით, ხოლო მყიდველს გადაეცა ახალი ნივთი, რესტიტუციის შედეგად გამყიდველი არ იყო ვალდებული მყიდველისთვის დაებრუნებინა მის მიერ გადახდილი თანხა-16.023 ლარი³⁷⁵. ნაცვლად ამისა სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, რომ ფულადი რესტიტუცია განსახილველ შემთხვევაში გამოიხატებოდა მყიდველის მიერ გამყიდველისთვის ნივთის ღირებულების გადახდაში. უკვე გადახდილი თანხა წარმოადგენდა მყიდველის მიერ განხორციელებულ შესრულებას, ხოლო გადასახდელი ნაწილი იმ ვალდებულების ფარგლების შეესაბამებოდა, რომელიც უნდა შეესრულებინა მყიდველს. მთლიანობაში- გადახდილი და გადასახდელი თანხების ერთობლიობა წარმოადგენდა ხელშეკრულების საგნის ღირებულებას. ამიტომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა იმის საჭიროება, რომ სასამართლოს ემსჯელა ნივთის შემცირებული ფასის, ან მყიდველისთვის მის მიერ გადახდილის თანხის უკან დაბრუნების თაობაზე. დარჩენილი თანხის გადახდის შედეგად მყიდველი იხდიდა ნივთის ფასს იმ მდგომარეობის შესაბამისად, რომელშიც იგი გადაეცა. როგორც ხელშეკრულებიდან და საქმის მასალებიდან დგინდებოდა მყიდველს გადაეცა ახალი ტრაქტორი. შესაბამისად მის მიერ უნდა მომხდარიყო ახალი ტრაქტორის ფასის გადახდა, ხოლო ფულადი რესტიტუციის შემთხვევაში, რასაც განსახილველ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, ახალი ნივთის ღირებულების ანაზღაურება³⁷⁶. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა აპელანტის მოთხოვნას მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და აღნიშნა, რომ რადგან რესტიტუციის შედეგად მოპასუხეს აღარ

³⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-865-2020

³⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-12-12-2012

უბრუნდებოდა მის მიერ გადახდილი თანხა, ეს ფული ჩაითვლებოდა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. სასამართლოს განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნა ხელშეკრულებიდან გასვლის რესტიტუციული შედეგები და პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები. სასამართლოს უნდა ემსჯელა იმის თაობაზე რომ განსახილველ შემთხვევაში მყიდველის მიერ გადახდილი თანხა უნდა ჩათვლილიყო ფულადი რესტიტუციის ანგარიშში, ხოლო პირგასამტეხლო მას უნდა დაკისრებოდა კონტრაქტით განსაზღვრული დროულად ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სსკ-ის 419-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით. რადგან განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მყიდველის მიერ კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევას მას უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო ვალდებულების დარღვევის მომენტიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე³⁷⁷. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამყიდველი არ გავიდოდა ხელშეკრულებიდან და მოითხოვდა კონტრაქტის საფუძველზე მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მისი მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდებოდა, რადგან განსახილველ შემთხვევაში პირგასამტეხლო გათვალისწინებული იყო ვალდებულების დროულად შესრულებისთვის.³⁷⁸

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ მიიღო წარმობაში საკასაციო საჩივარი და განმარტა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა სსსკ-ის 391-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც დაუშვებლად იქნა ცნობილი. შესაბამისად, ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება³⁷⁹.

³⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-269-256-2016

³⁷⁸ მესხიშვილი, ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, გერმანიის თანამშრომლობა (giz), 97

³⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-12-12-2012

3.4. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის რესტიტუციული შედეგები

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გასვლა არ წარმოშობს უკვე შესრულებული ვალდებულებების სანაცვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულებას. მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში დამქირავებელი აბრუნებს ნაქირავებ ფართს, თუმცა რესტიტუციის კრედიტორი არ არის ვალდებული დაუბრუნოს მას ქირავნობის სანაცვლოდ გადახდილი თანხა, გარდა იმ თანხისა რომელიც მან გადაიხადა წინმსწრებად, იმისათვის რომ ესარგებლა ქირავნობის საგნით. ამასთან, წინმსწრებად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება წარმოადგენს იმის მაგალითს, რომ რესტიტუციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაშიც, როდესაც მხარის ინიციატივით ადგილი აქვს ხელშეკრულების მოშლას³⁸⁰. მაგალითად, ერთერთ საქმეზე აპელანტი ითხოვდა მის მიერ წინმსწრებად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადად ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას არ მოჰყვება რესტიტუცია, რადგან მხარეებმა უკვე მიიღეს ორმხრივი სარგებელი გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტამდე. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამქირავებელს გადახდილი აქვს თანხა იმ მომსახურებისთვის, რომლითაც ჯერ კიდევ არ უსარგებლია. ამ შემთხვევაში გადახდილი თანხა მოიცავს ხელშეკრულების იმ პერიოდს, რომელიც აღარ შედის მისი მოქმედების ვადაში სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის გამო. თუმცა სასამართლომ ჯერ უნდა შეამოწმოს დაცულია თუ არა ხელშეკრულების მოშლის/ხელშეკრულებიდან გასვლის ის წინაპირობები,

³⁸⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13; <http://library.court.ge/judgements/93822014-08-12.pdf?fbclid=IwAR16ESaPTwZoZqe1u00JcTmPt-4Qa4n2O2nZy3-XQhLtIJQ-VgNHMLqr4Qw> ხელმისაწვდომი 18.10.2021 მდგომარეობით

რომლებიც განსაზღვრულია სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით³⁸¹. ამ მუხლით განსაზღვრული წინაპირობების დარღვევით ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის შემთხვევაში არ წარმოიშვება რესტიტუციის საჭიროება, რადგან მიიჩნევა რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულდა არამართლობიერად, სსკ-ის 405-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. აქედან გამომდინარე არ მომხდარა მისი გადაყვანა რესტიტუციულ რეჟიმში, რაც შედეგად გამოიწვევდა სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეების მიერ მიღებული შესრულების უკან დაბრუნებას. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლა შესაძლებელია სსკ-ის 405-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველადაც, სსკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არსებობს ხელშეკრულების მოშლის პატივსადები საფუძველი³⁸².

სასამართლომ განმარტა, რომ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს რესტიტუციას, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის მეორე მხარეს არ ადგება ზიანი. მაგალითად, თუ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა მოხდება დამქირავებლის ინიციატივით, ისე რომ იგი არ შესთავაზებს გამქირავებელს მისთვის მისაღებ დამქირავებელს, გამქირავებელს ადგება ზიანი³⁸³. შესაბამისად, მას აქვს უფლება აღარ დაბრუნოს დამქირავებელს ქირავნობის წინმსწრებად გადახდილი საფასური, რომელიც ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. მისაღებ დამქირავებლად უნდა ჩაითვალოს პირი, რომელიც იმავე ვადით და იგივე პირობებით ქირაობს უძრავ ქონებას, რა პირობებითაც იგი ნაქირავები ჰქონდა დამქირავებელს. მაგალითად, თუ დამქირავებელი იხდიდა ქირას 300\$-ს, ხოლო მის მიერ შემოთავაზებული დამქირავებელი თანახმაა მხოლოდ 250\$-ის გადახდაზე, იგი არ უნდა ჩაითვალოს მისაღებ დამქირავებლად. ამასთან, დამქირავებელი უნდა

³⁸¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13

³⁸² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 399-ე მუხლი

³⁸³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13

სთავაზობდეს გამქირავებელს, ისეთ პირთან ქირავნობის ხელშეკრულების დადებას, რომელიც მზადაა იქირაოს უძრავი ქონება იმ ვადით, რომელიც დარჩენილია ქირავნობის ხელშეკრულების ამოწურვამდე³⁸⁴.

ერთერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ასევე იმსჯელა გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის რესტიტუციულ შედეგებზე და განმარტა, რომ ამხანაგობის ხელშეკრულების მოშლის შედეგად მხარეებს უნდა დაბრუნებოდათ ის ქონება, რომელიც მათ მიიღეს სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში, რაც ასევე ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ რესტიტუცია როგორც ნატურით, ასევე ფულადი სახით შეიძლება მოხდეს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში³⁸⁵. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების მართლზომიერი შეწყვეტა ქმნიდა რესტიტუციის შესაძლებლობას, თუმცა იგი არ გამოიხატებოდა მხარეების მიერ განხორციელებული შესრულებების უკან დაბრუნებაში. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მსგავსად³⁸⁶, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ განმარტა, რომ თუ შესრულება წარმოადგენს ანაზღაურებას ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადის ფარგლებში, მაშინ ასეთი შესრულება არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას³⁸⁷. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის გრძელვადიანი ხასიათი არ გამოირიცხავს რესტიტუციის სამართლებრივ შესაძლებლობას ყველა შემთხვევაში. ხელშეკრულების მოშლა იწვევს რესტიტუციას, თუ დაცულია სსკ-ის 405-ე და 399-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული

³⁸⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13

³⁸⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/7207-14

<http://library.court.ge/judgements/58022016-04-19.pdf?fbclid=IwAR13cMK5TbRLSVwaudd9bNHmh8RDAE0QKkVrEIRQaLIHavT7v1ceslbMeMs>

ხელმისაწვდომი 18.10.2021 მდგომარეობით

³⁸⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13

³⁸⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/7207-14

წინაპირობები. გრძელვადიანი ხელშეკრულებების შემთხვევაში რესტიტუცია შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების სახით. ე.ი. გრძელვადიანი ხელშეკრულებების მოშლა იწვევს მხოლოდ ცალმხრივ რესტიტუციას, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის დროს ადგილი აქვს ორმხრივ რესტიტუციას და უკვე მიღებული შესრულების უკან დაბრუნებას.

3.5. ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავი გარემოებები ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში

სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოთვლილია გარემოებები, რომლების არსებობის შემთხვევაშიც რესტიტუციის მოვალე არ არის ვალდებული მოახდინოს ფულადი რესტიტუცია. თუ საგნის ნაკლი, რომელიც იძლევა ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის უფლებას გამოვლინდება მისი გადამუშავების, ან გარდაქმნის დროს მოვალეს არ ეკისრება ფულადი რესტიტუციის ვალდებულება. იგულისხმება ისეთი შემთხვევა როდესაც მიწოდებული პროდუქციის საფასურია გადასახდელი, თუმცა მისი გადამუშავების და გარდაქმნის დროს მიწოდებული პროდუქციის ნაკლის გამო ვერ ხერხდება იმ პროდუქტის წარმოება, რომლის შესაქმნელადაც მოხდა ნაკლოვანი პროდუქციის მიწოდება. მაგალითად, თუ მოვალეს მიეწოდება უხარისხო ფქვილი, რომლის გამოყენებით იგი გამოაცხობს დაბალი ხარისხის პურს მას არ დაეკისრება მიღებული ფქვილის ღირებულების გადახდის ვალდებულება, რადგან მიწოდებული პროდუქციის ნაკლი ვლინდება ნაწარმის გადამუშავების შედეგად³⁸⁸. ამ ნორმის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ მიწოდებული პროდუქტის ნაკლოვანებაში მოვალეს ბრალი არ მიუძღვის. ამიტომ იგი არ არის ვალდებული მოახდინოს ფულადი რესტიტუცია. არასწორია იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი ვრცელდება მხოლოდ იმ

³⁸⁸ ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 248

შემთხვევების მიმართ, როდესაც საგნის ნაკლი გადამუშავების, ან გარდაქმნის შედეგად გამოვლინდა³⁸⁹. საჭიროა ნორმის არა სიტყვასიტყვით განმარტება, არამედ მისი კონტექსტის, იმ მიზნის გააზრება რომელსაც კანონმდებელი ისახავდა აღნიშნული ჩანაწერის გამოყენებით. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის მიზანია დაიცვას მოვალის ინტერესები იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობა მთავრდება ისეთი მიზეზით, რომელიც არ არის გამოწვეული მოვალის ბრალით და წარმოიშობა რესტიტუციის მოვალეობა. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტი უნდა გავრცელდეს ისეთი შემთხვევების მიმართაც, როდესაც საგნის ნაკლი ვლინდება სხვა საგანთან მისი შეერთების, ან შერევის შედეგად³⁹⁰. იმ შემთხვევაში თუ ნივთის მყიდველი მეწარმეა იგი ვალდებულია შეამოწმოს ნივთი. თუ ნივთს აღმოჩნდება ნაკლი მეწარმე არ არის ვალდებული მოახდინოს ფულადი რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის შემთხვევაში. სსკ-ის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით თუ ნივთის ნაკლის აღმოჩენის შემდეგ შესაბამის ვადაში, ან იმ ვადაში რომელშიაც მეწარმისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ნივთის ნაკლის შესახებ, იგი არ წარუდგენს პრეტენზიას რესტიტუციის კრედიტორს მაშინ უნდა მოახდინოს ფულადი რესტიტუცია სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. აქედან გამომდინარე სსკ-ის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მოვალე ვალდებულია რესტიტუციის კრედიტორს გადაუხადოს ნივთის ღირებულება³⁹¹. შესაბამისად, იგი ვერ მიუთითებს სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ გარემოებებზე, რომლებიც გამორიცხავენ ფულადი რესტიტუციის ვალდებულებას სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ.

³⁸⁹ ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 513

³⁹⁰ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 304

³⁹¹ ჩაჩავა, ს., სსკ-ის 495-ე მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება 30.03. 2016; 1;

3.5.1. კრედიტორის ბრალი როგორც ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავი გარემოება

იმ შემთხვევაში თუ საგნის დაღუპვა, ან გაფუჭება მოხდება კრედიტორის ბრალით მოვალეს არ დაეკისრება ფულის გადახდის ვალდებულება სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ნივთის გაფუჭებად უნდა მივიჩნიოთ მისი მდგომარეობის ყველანაირი ნეგატიური ცვლილება: ნაწილების მოძრობა, ზედაპირის დაზიანება, ნივთის მთლიანობის დარღვევა და ა.შ. შესაძლოა ნივთს არ აღენიშნებოდეს გარეგნული ნაკლი, თუმცა მისი გამოყენების შესაძლებლობა შეიზღუდოს საგანზე ზემოქმედების შედეგად, რაც ასევე უნდა იქნას მიჩნეული ნივთის გაფუჭებად. ნივთის დაღუპვა ნიშნავს მის სრულ განადგურებას. იმ შემთხვევაში თუ ნივთი არ გაფუჭებულა ან განადგურებულა კრედიტორის ბრალით, მოვალე ვალდებულია აანაზღაუროს მისი ღირებულება იმ შემთხვევაშიც კი თუ ნივთის დაზიანება ან განადგურება მოხდა დაუძლეველი ძალის შედეგად³⁹². ნივთის განადგურება, ან მისი დაზიანება კრედიტორის ბრალით და დაუძლეველი ძალის შედეგად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ფულადი რესტიტუციის თვალსაზრისით. ბრალის შინაარსიდან გამომდინარეობს ის, რომ კრედიტორის ბრალეულობის შემთხვევაში ნივთის გაფუჭება, ან განადგურება გამორიცხავს ფულადი რესტიტუციის შესაძლებლობას რესტიტუციის მოვალის მიერ. ბრალი არის ზიანის მიმყენებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი, ან კანონისმიერი ვალდებულებების დარღვევის უარყოფითი შედეგი, როდესაც პირი აცნობიერებს, რომ მის მოქმედებას მოჰყვება ზიანი³⁹³. მნიშვნელობა არ აქვს სურდა თუ არა კრედიტორს ზიანის დადგომა. მთავარია რომ ზიანი დადგეს მის მიერ განხორციელებული

³⁹² რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 301

³⁹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/22430-19

ქმედების, ან უმოქმედობის გამო. ე.ი. არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი კრედიტორის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის³⁹⁴.

რადგან კანონმდებელი ზოგადად მიუთითებს კრედიტორის ბრალეულობაზე, როგორც მოვალის მიერ ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავ გარემოებაზე, საგნის დაზიანება ან განადგურება კრედიტორის თანაბრალეულობის შემთხვევაში ასევე უნდა მივიჩნიოთ მოვალის მიერ ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავ გარემოებად³⁹⁵. კრედიტორის თანაბრალეულობა უნდა გამორიცხავდეს ფულად რესტიტუციას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მას მიუძღვის ბრალი ნივთის დაზიანებაში, ან განადგურებაში. თუმცა ცალსახად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. ნორმის იმგვარი ინტერპრეტაციაც შესაძლებელია, რომლის თანახმად კრედიტორის თანაბრალეულობის შემთხვევაში მოვალე ვალდებულია მოახდინოს ფულადი რესტიტუცია. სამწუხაროდ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არცერთი ინსტანციის სასამართლოდ არ უმსჯელია ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავი გარემოებების თაობაზე სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით, მათ შორის არც კრედიტორის თანაბრალეულობის შემთხვევაში ფულადი რესტიტუციის მოთხოვნის უფლების შესახებ. აქედან გამომდინარე ვერ მოხდება იმ მიდგომების ანალიზი, რომლებიც დამკვიდრებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში კრედიტორის თანაბრალეულობის შემთხვევაში ნივთის დაზიანების, ან განადგურების დროს რესტიტუციული შედეგების თაობაზე. მეორე მხრივ არსებობს სასამართლო პრაქტიკა დაზარალებულის თანაბრალეულობის შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის შემცირების შესახებ სსკ-ის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხზე გვიჩვენებს, რომ სასამართლო საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით აფასებს რამდენი პროცენტითაა

³⁹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/22430-19

³⁹⁵ რუსიაშვილი, გ., დარჯანია, თ., მაისურაძე, დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2020, 316

ზიანის დადგომაში ზიანის მიმყენებელი და რამდენით დაზარალებული პირი. ზიანის დადგომაში მისი მიმყენებლის ბრალის შესაბამისად სასამართლო განსაზღვრავს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას. სასამართლო მხედველობაში იღებს იმასაც, ზიანის მიმყენებელმა განზრახი ქმედების შედეგად გამოიწვია ზიანის დადგომა თუ გაუფრთხილებლობის შედეგად³⁹⁶. გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა როგორც წესი ჩამოუვარდება იმ შემთხვევების საკომპენსაციო თანხების ოდენობას, როდესაც ზიანის მიყენება განზრახი ქმედების შედეგია. ერთერთ საქმეზე სასამართლომ იმსჯელა თანაბრალეულობის თაობაზე ზიანის საკომპენსაციო ოდენობის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ ზიანის დადგომაში 85%-ით ბრალეული იყო დამსაქმებელი და 15%-ით დასაქმებული³⁹⁷. აქედან გამომდინარე დასაქმებულის მიერ შრომისუნარიანობის 90%-ით დაკარგვის გამო უნდა მომხდარიყო ზიანის 85%-ით ანაზღაურება. სასამართლომ ზიანის სრულ მოცულობას გამოაკლო ის პროცენტული წილი, რომლის დადგომაც განაპირობა დაზიანებულის ბრალეულმა ქმედებამ. აქედან გამომდინარე დაზიანებულის თანაბრალეულობა არ გამორიცხავს მისთვის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 415-ე მუხლის მიხედვით რეგულირდება ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის ბრალეული ქმედების შემთხვევაში, ხოლო სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით მოწესრიგებულია ფულადი რესტიტუციის საკითხი, სავარაუდოა რომ სასამართლო თანაბრალეულობის საკითხზე მსჯელობისას არ გადაუხვევს იმ მიდგომებს რომლებიც დამკვიდრებულია ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში განისაზღვრება, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში კრედიტორის თანაბრალეულობა არ გამორიცხავს მისთვის ზიანის ანაზღაურებას, თუმცა

³⁹⁶ ჩიკვაშვილი, შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 388

³⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ას-311-293-2014

ამცირებს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობას იმ ბრალის შესაბამისად, რომელიც კრედიტორს მიუძღვის მის დადგომაში.

სხვა საკითხია როგორ განსაზღვრავს სასამართლო კრედიტორის თანაბრალეულობის პროცენტულ წილს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს რაიმე კონკრეტული ფორმულა, რომლის მიხედვითაც გამოითვლება დაზარალებულის ბრალის პროცენტული წილი ზიანის დადგომაში. სასამართლო ბრალეულობის ხარისხს აფასებს საკუთარი შეხედულების შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. მაგალითად, ერთერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ თანაბრალეულობის შემთხვევაში დაზიანებულს აუნაზღაურდება ზიანი იმ შემთხვევაში თუ მეტწილად იგი გამოწვეულია ზიანის მიმყენებლის ბრალით. სასამართლომ ზიანის მიმყენებლიდ ბრალი 70%-ით შეაფასა და აღნიშნა, რომ ამ პროცენტული წილის დადგენისას იგი დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს³⁹⁸, რაც ადასტურებს იმ მოსაზრებას რომ თანაბრალეულობის შემთხვევაში ბრალის დადგომაში პროცენტული წილის განსაზღვრა სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული.

3.5.2. ფულადი რესტიტუციის გამორიცხვა უფლებამოსილ პირთან შენახული საგნის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში

რესტიტუციის მოვალეს არ ეკისრება ფულადი რესტიტუციის ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ საგანი რომელიც გაფუჭდა ან დაიღუპა მასთან ინახებოდა და იგი უვლიდა ნივთს როგორც საკუთარს³⁹⁹. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად ფულადი რესტიტუციის ვალდებულებისგან თავისუფლდება უფლებამოსილი პირი. ამ ტერმინით კანონმდებელი აღნიშნავს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის

³⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-608-2021

³⁹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 352-ე მუხლი

უფლების მქონე პირს⁴⁰⁰. გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი ანალოგიურად არეგულირებს აღნიშნულ საკითხს და არ აკისრებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირს ფულადი რესტიტუციის მოვალეობას. განსხვავებით სსკ-ისგან გსკ-ში კანონმდებელი იყენებს ტერმინს „ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირი“, რაც უფრო ზუსტად გამოხატავს ნორმის შინაარსს ვიდრე მისი ქართული ანალოგი⁴⁰¹. რადგან უფლებამოსილ პირში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირი იგულისხმება მიზანშეწონილია სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქტირება გსკ-ის 346-ე პარაგრაფის ანალოგიურად. შედეგად სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირთან, რომელიც მას ექცეოდა ისეთივე მზრუნველობით როგორც საკუთარ ნივთს“.

სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტისა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი პირი განზრახ დააზიანებს ნივთს იგი არ თავისუფლდება ფულადი რესტიტუციის ვალდებულებისგან. ფულადი რესტიტუცია შესაძლებელია გამოირიცხოს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირის მიერ ნივთის გაუფრთხილებლობის შედეგად დაზიანების, ან განადგურების შემთხვევაში. გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომების მიხედვით გაუფრთხილებლობის შედეგად ნივთის მოსპობა, ან დაზიანება უფლებამოსილი პირის მიერ გამორიცხავს ფულადი რესტიტუციის შესაძლებლობას. რადგან გსკ-ის 346-პარაგრაფის მე-3 ნაწილი სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის ანალოგიურია სავარაუდოდ ქართული სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართულებით განვითარდება. ნორმის განმარტებისას უნდა გავითვალისწინოთ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის მიზანი,

⁴⁰⁰ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 305

⁴⁰¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის თანამშრომლობა (Giz), თბ., 2019, 346-ე მუხლი

რაც გასვლის უფლების მქონე პირის პრივილეგირებულ მდგომარეობას ქმნის⁴⁰². კანონმდებელი იცავს გასვლის უფლების მქონე პირის ინტერესებს იმ შემთხვევაში, თუ ნივთი განადგურდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მეორე მხრივ გასვლის უფლების მქონე პირის პრივილეგია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უფლებამოსილი პირისგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოიშობა. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტი არ მიუთითებს იმის შესახებ, მოქმედებს თუ არა უფლებამოსილი პირის პრივილეგია, როდესაც ნივთის გაფუჭება ან დაზიანება ხდება მას შემდეგ რაც უფლებამოსილი პირი განახორციელებს გასვლის უფლებას, თუმცა თუკი ნორმის მიზნებს გავითვალისწინებთ უფლებამოსილი პირის პრივილეგიით არ უნდა იქნას მოცული ასეთი შემთხვევები. მას შემდეგ რაც გასვლის უფლება განხორციელდება არც უფლებამოსილი პირის პრივილეგია აღარ უნდა მოქმედებდეს. ამავე ლოგიკით უფლებამოსილი პირის პრივილეგია არ იცავს რესტიტუციის მოვალეს იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის დაზიანების ან განადგურების დროს მან იცის გასვლის უფლების მქონე მიზეზის, ან მიზეზების შესახებ. აქედან გამომდინარე ნივთის განადგურების და დაზიანების რისკი გადადის რესტიტუციის კრედიტორზე. თუმცა გასვლის უფლების მქონე პირის მიერ ამ უფლების განხორციელებამდე, ან გასვლის უფლების მიზეზის შეტყობამდე უფლებამოსილი პირის პრივილეგია იცავს მას ფულადი რესტიტუციის ვალდებულებისგან⁴⁰³. საკამათოა უნდა გადადიოდეს თუ არა გასვლის უფლების გაცხადების შემდეგ უფლებამოსილ პირზე ხელშეკრულების საგნის შემთხვევით დაღუპვის რისკი. ერთერთი მოსაზრების მიხედვით გასვლის უფლების განხორციელების შემდეგ იგი პასუხს აგებს მხოლოდ ნივთის

⁴⁰² რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 305

⁴⁰³ მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008,134

გაუფრთხილებლობით დალუპვის, ან დაზიანებისთვის⁴⁰⁴. ამ მოსაზრების თანახმად გასვლის უფლების რეალიზება არ ანთავისუფლებს უფლებამოსილ პირს ნივთის დალუპვის რისკისგან. შესაბამისად, უფლებამოსილი პირის სასარჩელო მოთხოვნა სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ფულადი რესტიტუციის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს თუ ნივთი მასთან ყოფნისას დაზიანდება ან დაილუპება.

უფლებამოსილი პირის პრივილეგია არ უნდა იცავდეს გასვლის უფლების მქონე პირს ისეთ შემთხვევაში, როდესაც იგი განაცხადებს გასვლის უფლების შესახებ, ხოლო გადაცემული საგანი დაზიანდება, ან დაილუპება გასვლის უფლების რეალიზების შემდეგ. ნივთის შემთხვევით დალუპვის ან დაზიანების რისკი გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ უნდა გადადიოდეს უფლებამოსილ პირზე, რაც გამომდინარეობს სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ნორმატიული შინაარსიდან. ამ ნორმის პირველ ნაწილში კანონმდებელი საუბრობს რესტიტუციის ვალდებულებაზე ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ. შესაბამისად, გასვლის გაცხადების მომენტიდან უფლებამოსილი პირის პრივილეგიით აღარ უნდა იყოს დაცული ხელშეკრულების მხარე, რომელიც იყენებს გასვლის უფლებას. ნიშანდობლივია, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის ტექსტში კანონმდებელი მიუთითებს უფლებამოსილ პირთან ყოფნის დროს ნივთის დალუპვის შესახებ, რაც გამორიცხავს რესტიტუციის შესაძლებლობას⁴⁰⁵. ე.ი. აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ ნივთი იმყოფება გასვლის უფლების მქონე პირთან. კანონმდებელი აღნიშნული ნორმის ტექსტში არ აკეთებს აქცენტს იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება დამოკიდებულია გასვლის უფლების გამოყენების მომენტზე, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად გასვლის უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინების განხორციელებაში. ამიტომ უფლებამოსილი პირის პრივილეგიამ არ უნდა

⁴⁰⁴ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 305

⁴⁰⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, 352-ე მუხლის მე-4 ნაწილი, „გ“ პუნქტი

დაიცვას ხელშეკრულების მხარე თუ ადგილი ექნება სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. არსებითად გასვლის უფლების რეალიზების შემდეგ ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილ პირადაც არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ კონტრაქტის მონაწილე მხარეები გარდაიქმნებიან რესტიტუციის მოვალედ და კრედიტორად. აქედან გამომდინარე ნივთის დაზიანება ან განადგურება უფლებამოსილ პირთან ყოფნის დროს უნდა გამორიცხავდეს ფულადი რესტიტუციის შესაძლებლობას სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით. სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე უფლებამოსილი პირის პრივილეგია არ უნდა იცავდეს მას არც ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც ნივთის დაზიანება ან განადგურება ხდება მას შემდეგ, როდესაც უფლებამოსილი პირი შეიტყობს გასვლის უფლების საფუძვლის თაობაზე⁴⁰⁶. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ ამ უფლების შეტყობინების შემდეგ უფლებამოსილმა პირმა იცის ნივთის ნაკლის თაობაზე და უნდა განაცხადოს გასვლის უფლება. თუ პირი არ განახორციელებს გასვლის უფლებას მას შემდეგ, რაც აღმოაჩენს ნივთის ნაკლს, იგი კარგავს გასვლის უფლების გამოყენების შესაძლებლობას და აღარ არის დაცული უფლებამოსილი პირის პრივილეგიით. შესაბამისად, თუ ნივთი დაზიანდება ან დაიღუპება მას შემდეგ რაც უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს მის ნაკლს, იგი კარგავს ფულადი რესტიტუციის შესაძლებლობას⁴⁰⁷.

⁴⁰⁶ აქედან გამომდინარე არასწორია რუსიაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლებამოსილი პირის პრივილეგია იცავს მას ნივთის შემთხვევით დაღუპვის შემთხვევაში მას შემდეგ რაც იგი შეიტყობს გასვლის უფლების გამოყენების მიზეზების შესახებ, ან გავა ხელშეკრულებიდან. იხ. რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გერმანიის თანამშრომლობა, (Giz), თბ., 2019, 305

⁴⁰⁷ Legal consequences of withdrawal according to § 346 BGB; <https://www.juraindividuell.de/artikel/die-rechtsfolgen-des-ruecktritts-nach-346-bgb/?fbclid=IwAR3NgqqeZZ46IFkWrE4lXj7tzQbIODgN7v5pOgkF3UZazfHZn5Pt-68tKo> ხელმისაწვდომი 18.10.2021

პრობლემურია ისეთი შემთხვევების დროს უფლებამოსილ პირზე ფულადი რესტიტუციის ვალდებულების დაკისრების საკითხის გადაწყვეტა, როდესაც ნივთი ზიანდება, ან ნადგურდება კრედიტორისთვის მის დაბრუნებამდე. მაგალითად, თუ გასვლის უფლების განცხადების შემდეგ ნატურით რესტიტუციის მიზნით მყიდველი გადაწყვეტს გადასცეს მანქანა გამყიდველს და მასთან შესახვედრად მიმავალი მოხვდება ავარიაში გაუფრთხილებლობის შედეგად, რის გამოც დაზიანდება მანქანა, მას არ უნდა დაეკისროს ფულადი რესტიტუციის მოვალეობა⁴⁰⁸. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ მყიდველი ცდილობდა მოეხდინა ნატურით რესტიტუცია იმ მიზეზების გამო, რომელიც არ წარმოშობილა მისი ბრალით. რადგან უფლებამოსილი პირის პრივილეგიის მიზანია დაიცვას პირი ფულადი რესტიტუციის ვალდებულებისგან, პრივილეგია უნდა გავრცელდეს ისეთი შემთხვევების მიმართაც, როდესაც ნივთი ზიანდება, ან ისპობა მისი დაბრუნების მცდელობის დროს. ეს შემთხვევა უნდა განვასხვავოთ ფულადი რესტიტუციის გამომრიცხავი იმ გარემოებისგან, რომელიც განსაზღვრულია სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით. ხელშეკრულებიდან გასვლის დროს ნივთის გადაცემის მიზნით ავტომანქანის დაზიანებისას თავისთავად გამორიცხულია უფლებამოსილი პირის მიერ ფულადი რესტიტუციის თაობაზე დაყენებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან დაზიანების მომენტში ხელშეკრულების საგანი მის მფლობელობაში იმყოფება. უფლებამოსილი პირის პრივილეგია იცავს მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რაც ერთმანეთისგან განსხვავებული გარემოებებია. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტში არ მიუთითებს ნივთის შერევის, გარდაქმნის ან გადამუშავების შემთხვევებზე, აღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე იგი გამორიცხავს უფლებამოსილი პირის მიერ ფულად რესტიტუციას, როდესაც ადგილი აქვს ზემოაღნიშნულ გარემოებებს. ნორმის სულისკვეთებიდან გამომდინარე იგი

⁴⁰⁸ Legal consequences of withdrawal according to § 346 BGB

უნდა გავრცელდეს ისეთი შემთხვევების მიმართაც, როდესაც ხდება ნივთის ქურდობა სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში⁴⁰⁹. მესამე პირის მიერ ჩადენილმა ბრალეულმა ქმედებამ არ უნდა წარმოშვას უფლებამოსილი პირის მიერ ფულადი რესტიტუციის მოვალეობა. საგნის უფლებამოსილ პირთან შენახვის შემთხვევაში მისი გაფუჭების, დაღუპვის, ქურდობის, შერევის ან გარდაქმნის შემთხვევაში დარჩენილი საგანი/პროდუქცია უნდა დაუბრუნდეს რესტიტუციის კრედიტორს უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

3.6 ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევაში

სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევას უფლებამოსილ პირს აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება 394-ე მუხლის მიხედვით. რადგან სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევაზე, სსკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით უნდა ანაზღაურდეს ზიანი, რომელიც გამოწვეულია კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, რაც გამომდინარეობს სსკ-ის 394-ე მუხლიდან, არ გულისხმობს ზიანს, რომელიც მხარეს მიადგა ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად⁴¹⁰. ეს გარემოებები

⁴⁰⁹ კროკპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014, 245; ამავეზე მიუთითა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ როდესაც იმსჯელა საომარი მოქმედებების დროს ტრაქტორის მოტაცების შემდეგ მოვალისთვის ფულადი რესტიტუციის ვალდებულების დაკისრების თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ტრაქტორის მოტაცების შემთხვევის მიმართ უნდა გავრცელებულიყო სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი; იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-12-12-2012

⁴¹⁰ ახვლედიანი, ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999, 35

უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან. ხელშეკრულებიდან გასვლა არ წარმოშობს ზიანს. ზიანი განპირობებულია ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით ანაზღაურდება სახელშეკრულებო ზიანი. ამავეზე მიუთითებს როგორც სსკ-ის 352-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი, ასევე სსკ-ის 394-ე მუხლიც, რომლის სათაურია ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას, რაც გულისხმობს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებით. იგი მოიცავს ზიანის ანაზღაურების შემთხვევათა გაცილებით ფართო სპექტრს. კერძოდ, სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს ამავე ნორმის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად განსაზღვრულია რესტიტუციის ვალდებულება. ამიტომ რესტიტუციის ვალდებულების დარღვევა ისევე წარმოადგენს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით ზიანის ანაზღაურების საფუძველს, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის რეგულირების სფერო სცდება კონტრაქტის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევებს. მხარეებს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ აკისრიათ რესტიტუციის ვალდებულება, რაც მიღებული შესრულებისა და სარგებელის ერთმანეთისთვის დაბრუნებაში გამოიხატება. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უკან ბრუნდება მხოლოდ წინასწარ განხორციელებული შესრულება, თუ მოშლის შედეგად კრედიტორს არ ადგება ზიანი⁴¹¹. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მხარეს გადაეცემა დაზიანებული ნივთი, ან მოხდება მისი გადაცემის

⁴¹¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2867-13
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/7207-14

დაყოვნება, მხარეს აქვს უფლება ამ გარემოებაზე დაყრდნობით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება⁴¹². ამავეზე მიუთითებს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ადგილი აქვს ამავე ნორმის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვალდებულებათა დარღვევას. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში რესტიტუციის მოვალემ უნდა დააბრუნოს საგანი იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი უნდა იყოს ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ იგი დააზიანებს გადაცემულ საგანს, დააყოვნებს მის დაბრუნებას ან დააბრუნებს ნივთს გაუარესებულ მდგომარეობაში რესტიტუციის კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ზიანი. ეს ვალდებულება გამომდინარეობს რესტიტუციის მიზნიდან-აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა შესრულებების გაცვლამდე. ეს ვითარება ვერ იქნება აღდგენილი იმ შემთხვევაში თუ რესტიტუციის შედეგად კრედიტორი ჩავარდება იმაზე უარეს მდგომარეობაში ვიდრე იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებამდე⁴¹³. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანია იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების გარეშე⁴¹⁴. ამ მიზნით ზიანის ანაზღაურების მეშვეობით ხდება იმ ქონებრივი დანაკლისის კომპენსაცია, რომელიც მიაღწა დაზიანებულ პირს⁴¹⁵. რადგან ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი ერთი და იგივეა ყველა შემთხვევაში აღნიშნული განმარტებები მიესადაგება სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას.

რესტიტუციის ვალდებულების დარღვევას ექნება ადგილი იმ შემთხვევაში თუ მხარეები ერთდროულად არ განახორციელებენ

⁴¹² ახლედანი, ზ., ვალდებულებითი სამართალი, 1999, 35

⁴¹³ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 307

⁴¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-52-48-2017

⁴¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-424-397-2017 თარიღი 29/09/2017

ვალდებულებას დაუბრუნონ ერთმანეთს გადაცემული შესრულება, რაზედაც მიუთითებს სსკ-ის 354-ე მუხლი. მაგალითად, როდესაც მხარეებს შორის წყდება სახელშეკრულებო ვალდებულება მყიდველი უბრუნებს გამყიდველს ნივთს, ხოლო გამყიდველი აბრუნებს თანხას. ეს ვალდებულება ერთდროულად უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზიანებულ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით⁴¹⁶.

3.6.1. ანაზღაურებადი ზიანის სამართლებრივი ბუნება

ზიანი, რომელზეც მიუთითებს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი არაფრით განსხვავდება ქონებრივი ზიანისგან, რომელიც წარმოიშვება ხელშეკრულების დარღვევის შედეგად. ე.ი. ის გარემოება, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე, არ ანიჭებს ამ შემთხვევას რაიმე სპეციფიურ ხასიათს, რაც მას განასხვავებდა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების სხვა შემთხვევებისგან. ამავდროულად მიუთითებს ზიანის განმარტებები, რომლებსაც სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატა იყენებს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების შემთხვევების მიმართ. მაგალითად, ერთერთ გადაწყვეტილებაში სუს-ის სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ 411-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დადგენილ გარემოებებს⁴¹⁷. სსკ-ის მიხედვით განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის და ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის. აქედან გამომდინარე სასამართლო არ განასხვავებს ზიანის ანაზღაურებას სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის

⁴¹⁶ ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 254

⁴¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-689-2019

მიხედვით, მისი კომპენსაციის სხვა შემთხვევებისგან. ამავეზე მიუთითებს სასამართლოს მიერ ერთერთ გადაწყვეტილებაში ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ზოგადი ნორმების გამოყენება, როდესაც იგი მსჯელობდა ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნიშნავს პირის მიმართ წარმოშობილი ზიანის კომპენსაციას სხვა პირის მიერ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან, სხვა შემთხვევაში სამართლებრივი მოწესრიგებით⁴¹⁸“. აქედან გამომდინარე მნიშვნელობა არ აქვს ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მოხდება თუ არა. ორივე შემთხვევაში ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას აქვს ადგილი. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. შესაძლოა მხარემ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლის, ან მეორე მხარის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო მორალური ზიანიც განიცადოს, თუმცა იგი არ ანაზღაურდება არამართო სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, არამედ ზოგადად სსკ-ის ნორმების საფუძველზე⁴¹⁹.

რადგან სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მის მიმართ ვრცელდება სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ზოგადი ნორმები. მაგ: სსკ-ის 395-ე, 408-ე, 410-ე, 411-ე, 412-ე, 414-ე, 415-ე მუხლები. რადგან სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება, იგი არ წარმოადგენს დელიქტური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს. სსკ-ის 352-ე მუხლის

⁴¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1209-1169-2016

⁴¹⁹ არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ სსკ-ის 18-ე და 413 მუხლების მიხედვით. ამას გულისხმობს სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1129-2020

მიხედვით შეიძლება ანაზღაურდეს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ზიანი. პოზიტიურია ზიანი, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, როდესაც მხარემ განიცადა ქონებრივი დანაკარგი⁴²⁰. პოზიტიური ზიანია მიუღებელი შემოსავალი⁴²¹, რაც ისევე ანაზღაურდება სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, როგორც ის ზიანი, რომელიც მხარეს მიადგა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შედეგად. ნეგატიური ზიანი გამოიხატება იმ ხარჯებში, რომელიც მხარემ გაწია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით. მაგალითად, თუ პირმა აიღო ბანკის სესხი ბინის ღირებულების დაფარვის მიზნით, ხოლო ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მას არ გადაეცა ბინა, ბანკისთვის ხელშეკრულებიდან გასვლამდე გადახდილი პროცენტი წარმოადგენს ნეგატიურ ზიანს⁴²².

3.6.2. ზიანის ანაზღაურების წინაპირობები ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ

სსკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ მოვალე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს. ზიანის ანაზღაურების საფუძველი სსკ-ის 394-ე და 352-ე

⁴²⁰ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 728

⁴²¹ ჩიტაშვილი, ნ., ბურდული, ი., ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, როგორც ზოგადი კერძო სამართლის დამცავი ფუნქციის ფუნდამენტი, წელიწადეული, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, 2020, 48;
<https://www.tou.edu.ge/files/law%20eco%20center/%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%202020.pdf> ხელმისაწვდომი 08.12.2021 მდგომარეობით

⁴²² ჩიტაშვილი, ნ., ბურდული, ი., ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, როგორც ზოგადი კერძო სამართლის დამცავი ფუნქციის ფუნდამენტი, წელიწადეული, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, 2020, 42

მუხლების მიხედვით შეიძლება იყოს მხოლოდ რესტიტუციის მოვალის ბრალეული ქმედება⁴²³, რაც გულისხმობს როგორც განზრახვას, ასევე გაუფრთხილებლობას. სამოქალაქო სამართალში არსებობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებიც. მაგ. სსკ-ის 999-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს იმისდა მიუხედავად ეკისრება თუ არა მას ბრალი ზიანის დადგომაში⁴²⁴. თუმცა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გამორიცხულია სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ისევე როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურების სხვა შემთხვევებში, კრედიტორის ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ რესტიტუციის მოვალეს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება თუ სახეზე ქონებრივი ზიანის კომპენსაციის წინაპირობები: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი, მიზეზშედეგობრივი კავშირი და დამდგარი შედეგი. ზიანის ანაზღაურების აღნიშნული წინაპირობები კუმულატიურია. ეს წინაპირობები უნდა არსებობდეს როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში. თუ სახეზე არ არის ზიანის ანაზღაურების რომელიმე ზემოაღნიშნული წინაპირობა ზიანი არ ანაზღაურდება არც სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით და არც ზოგადად, სსკ-ის შესაბამისად⁴²⁵.

3.6.3. ზიანის მიყენების მომენტი სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით

რადგან სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილში კანონმდებელი არ მიუთითებს ზიანის მომენტის შესახებ, კომპენსაციას ექვემდებარება

⁴²³ ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 513

⁴²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-254-239-2010; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, № 12, 2011, 73;

<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201112.pdf> ხელმისაწვდომი 08. 12.2021 მდგომარეობით

⁴²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-464-2021

როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგ მიყენებული ზიანი. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის მნიშვნელობა არ აქვს ზიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მიაღწა პირს, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ. ამ ნორმაში კანონმდებელი არ აკეთებს აქცენტს ზიანის მიყენების მომენტზე. აქედან გამომდინარე სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით შეიძლება ანაზღაურდეს როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმდინარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდეგ მიყენებული ზიანი. მაგალითად, რესტიტუციის ერთდროულად შეუსრულებლობის საფუძველით ზიანის კომპენსაცია წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც ქონებრივი ზიანი წარმოიშვება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ხოლო ხელშეკრულების საგნის დაზიანების, ან ფულადი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევები სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მიყენებული ზიანის მაგალითებია. ე.ი. შეიძლება მოვალემ კრედიტორს ზიანი მიაყენოს იმ მომენტამდე სანამ ეს უკანასკნელი განახორციელებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ხოლო ზიანის ანაზღაურება სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარის თქმის შემდეგ მოხდება⁴²⁶.

3.6.4. უფლებამოსილი პირის პრივილეგია, როგორც ზიანის ანაზღაურებისგან დაცვის საფუძველი

უფლებამოსილი პირის პრივილეგიით დაცული ფულადი რესტიტუციის შემთხვევები უნდა გავმიჯნოთ ზიანის ანაზღაურების შემთხვევებისგან. ფულადი რესტიტუცია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას ისახავს მიზნად. ზიანის ანაზღაურების მიზანია იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ფაქტის გარეშე. რესტიტუცია ყოველთვის ხდება ხელშეკრულებიდან გასვლის დროს, ხოლო ზოგ

⁴²⁶ რუსიაშვილი, გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ.2019, 307

შემთხვევაში ხელშეკრულებიდან მოშლისას. ზიანის ანაზღაურებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდება. რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის თანმდევი შედეგია ზიანის ანაზღაურებისგან განსხვავებით. უფლებამოსილი პირის პრივილეგია იცავს ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს როგორც ფულადი რესტიტუციის ვალდებულებისგან, ასევე ზიანის ანაზღაურებისგან. აქედან გამომდინარე თუ პირი დაამტკიცებს, რომ იგი უვლიდა ნივთს როგორც საკუთარს და იგი განადგურდა ამ გარემოების მიუხედავად მას არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს ფულადი ანაზღაურების ვალდებულებაზე, რაც გულისხმობს რესტიტუციას კრედიტორისთვის თანხის გადახდის გზით, უფლებამოსილი პირის პრივილეგიის გათვალისწინებით იგი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგანაც უნდა განთავისუფლდეს. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს უფლებამოსილი პირის პრივილეგიის მიზანი: დაცული იყოს ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებამოსილი პირის პრივილეგია აზრს დაკარგავს და მეორე მხარეს ექნება შესაძლებლობა ზიანის ანაზღაურება ფულადი რესტიტუციის ნაცვლად გამოიყენოს⁴²⁷. მეორე მხრივ თუ სიტყასიტყვით განვმარტავთ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილს უფლებამოსილი პირის პრივილეგია არ უნდა გავრცელდეს ზიანის ანაზღაურების შემთხვევების მიმართ. მეორე მხრივ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი და სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი არ მოიცავს მითითებებს იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრება უფლებამოსილ პირს, იმ შემთხვევაში, თუ ნივთი დაზიანდება მასთან ყოფნის დროს⁴²⁸. უფლებამოსილი პირის პრივილეგიის გათვალისწინებით

⁴²⁷ რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019, 308

⁴²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, #11, 2012, 121; <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201112.pdf> ხელმისაწვდომი 08.12.2021 მდგომარეობით

ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ გსკ-ის 346-ე მუხლის მე-3 ნაწილი სიტყვასიტყვით განმარტების შემთხვევაში არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებას უფლებამოსილი პირის პრივილეგიის გათვალისწინებით⁴²⁹. თუმცა გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით უფლებამოსილი პირის პრივილეგია გამორიცხავს მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 352-ე მუხლი შინაარსობრივად გსკ-ის 346-ე პარაგრაფის მსგავსია, აღნიშნული მიდგომა შეიძლება გავრცელდეს ქართული ნორმის მიმართაც⁴³⁰. მეორე მხრივ არალოგიკური იქნება თუ უფლებამოსილი პირის პრივილეგიას გავავრცელებთ მხოლოდ ფულადი რესტიტუციის შემთხვევების მიმართ, რადგან ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა ხშირად აღემატება ნივთის ღირებულებას, რომელსაც რესტიტუციის მოვალე უხდის რესტიტუციის კრედიტორს⁴³¹.

დაუშვებელია ერთდროულად ზიანის ანაზღაურების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა სსკ-ის 352-ე მუხლის მიხედვით. ზიანის ანაზღაურება მეორეული მოთხოვნაა, რომელიც კონკურენციაშია ხელშეკრულების პირობების შესრულების მოთხოვნასთან. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დასრულებულია სახელშეკრულებო ურთიერთობა გასვლის ან მოშლის შედეგად. აქედან გამომდინარე კრედიტორი ვერ მოითხოვს ხელშეკრულების პირობების შესრულებას და იმავდროულად ზიანის ანაზღაურებას⁴³².

⁴²⁹ კროკპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2014, 241

⁴³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, #11, 2012, 119

⁴³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, #11, 2012, 120

⁴³² საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემდეგ მხარეები გარდაიქმნებიან რესტიტუციის მოვალედ და კრედიტორად რის შემდეგაც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს კრედიტორის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე; იხ. საქართველოს უზენაესი

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: სსკ-ში და გსკ-ში არაა განსაზღვრული ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებები. აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული დეფინიციები ერთმანეთისგან სასამართლო პრაქტიკაში უნდა გაიმიჯნოს. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის და სამართლის ლიტერატურის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლის ორი, ერთმანეთის მსგავსი, თუმცა დამოუკიდებლად არსებული ინსტიტუტია. აღნიშნული ინსტიტუტების მსგავსებები მდგომარეობს შემდეგში: ორივე მათგანი გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების მიზნით; არცერთი მათგანის მიმართ არ ვრცელდება ხანდაზმულობა; ორივე აღმჭურველი უფლებაა; ორივე მათგანი მეორეული მოთხოვნების კატეგორიას განეკუთვნება; როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა ასევე ხელშეკრულების მოშლა წარმოშობს სხვა მეორეულ უფლებებს, მათ შორის ზიანის ანაზღაურების და რესტიტუციის მოთხოვნის უფლებას. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა ერთმანეთისგან განსხვავდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი ასრულებს გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლა მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულების მიზნით გამოიყენება. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის გრძელვადიანი ხასიათი მდგომარეობს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების პერიოდულად შესრულებაში, ხოლო მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა ნაკისრი ვალდებულებების ერთჯერადად შესრულებას გულისხმობს. კვლევის შედეგების მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის წარმოშობს რესტიტუციის

ვალდებულებას, ხოლო ხელშეკრულების მოშლას რესტიტუციული შედეგები აქვს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, მაგ. 399-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

კვლევის შედეგების მიხედვით სასამართლო პრაქტიკაში, ასევე სსკ-ში ხშირია ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის ცნებების აღრევა, თუმცა სასამართლო ზოგიერთ შემთხვევაში სწორად მიჯნავს ერთმანეთისგან ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტებს. სასამართლო ამ ინსტიტუტებს ერთმანეთისგან განასხვავებს სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი ბუნების მიხედვით. გრძელვადიანი ხელშეკრულებების მიმართ იყენებს ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტს, ხოლო მოკლევადიანი ხელშეკრულებების მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტს.

სსკ-ში ვხვდებით სხვადასხვა სახის ტერმინოლოგიურ უზუსტობებს. მაგალითად, ზოგიერთ მუხლში ტერმინი „მოშლა“ გამოყენებულია ხელშეკრულებიდან გასვლის მნიშვნელობით (491-ე და 492-ე მუხლები) ზოგჯერ კი პირიქით. სსკ-ში ტერმინი „უარი ხელშეკრულებაზე“ გამოყენებულია მეტწილად ხელშეკრულების მოშლის მნიშვნელობით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი მას ხელშეკრულებიდან გასვლის აღმნიშვნელად იყენებს. ტერმინების აღევას აქვს ადგილი სსკ-ის 352, 399, 405, 491, 492 და სხვა მუხლებში.

სსკ-ის რიგი ნორმების, ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე მისი მოშლის უფლებების რეალიზება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაცულია სსკ-ის 405-ე მუხლით დაცული წინაპირობები, ან/და ის წინაპირობები რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის შემთხვევებისთვის დადგენილია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, სასამართლო მხოლოდ ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოშლის ფაქტს, ხოლო თავად ამ უფლებების

განხორციელება სახელშეკრულებო ურთიერთობების მხარეებზე დამოკიდებული.

სსკ-ის ნორმების ანალიზმა და სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა რომ ერთმანეთისგან განსხვავდება ხელშეკრულების გასვლის, მისი მოშლის და რესტიტუციის მიმართ ხანდაზმულობის ვადის გავრცელების საფუძვლები. კერძოდ, ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებების მიმართ არ უნდა გავავრცელოთ ხანდაზმულობის ვადა, რადგან ეს უფლებები აღმჭურველი ხასიათისაა, თუმცა რესტიტუციის მიმართ ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს.

კვლევამ ცხადყო, რომ როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე მისი მოშლის უფლება წარმოიშვება, როგორც ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი, ასევე არაკეთილსინდისიერი შესრულების შედეგად. ამასთან, არაჯეროვანი ვალდებულებების შესრულება, აგრეთვე კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა სასამართლოს შეფასების საგანია. სსკ-ის 405-ე მუხლი თავის მხრივ მიუთითებს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის, ან მისი მოშლის შესაძლებლობის შესახებ. სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას გულისხმობს. მეორე მხრივ როგორც კეთილსინდისიერების, ასევე გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა ავტომატურად არ წარმოშობს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის ან მოშლის საფუძველს. ორივე ზემოაღნიშნული გარემოება საბოლოო ჯამში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ხარისხის მიხედვით უნდა შეფასდეს. კერძოდ, სასამართლომ უნდა დაადგინოს არის თუ არა ხელშეკრულების დარღვევა მნიშვნელოვანი. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევაა ის რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების მიზნების მიღწევას. აქედან

გამომდინარე დარღვევის სიმძიმე სასამართლოს მიერ სწორედ კონტრაქტის მიზნების მიღწევის კონტექსტში უნდა შეფასდეს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ არ არსებობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა შერეული ბრალის შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის მიზეზით სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შესახებ. პრაქტიკამ გვიჩვენა რომ უმეტესწილად კრედიტორის ბრალეულობა გამორიცხავს სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის, ან ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მაგ. შერეული ბრალის პროპორცია 60/40-ზე საკმარისია იმისათვის რომ ამოქმედდეს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტი. სასამართლო პრაქტიკამ ასევე გვიჩვენა, რომ არ არსებობს შერეული ბრალის დადგენის რაიმე კონკრეტული საშუალებები და საბოლოო ჯამში ბრალის პროპორციის დადგენა სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასებაზეა დამოკიდებული.

სსკ-ის 398-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის გათვალისწინებით სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება შესაძლოა მოხდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობის გამოც. მეტწილად აღნიშნული საფუძვლით ხდება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა-მისი მოშლა. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო არასწორედ განმარტავს სსკ-ის 398-ე მუხლის ნორმატიულ შინაარსს. გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც როდესაც სასამართლო სწორედ იყენებს სსკ-ის 398-ე მუხლს, თუმცა არ განმარტავს იმას თუ რატომ გახდა კონკრეტულმა ვითარებამ შეუძლებელი ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, რაც საბოლოო ჯამში გახდა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების ნორმატიული ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ნორმები ვრცელდება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ასევე ხელშეკრულების მოშლის შემთხვევების მიმართ.

სსკ-ის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ასევე ხელშეკრულების მოშლის ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. სსკ-ის 399-ე მუხლის გამოყენების დროს) მხარეებს აქვთ უფლება რესტიტუციასთან ერთად მოითხოვონ ზიანის ანაზღაურებაც. ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის შედეგად წარმოიშვება მხოლოდ სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. არასწორი იქნება სსკ-ის 352-ე მუხლი ისეთი შემთხვევების მიმართ გავავრცელოთ, როდესაც მხარე ითხოვს დელიქტური ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმდინარეობის დროს, ასევე მათი დასრულების შემდეგ წარმოშობილი ქონებრივი ზიანი. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო რომ ზოგ შემთხვევაში სასამართლო ვერ ახერხებს ერთმანეთისგან გამიჯნოს ზიანის ანაზღაურება და რესტიტუცია. რესტიტუციულ შედეგებში სასამართლო არასწორედ მოიაზრებს ზიანის ანაზღაურებას. რეალურად რესტიტუცია და ზიანის ანაზღაურება ორი სხვადასხვა მეორეული უფლებაა, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ წარმოიშვება.

სამართლის ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უფლებამოსილი პირის პრივილეგიამ უნდა დაიცვას მოვალე როგორც რესტიტუციის ვალდებულებისგან, ასევე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ეს მიდგომა გერმანიის სამოქალაქო სამართალშია დამკვიდრებული. რადგან სსკ-ის 352-ე მუხლი შინაარსობრივად გსკ-ის 346-ე პარაგრაფის ანალოგიურია, აღნიშნული მიდგომა შეიძლება გავრცელდეს ქართული ნორმის მიმართაც. მეორე მხრივ სსკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი და სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი არ მოიცავს მითითებებს იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრება უფლებამოსილ პირს იმ შემთხვევაში, თუ ნივთი დაზიანდება მასთან ყოფნის დროს. საკითხის ამგვარი რეგულირება ეწინააღმდეგება უფლებამოსილი პირის პრივილეგიის შინაარსს და მის მიზნებს.

რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია სსკ-ის ტექტიდან ამოღებული იქნას ტერმინი „უარი ხელშეკრულებაზე“, რაც თავიდან აგვარიდებს ტერმინების აღრევასთან დაკავშირებულ სირთულეებს.
2. რეკომენდირებულია სსკ-ის იმ მუხლების რედაქტირება სადაც მოკლევადიანი ხელშეკრულებების შეწყვეტის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „ხელშეკრულების მოშლა“. აღნიშნული ტერმინის ნაცლად უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინი „ხელშეკრულებიდან გასვლა“.
3. რეკომენდირებულია სსკ-ის იმ მუხლების რედაქტირება სადაც გრძელვადიანი ხელშეკრულებების შეწყვეტის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „ხელშეკრულებიდან გასვლა“. აღნიშნული ტერმინის ნაცლად უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინი „ხელშეკრულების მოშლა“.
4. რეკომენდირებულია შემდგომი კვლევების გაგრძელება იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულება წარმოშობს რესტიტუციულ შედეგებს. მაგალითისთვის გამოსადეგია სსკ-ის 398-ე და 399-ე მუხლები. კვლევების შედეგები გვიჩვენებს რომ რესტიტუცია არაა ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტების განმასხვავებელი ნიშანი ყველა შემთხვევაში.
5. მიზანშეწონილია სსკ-405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტის რედაქტირება შემდეგნაირად: *„ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია ...გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის გამო“*. შემდგომში სასამართლო პრაქტიკაზე იქნება დამოკიდებული იმის განსაზღვრა რომელი გარემოებები წარმოადგენს გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევას და რომელი არა. ნორმის ამჟამინდელი რედაქცია არ გამოხატავს ნათლად მის ნორმატიულ შინაარსს, რადგან

განსახილველ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს ხელშეკრულებიდან გასვლის და მისი მოშლის უფლების გამოყენების დაუშვებლობაზე გულისხმიერების ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის დროს.

6. მიზანშეწონილია დადგინდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებთან მიმართებით. უნდა დადგინდეს შერეული ბრალის როგორი პროპორცია გამორიცხავს უარს ხელშეკრულებაზე. ეს გაამარტივებს იმ სარჩელების სასამართლო პერსპექტივის განჭვრეტას, რომლებიც მოიცავენ აღნიშნული ნორმის საფუძველზე რეგულირებულ გარემოებებს.
7. სახელშეკრულებო ურთიერთობებში კრედიტორებისთვის რეკომენდირებულია მოვალისთვის დამატებითი ვადის და გაფრთხილების მიცემის შემთხვევაში გამოყენებული იქნას წერილობითი ფორმა, რაც გაამარტივებს მტკიცების ტვირთის დაძლევის საქმის სასამართლოში განხილვის დროს.
8. მიზანშეწონილია ნორმის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტის რედაქტირება გსკ-ის ანალოგიურად. შედეგად სსკ-ის აღნიშნული ჩანაწერი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: *„არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება თუ მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს“*. 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის რედაქტირების შემთხვევაში კრედიტორს შესაძლებლობა ექნება არ განუსაზღვროს მოვალეს ვალდებულების შესასრულებელი დამატებითი ვადა მხოლოდ იმ დროს, როდესაც მოვალე გადამჭრელად განაცხადებს უარს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.
9. რადგან უფლებამოსილ პირში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირი იგულისხმება, მიზანშეწონილია სსკ-ის 352-ე

მუხლის მე-4 ნაწილის რედაქტირება გსკ-ის 346-ე პარაგრაფის ანალოგიურად. შედეგად სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მქონე პირთან, რომელიც მას ექცეოდა ისეთივე მზრუნველობით როგორც საკუთარ ნივთს“.

10. რეკომენდირებულია სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის რედაქტირება, რის შედეგადაც ნორმაში განისაზღვრება კრიტერიუმები ხელშეკრულების მოშლისთვის გონივრული ვადის დასადგენად.

11. რეკომენდირებულია სსკ-ის 405-ე მუხლში აღინიშნოს რომ ხანდაზმულობა არ ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევების მიმართ. ცვლილება თავიდან აგვაცილებს არაერთგვაროვან განმარტებებს სასამართლო პრაქტიკაში და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი, ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 199
2. ახალკაცი, ქ., ხელშეკრულების შეწყვეტის და ხელშეკრულებიდან გასვლის
3. სამართლებრივი წინპირობები და შედეგები, თბ., 2019
4. ბიოლინგი, ჰ., ლუტრინგჰაუსი, პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, ბრემენი-თბილისი, 2009
5. ბეგიაშვილი, ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, სამართლის ჟურნალი, თბ., 2011
6. გეგენავა, ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2015;
https://www.sabauni.edu.ge/library/avTandil-gegenava---nardobis-xelSekrulebis-misadageba-Secvlili-garemoebebisadmi.--1600634663.pdf?fbclid=IwAR3wx3ri_xuB8GxIuAwLYM1V7mJRomu_j8WHGLjyEZ2X6kag4c4WXBDkaII
7. დიოგიძე, თ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა ქუჩაში დადებული გარიგებების დროს, თბ., 2019;
https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Tamar_Diogidze.pdf?fbclid=IwAR2lR1BVn4fX7jC6BbICsHNHJ6wLLh4ZAczNy3uGZLH-W-bHseOaGAWNVsI
8. ვაშკიძე, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2019
9. ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მესამე წიგნი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001
10. ზაქარეიშვილი, ქ., ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულებაზე უარის თქმის უფლებების, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 5, 2016
11. თოდუა, მ., ვილემსი, ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006
12. კახაძე, მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ტომი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001
13. კროპჰოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2014
14. კერესელიძე, დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009

15. ლაკერბაია, თ., ზაალიშვილი, ვ., ზოიძე, თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2018
16. მაჭარაძე, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მომლაგანსხვაება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), GEORGIAN LAW REVIEW – SPECIAL EDITION, 2008
17. მესხიშვილი, ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბ., 2020, 94
<http://lawlibrary.info/ge/books/2020giz-ge-kerdzo-samartlis-aktualuri-sakitxebi.pdf>
18. მესხიშვილი, ქ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ., 2020, 424; <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf>
19. მუტჰორსტი, ო., დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით: ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი IV – ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, # 12, 2021; ხელმისაწვდომია
<https://lawjournal.ge/wp-content/uploads/2022/02/DGZR-12-2021.pdf>
20. ნაჭყებია, ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), გერმანიის თანამშრომლობა (giz), 2014;
<https://core.ac.uk/download/pdf/83905718.pdf?fbclid=IwAR2ouKA1wIHsc4N5cCj829jyhPEs8N4BtFUjTWvddE7eclx0r72WPSBahWI>
21. ნაჭყებია, ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019
22. ჟორჟოლიანი, გ. „ვირტუალური ქონება როგორც ნივთობრივი უფლების ობიექტი“, Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, №2, 2023
23. რუსიაშვილი, გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2019
24. რუსიაშვილი, გ., საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები და მათი გავლენა ნაციონალური ბანკების მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, #, 2023;
<http://www.openlibrary.ge/bitstream/123456789/10353/1/DGZR-2-2023.pdf>
25. რუსიაშვილი, გ., დარჯანია, თ., მაისურაძე, დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, გერმანიის თანამშრომლობა, თბ., 2020;
<http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-zogadi-valdebulebiti-samartali.pdf?fbclid=IwAR0Qsx3uRArepMndknIZhOHOF-Z75DtiV8wpm9GUTpmMHE2ZnNGPyhrjTw>
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, #11, 2012
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

- სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, № 12, 2011,
<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201112.pdf>
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2019, #3
28. *სვინტრადე, ქ.*, კრედიტორის უფლებების დაცვის პრობლემა სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობისას, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2016;
http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_1902.pdf?fbclid=IwAR2JmUfViEFgRYvw18LMBmq4R8FkLd1SUApkDrc0aYi4kdzxCBgAgI3NwKk
29. *ტაბიძე, დ.*, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მე-2 გამოცემა, 2013, 40;
[http://ewmi-prolog.org/images/files/5072Georgian Commercial Law Review II Issue GE O.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/5072Georgian%20Commercial%20Law%20Review%20II%20Issue%20GE%20O.pdf)
30. *ტობოსაშვილი, მ.*, ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, #1-2
31. *ფიფია, ნ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საკანონმდებლო ხარვეზები ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტებთან მიმართებაში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 6, 2017
<https://lawandworld.ge/wp-content/uploads/2020/03/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90-1.pdf?fbclid=IwAR2rE4FYWFvp3dQkd7fdxax83JTkdydfedZ78eVkfUqywiQQNp21mZOzjCs>
32. *ფიფია, ნ.*, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბ., 2018, 37;
<https://opscience.ge/bitstream/1/139/1/Pipia%2C%20nino%20Sadoqtoro.pdf?fbclid=IwAR3DHrvLQeCVXBQGorNa3VfW2CqtGkZRfianq1N0c6nd2NFwfoxNI8wS-Ns>
33. *ვაჩუაშვილი, ნ.*, ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულებები, მათი ბათილობის, შეწყვეტის, მათზე უარის თქმის საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები, თბ., 2019
34. *ქოჩიაშვილი, ა.*, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითხები ქართული სამართლის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, #2, 2013
35. *ქავშაია, ნ.*, ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას, ქართულ-გერმანული სამართლის ჟურნალი, 2019, # 3, 71
http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-shedarebiti-samartlis-jurnali-III.pdf?fbclid=IwAR2Pj-XenRJ2kpw5LQeJLL-3Y_ivhKg6leKvHrlGTnpw_d4cmdxSnbAIWi0

36. ხუციშვილი, ო. სისვაძე, მ., ტოხოლაშვილი, მ., ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევისას შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, ჟურნალი „ადვოკატი“, 2017, #1-2
37. ჩიკვაშვილი, შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 388
38. ჩაჩავა, ს., მოთხოვნების და მოთხოვნის უფლებების კონკურენცია კერძო სამართალში, თბ., 2010;
https://www.tsu.ge/data/file_db/disertaciebi/chachava.pdf?fbclid=IwAR1eLTTgSTEGpkEGzOoMogvmDq-8i4coyo3ph5hmxkpoTX65ySPgiB3myTE
39. ჩიტაშვილი, ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2014, 70
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natia_chitashvili.pdf
40. ჩიტაშვილი, ნ., ბურდული, ი., ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, როგორც ზოგადი კერძო სამართლის დამცავი ფუნქციის ფუნდამენტი, წელიწადეული, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, 2020;
<https://www.tou.edu.ge/files/law%20eco%20center/%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%202020.pdf>
41. ჯანაშია, ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014
42. ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 231;
<https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/e183a1e18390e1839be1839de183a5e18390e1839ae18390e183a5e1839d-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae18398e183a1-e18399e1839de183931.pdf?fbclid=IwAR2iNH3kboQmlHURrmSwX1-eIn6-A1sLn0nZZNqX0GB0hCWMKwGVvmHphLM>
43. ჰაიგერტი, კ., კოტცი, კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართალში, ტომი მეორე, თბილისი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001
44. Baasch Andersen, C., Good Faith Good Grif, International Trade and Business Law Review, # 17; 2014; retrieved from
https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2675008
45. Brox, H., Walker, W., D., General Law of Obligations, Munich, 2018
46. Garth, B., International Encyclopedia of Comparative Law, vol 7th, 1976
47. Gallo, P., Unjust Enrichment: A Comparative Analysis, 1992
48. Jentsch, V., The Law of Contracts in the Age of the Coronavirus Pandemic: Is the Statutory Risk Allocation pursuant to the Swiss Code of Obligations still adequate? European University Institute Department of Law, 2020
49. Mathis, M., BGB kommentar, 2021; <https://bgb.kommentar.de/Buch-2/Abschnitt-1/Titel-1/Art-und-Umfang-des->

- [Schadensersatzes?fbclid=IwAR2XtVruR1T-8YkoK1bcJhbkOumEYR4UV5DVZ-Z7gmEkbOGrn_6nhF3Er4g](#)
50. *Markesinis, B., Unberath, H., Johnston, A.*, German law of contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, second edition, 2006
 51. *Nelson, E.*, Florida House Bill: Florida's attempt at tort reform and its likely impending constitutional challenges. *Stetson Law Review*, 54, 2025; <https://stetsonlawreview.org/wp-content/uploads/2025/06/14-Nelson.603-644.pdf>
 52. *Kotz, H.*, European Contract Law, Second Edition, Oxford University Press, 2017
 53. *Piek, M.*, A Study of the Significant Aspects of German Contract Law, Annual Survey of International & Comparative Law, volume 3, issue 1, 1996; <https://digitalcommons.law.ggu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1022&context=annlsurvey&fbclid=IwAR1ERdC5hcGISxGCIRWoT-YWYOBQTyD0PiKpWQ7wGdcHs3HJeSfv7CoqKLs>
 54. *Volker, B.*, Punitive Damages in American and German Law –Tendencies towards Approximation of Apparently Irreconcilable Concepts, *Chicago-Kent Law Review*, Vol. 18, Issue 1, Punitive Damages in American and German Law –Tendencies towards Approximation of Apparently Irreconcilable Concepts, 2003; <https://core.ac.uk/download/pdf/217432023.pdf?fbclid=IwAR3-Q2riCAT9dUKIVpavluwbq04nU7Ps5JVt9vWPrlG6UoLMmd106sU4fsc>
 55. *Vorpeil, R., K.*, German private international law, 2010; https://www.vorpeil.de/media/content/buecherloseblatt/German_Private_International_Law.pdf?fbclid=IwAR1zCtDhpbnt4pFzUtlrHT5BDhjrQDb9_R_b5EC_D0stNGEldPUbzjeu4tvw
 56. *Umberath, H.*, Naturalrestitution, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Verlag Mohr Siebeck, 2003; <http://hwb-eup2009.mpipriv.de/index.php/Naturalrestitution?fbclid=IwAR0YgFqOKFHc47vhjNHgWbulE1g6V-2VneY0w6VR-8goWHHFAe65c9Yzhkc>
 57. Legal consequences of withdrawal according to § 346 BGB; <https://www.juraindividuell.de/artikel/die-rechtsfolgen-des-ruecktritts-nach-346-bgb/?fbclid=IwAR3NgqqeZZ46IFkWrE4lXj7tzQbIODgN7v5pOgkF3UZazfHZn5Pt-68tKo>
 58. *O'Connor, M.* An End to Preemptively Limiting the Scope of a Manufacturer's Duty: Why the Arizona Court of Appeals Was Right in Striking Down the Learned Intermediary Doctrine. *Arizona State Law Journal*, 49, 2017; https://arizonastatelawjournal.org/wp-content/uploads/2017/07/OConnor_Final.pdf
 59. *Saare, K., Sein, K., Simovart, M.*, 'The Buyer's Free Choice Between Termination and Avoidance of a Sales Contract', *XV Juridica International*, 2008; https://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2008_XV_43.pdf
 60. *Schlechtriem, P.*, 'Termination and Adjustment of Contracts', 1(3) *European Journal of Law Reform*, 1998; https://cisg-online.org/files/commentFiles/Schlechtriem_1_EJLR_1999_305.pdf

61. *Waelbroeck, D., Slater, D., Even-Shoshan, G.*, Study on the conditions of claims for damages in case of infringement of EC competition rules, comparative report, Brussels, 2004;
https://ec.europa.eu/competition-policy/system/files/2021-04/damages_actions_claims_for_damages_infringements_study_comparative_report.pdf?fbclid=IwAR01UqoeIDmkpb6MGcdCKNZvU6LdKEYFZIDFzVd8BibQKzgGFB_Tvwpl2n0
62. *Wurmnest, W.*, 'Contract Law' in Joachim Zekoll and Gerhard Wagner (eds), Introduction to German Law, 3rd edn, Kluwer Law International, 2019 ;
https://www.jura.uni-hamburg.de/media/die-fakultaet/personen/wurmnest-wolfgang/wurmnest-contract-law-in-zekoll-wagner-introduction-to-german-law.pdf?fbclid=IwY2xjawPTJzNleHRuA2FlbQIxMABicmlkETFDTjhvRm1oZlcvbWZFaSDkyc3J0YwZhcHBfaWQQMjlyMDM5MTc4ODIwMDg5MgABHie-1cOqmpc2AQuGulJ18oCsORX0iosyEAZeb77dNgA5FsTKKa0GlEtSW0FU_aem_VBzwG14hcAKfjKTDPoHzEw

სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-822-788(კ-06);
<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/9003/0>
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ას-788-1112-07
3. ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს--1034-992(კ-09);
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba12.pdf>
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-98-93-2010
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ას-254-239-2010;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1153-1173-2011
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1326-1346-2011
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-307-291-2011
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1153-1173-2011
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/1938-11;
<http://library.court.ge/judgements/99432015-01-29.pdf?fbclid=IwAR2cJe0D24U9Paqhqrj572A39l88X7D7acqpFqEJipZpZ4ldJuK998YsYQ8>

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-12-12-2012
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2543-12;
<http://library.court.ge/judgements/3362014-05-20.pdf>
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-12-12-2012
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე #ბს-367-363(კ-12); <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/bs-367-363.pdf>
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-277-264-2013
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ივნისის №ას-376-357-2013 გადაწყვეტილება
17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/696-13;
<http://library.court.ge/judgements/19522014-08-15.pdf?fbclid=IwAR3lyYMm3wUKIDK5X8r92K5TPGn0tc44pmmAJbgUmDoIji9hVawG9Rr5lZE>
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-931-889-2013
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-340-325-2012;
<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/-n-58-ganmarteba.pdf>
20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2867-13;
<http://library.court.ge/judgements/93822014-08-12.pdf?fbclid=IwAR16ESaPTwZoZqe1u00JcTmPt-4Qa4n2O2nZy3-XQhLtIJQ-VgNHMLqr4Qw>
21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/2867-13;
<http://library.court.ge/judgements/93822014-08-12.pdf>
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-189-182-2013
<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n61-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-935-893-2013
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე ას-311-293-2014
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-255-239-2014
26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის №2ბ/2543-12 გადაწყვეტილება

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ს 2015 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე #ას-730-698-02014;
<https://tsufacultyofflaw.files.wordpress.com/2016/08/e1839ae18394e183a5e183a5e18398e18390-e1839ce18390e183a0e18393e1839de18391e18398e18393e18390e1839c-e18392e18390e183a1e18395e1839ae18390.pdf?fbclid=IwAR3dY9NWFVO-8rALg2xdr9LS3RH1EYfT3XnJXMziAuS35X5qddcAEB-j0G4>
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას -779-746-2014
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-252-239-2015
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1037-995-2014
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-948-910-2014
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-570-541-2015
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1019-962-2015
34. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №28/167-15;
<http://library.court.ge/judgements/85512017-03-01.pdf>
35. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/7207-14
36. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №28/167-15
37. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/7207-14
<http://library.court.ge/judgements/58022016-04-19.pdf?fbclid=IwAR13cMK5TbRLSVwaudd9bNHmh8RDAE0QKkVrEIRQaLIIavT7v1ceslbMeMs>
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-945-895-2015
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-374-355-2015
40. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №28/5993-15
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-269-256-2016
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-810-777-2016
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1069-1028-2016

87. Higher Regional Court of Cologne, judgment of 15.12.2016 – 15 U 141/15;
https://www.gesellschaftsrechtskanzlei.com/olg-koeln-urteil-vom-15-12-2016-15-u-14115/?utm_source=chatgpt.com
88. LG Osnabrück, judgment of July 9th, 2021 - 2 S 35/21; https://xn--rabromva.de/coronabedingte-schliessung-eines-fitnessstudios-begrundet-im-verhaeltnis-zwischen-studio-und-mitglied-keinen-wegfall-der-geschaeftsgrundlage/?fbclid=IwAR13Ubis_b9Yeh-yVJh7C90ZVkeMp36UpPYYnt7zS9YAytzOQjm4-uKhFiA
89. Regional court Bonn, judgment of 21.01.2021- 17 O 146/17 -No right to compensation for use of interest and repayments after revocation of a loan agreement concluded in distance selling; https://www.kostenlose-urteile.de/LG-Bonn_17-O-14617_Kein-Nutzungsersatzanspruch-auf-Zins-und-Tilgungsleistungen-nach-Widerruf-eines-im-Fernabsatz-geschlossenen-Darlehensvertrages.news29823.htm?fbclid=IwAR2tzwzgs95Kaf3hfQXbMygmYfcSDqv3wadm638POsPqc24QHqrmL1fAJzI
90. AG Munich, final judgment v. March 29, 2016 - 331 C 28362/15;
https://www.gesetze-bayern.de/Content/Document/Y-300-Z-BECKRS-B-2016-N-103583?hl=true&fbclid=IwAR1Y-A1dCvsW3MIJCNbXjRc_bd0QWeBdbM4pmUuabvNu0n0WS2Y96MOr7wQ
91. AG Herne-Wanne, ruling v. 27. 3. 1998-3 C 5/98;
http://lorenz.userweb.mwn.de/urteile/njw98_3651.htm
92. AG Passau, 11 C 1892/92, NJW'93, 1473 ff; <http://archiv.jura.uni-saarland.de/sr/iii1202.htm>

გამოყენებული კანონები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>
2. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენცია, 1980;
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4992306?publication=0&fbclid=IwAR38B-NDQ7ZZU-443XrSu8eDUI2U4IwSqPe-vjm6gzeoQNNTqbxQ0dQ3DdI>
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სიესტა“, თბ., 2010;
<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>
6. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის თანამშრომლობა (Giz) თბ., 2019